ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯავახიშვილი



# ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები







ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჯავახიშვილი

# ადრეფეოდალური ხანის ქართული სვეტები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1998

73(47922) + ...
63.3(2Г)+85.I (2Г)
ჯ 145

წიგნში პირველადაა თავმოყრილი ადრეფეოდალური ხანის ქართული მცირე ფორმის პლასტიკის ნიმუშები - სტელები. ისინი დაჯგუფებულია ისტორიული პროვინციების მიხედვით (ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), მოცემულია მათი მოკლე აღწერილობა და ცნობები მათ შესახებ.

განკუთვნილია საქართველოს ისტორიითა და ხელოვნებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

В книге впервые собраны вместе образцы малой пластики Грузии раннефеодального времени - стеллы. Они сгруппированы по историческим провинциям (Квемо Картли, Шида Картли и Самцхе-Джавахети).

Предназначена для специалистов и широкого круга читателей, интересующихся историей и искусством Грузии.

რედაქტორი პროფ. პ. ზაქარაია
რეცენზენტები: პროფ. გ. აბრამიშვილი, დოც. † გ. ხუციშვილი

Г 4763
4

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998

ჯ 0503020906
М 608(06)-98

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შემოკლებათა განმარტება

ს.ს. მ. — ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ს.ხ.ს. მ. — შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
ქ.ხ.ი.ი. — გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

## СОКРАЩЕНИЯ

Г.М.Г. — Гос. музей Грузии им. С.Н. Джанашиа
Г.М.И.Г — Гос. музей Искусств Грузии им. Ш.Я. Амиранашвили
И.И.Г.И. — Институт Истории Грузинского Искусства им. Г.Н. Чубинашвили

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში თავმოყრილია ცნობილი თუ ბოლო ხანებში აღმოჩენილი ადრეშუასაუკუნეების სტელები და მათი ფრაგმენტები; მათი უმრავლესობა დაცულია საქართველოს მუზეუმების საცავებში, ნაწილი დარჩენილია ადგილებზე.

სტელების დანიშნულება, მათი როლი ადრეული შუასაუკუნეების კულტურულ ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, გარკვეულია ნაშრომებში, სადაც ისინი განხილულია სხვადასხვა ასპექტში; მაგრამ ერთად თავმოყრილი აქამდე არ ყოფილა. წინამდებარე ნაშრომის მიზანს სწორედ ეს შეადგენს. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ოთხი წლის მუშაობის შედეგად მოპოვებულმა მასალამ ჩვენ წინაშე წამოჭრა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით სტელების უფრო დეტალურად და ღრმად შესწავლის საკითხი, რაც ალბათ მომავლის საქმეა.

ბუნებრივია, ასეთი შრომატევადი სამუშაოს ჩატარება გაგვიძნელდებოდა, რომ არა ის დახმარება, რომელიც გაგვიწიეს ვარძიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, არქიტექტურის მეცნ. კანდიდატმა გ. გაფრინდაშვილმა და მისი ექსპედიციის წევრებმა, აგრეთვე ახალციხის მუზეუმის თანამშრომლებმა. მადლობა გვინდა მოვახსენოთ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ვ. ჯაფარიძეს და მისი ექსპედიციის წევრებს, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინსპექციის უფროსს ბაადურ კუპრეიშვილს.

ასევე დიდი დახმარება გაგვიწია ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელმა, ქვის ფონდის მცველმა მაყვალა შამათავამ. მადლობელი ვართ აგრეთვე ს. ჯანაშიას სახ.სახელმწიფო მუზეუმის ქვის ფონდის მცველის, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ცისკარიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრეფეოდალური ხანის ქართული სტელები

სტელები საქართველოში ადრეული ხანის ქრისტიანული, ქვისგან გამოკვეთილი საკულტო ძეგლებია. მათი აღმართვის ჩვეულება უნდა მომდინარეობდეს ქრისტიანობის გავრცელების დროიდან და თავდაპირველად გამოხატავდა ამ ახალი სარწმუნოების აღიარებას - ნათელღებას. სტელები იდგმებოდა ღია ცის ქვეშ, დამოუკიდებლად, ხშირად ეკლესიის გვერდით აღმოსავლეთის მხარეს.

დღემდე შემორჩენილი სტელების უმრავლესობა ბრტყელ ბალიშზე და კუბურ კვარცხლბეკზე დამყარებული და ჯვრით დაგვირგვინებული სხვადასხვა ზომის ოთხწახნაგა სვეტია. ყველაზე მაღალი 6 მ სიმაღლისაა (ბრდაძორის სტელა, მარნეულის რ-ნი; ტაბ. XXI, XXII). მეტწილად კი, მათი სიმაღლე 2-4 მ შორის მერყეობს; არის მცირე ზომის 1 და 2 მ სიმაღლის სტელებიც. სტელების ბაზისა და სვეტის წახნაგები შემკულია დაბალი რელიეფური გამოსახულებით. ნაწილს აქვს მხოლოდ სარწმუნოებრივ-სიმბოლური და დეკორატიული რელიეფები - მედალიონში ჩასმული და აყვავებული ჯვარი; ჯვრიანი შტანდარტი ვაზის ნაყოფითა და ფოთლით, სხვადასხვა მცენარეული და გეომეტრიული სახეები, ნაწილს აგრეთვე - ფიგურული კომპოზიციები, აღებული ძველი და ახალი აღთქმიდან და, ხშირად, წმინდანების, სასულიერო და საერო პირების - ქტიტორების გამოსახულებები. ბაზებსა და სვეტებზე ამოკვეთილია სხვადასხვა შინაარსის წარწერები.

სტელებმა მკვლევართა ყურადღება მიიქცია საუკუნის დამდეგიდან. 1916 წელს იაკობ სმირნოვი სომხეთში მოგზაურობის დროს შემთხვევით გაეცნო სტელებს. მან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა სომხეთის ამ ძეგლებს; შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი მეცნიერული გამოკვლევა სტელების შესახებ; სამწუხაროდ, ის დღემდე არ გამოქვეყნებულა.[1]

1936-37 წლებში ლ. მუსხელიშვილმა ქვემო ქართლში, დმანისის რაიონში, მაშავერასა და დამბლუტის წყლის ხეობაში, აღმოაჩინა და გათხარა მანამდე უცნობი, მეტად საინტერესო არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები. ამასთან ერთად, მიკვლეულ იქნა რამდენიმე სტელა და სტელის ფრაგმენტი. ეს ძეგლები გამოქვეყნებულია მუსხელიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომებში,[2] სადაც ისინი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით არის განხილული.

დაწვრილებით არის განხილული „ქვაჯვარები" და მათ შესახებ არსებული ლიტერატურა პროფ. ვ. თოფურიას ნაშრომში.[3] აქ თავმოყრილია პირადად ავტორისა და აგრეთვე სხვა მეცნიერების მიერ ნანახი და რეგისტრირებული ყოველგვარი სახეობის „ქვაჯვარა" და მათ შორის ქვის სვეტებიც. ვ. თოფურია მოკლედ მიმოიხილავს ჯვრის კულტის წარმოშობასა და ჯვრის სხვადასხვა სახეობას. დასკვნაში ჩამოყალიბებულია დაკვირვებები „ქვაჯვართა" გავრცელებაზე, მათ ფორმებზე, ხასიათისა და მნიშვნელობის ცვალებადობაზე, ხნოვანებაზე.

ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით სტელების შესწავლას პირველად იწყებს აკად. გ. ჩუბინაშვილი. სტელების გავრცელების ხანას გ. ჩუბინაშვილი განსაზღვრავს ოთხი საუკუნით (V-VIII სს), აყენებს მათ სომხეთის ასეთივე ძეგლების გვერდით, და სრულიად გარკვეულ ადგილს მიუჩენს ქართული პლასტიკის ძეგლთა შორის,[4] მის მიერ მიღებული დასკვნები ემყარება იმ დროისათვის ცნობილი სტელების მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს. სტილის მხატვრული ანალიზი გ. ჩუბინაშვილს გაღრმავებული აქვს მონოგრაფიაში „ბოლნისის სიონი",[5] სადაც განხილულია ამ ძეგლზე აღმოჩენილი სტელები და სტელების ფრაგმენტები. ბოლნისის სტელების შემკულობაში ხმარებული მოტივების შესწავლისას ავტორს წარმოდგენილი აქვს მათი სტილის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებები, გამოყენებული ტექნიკური და მხატვრული ხერხები, ასევე მათი უახლესი პარალელები ქართული, სომხური, სირიული და დასავლური ჯგუფის ადრექრისტიანული ხანის ხელოვნების ძეგლებთან. აკად. გ. ჩუბინაშვილმა გვაჩვენა ის გზა, რომლითაც უნდა განვითარებულიყო სტელების ხელოვნებათმცოდნეობითი შესწავლა. ხელოვნებათმცოდნეობის კუთხით აქვს შესწავლილი სტელები ნ. ჩუბინაშვილს მონოგრაფიაში „ხანდისი". ხანდისის სტელის მაგალითზე ნ.ჩუბინაშვილი ეხება ადრექრისტიანული ხანის ქართულ ხელოვნებაში რელიეფის განვითარების პრობლემებს.[6] ბოლოდროინდელი

1 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ.I, 1936, გვ. 212.

2 ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიციები მაშავერას ხეობაში, თბილისი, 1941; მისივე, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, ტ. III, 1938.

3 ვ. თოფურია, ქვაჯვარანი საქართველოში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი IV, 1942.

4 გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211-216.

5 გ. ჩუბინაშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, ტ. IX, 1940.

6 Н.Г. Чубинашвили, Хандиси, т. I, 1972.

პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია კ. მაჩაბლის სამეცნიერო სტატიები, მიძღვნილი სტელების რელიეფებისადმი.[7] ავტორი ცალკეული სტელების რელიეფების იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზის საფუძველზე ახასიათებს ადრეფეოდალურ ქართულ პლასტიკას და განსაზღვრავს მისი განვითარების თავისებურებას. ამ გამოკვლევების შედეგად ქართული სტელები ექცევა ადრექრისტიანული ხანის ძეგლების წრეში.*

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სტელებს ისტორიულ-არქეოლოგიურ გამოკვლევებში. ასეთებია, მაგალითად, ვ. ჯაფარიძის მონოგრაფია,[8] სადაც გაშუქებულია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი როგორც არქიტექტურული ძეგლები, ასევე სტელები; ჯ. ამირანაშვილის მონოგრაფია ბოლნისის რაიონის „ლამაზი გორის" ძეგლების შესახებ.[9]

სამეცნიერო ლიტერატურაში სტელები სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიება: „ქვის სტელა",[10] „ოთხწახნაგა ბოძი", „სვეტი",[11] „ქვაჯვარა",[12] „ქვაშვეთი".[13] მათი დანიშნულების შესახებ სხვადასხვა აზრია: აკად. გ. ჩუბინაშვილი მათ მემორიალურ ძეგლებად მიიჩნევს, ნ. ჩუბინაშვილი თვლის, რომ სტელები ადრეულ ხანაში საკულტო ძეგლებს წარმოადგენდნენ, ალ. ჯავახიშვილი კი სტელებს საკულტო-მემორიალურ ძეგლებს უწოდებს. თავის დროზე საინტერესო მოსაზრება წამოაყენა ლ. მუსხელიშვილმა: „ჩვენ გვაქვს ბოლნური მედალიონებით შემკული სტელები, რომლებიც უფრო საფლავის ძეგლებს გავს" - წერს იგი. ეს მოსაზრება ფაქტიურად ვერ იქნა დამტკიცებული და ამიტომ არ არის გაზიარებული ამ პრობლემით დაინტერესებულ მეცნიერთა მიერ.

ახალი აღმოჩენები უფრო ზრდის სტელების მიმართ ინტერესს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს დუშეთის რაიონის სოფ.დავათის მახლობლად ღვთისმშობლის ეკლესიის ბურჯში ჩაშენებული სტელები.[14] სტელის ფრაგმენტი გარდაბნის რაიონის სოფ. საცხენისიდან (ამჟამად ორივე სტელა ინახება სახ.მუზეუმში), სტელის ფრაგმენტი ნაეკლესიარ „ბერიჯვრიდან"[15] (ახალგორის რ-ნი, ამჟამად ინახება ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში), სტელის კაპიტელი და ტანის ფრაგმენტი დმანისის რ-ნის სოფ. გორადან (ამჟამად ინახება საქ.სახ.მუზეუმში)[16] და სხვა. ფიგურული რელიეფებითა და ორნამენტებით შემკული სტელებით ყველაზე უფრო მდიდარი ჩანს ისტორიული ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება ისინი შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

როგორც აღვნიშნეთ, სტელები შემკული იყო ფიგურული რელიეფებითა და ორნამენტებით. ქართული ქანდაკება განვითარების ადრეულ ხანაში ფართოდ სარგებლობდა ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოებიდან გადმოღებული იკონოგრაფიით. ამასთან ერთად, სტელების მხატვრულ გაფორმებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მემკვიდრეობით მიღებულ წარმართული ეპოქის სასანური და გვიანანტიკური ხანის გამომხატველობით მოტივებსა და თემებს; ახალი, ქრისტიანული რელიგიისა და ხელოვნების გავრცელების ხანაში მათ შეიძინეს ორიგინალური გამომსახველობითი ხასიათი და ახალი სემანტიკური მნიშვნელობა. საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი ადრეული სტელები მიეკუთვნება V საუკუნის დასასრულს - VI ს. დასაწყისს (ბოლნისის სიონი, „ლამაზი გორა"). ფართო გავრცელება ჰპოვეს მათ VI საუკუნესა და VII საუკუნის I ნახევარში.

სტელების რელიეფურ დეკორში ვლინდება ადრეფეოდალური ხანის ტაძრების ფასადების რელიეფის

---

7 კ. მაჩაბელი, ძველი ქართული პლასტიკის საწყისებთან, „საბჭოთა ხელოვნება", 1985, N 10; ადრეფეოდალური ხანის ქართული პლასტიკის ძეგლები, საბჭოთა ხელოვნება, N 10, 1986, გვ. 46-60; ადრე ქრისტიანული ქართული პლასტიკის განვითარების ზოგიერთი თავისებურება, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართ.ხელოვნების ისტ.ინსტ.შრომები - ქართული ხელოვნება, 1987, N 8, გვ. 157-165; ქვაჯვარის გამოსახულება ძველ ქართულ ძეგლებზე. „საბჭოთა ხელოვნება", N 7, 1988. გვ. 63-78.

* საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა სტელებს ა.ჯავახიშვილმა. მისი მონოგრაფია - ადრექრისტიანული ხანის ქართული საკულტო-მემორიალური ძეგლები, დაწერილი 1949 წელს, გამოუქვეყნებელი დარჩა.

8 ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, „მეცნიერება", 1981.

9 ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, „მეცნიერება", 1968.

10 ვ. თოფურია, დასახ.ნაშრ., გვ. 42.

11 ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში, გვ.115.

12 გ. ჩუბინაშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ. 214.

13 ალ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი.

14. Р.М. Рамишвили, Г.М. Рчеулишвили и др. Основные результаты работ Жинвальской археологической экспедиции, П.А.И. 1980, Тбилиси, стр. 58, таб.LXXXVIII; კ. წერეთელი, სტელები სოფ.დავათის ღვთისმშობლის ეკლესიიდან, ძეგლის მეგობარი, N 8, 1984, გვ. 43-48; რ. პატარიძე, დავათის ქვა-ჯვარის ქართული ანბანი, „მნათობი", N 3, 1987; გ. ნარსიძე, დავათის ქვა-ჯვარი, „მნათობი", N 4, 1987; გ. ნარსიძე, დავათის ქვა-ჯვარი (წერილი მეორე), „მნათობი", N 8, 1987.

15 გ. ოთხმეზური, სტელა ნაეკლესიარ „ბერიჯვრიდან", მაცნე, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია, N 1, 1987, გვ. 33-39.

16 გ. ჯავახიშვილი, სტელის ფრაგმენტი სოფელ გორადან, „საბჭოთა ხელოვნება", N 8, 1988.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტილისტური ნიშნები. როგორც ცნობილია, ამ ხანის ქართული ქანდაკებისათვის დამახასიათებელია შესრულების ორი სტილისტური მანერა: სიბრტყობრივ-დეკორატიული, როცა ფორმა შექმნილია მკვეთრად ჩაჭრილი კონტურული ხაზით და სკულპტურული, როდესაც ფორმას გარკვეული მოცულობითობა აქვს. ქვემო ქართლის სტელების რელიეფებში თავს იჩენს მიდრეკილება ფორმათა მეტი სკულპტურულობისაკენ. აღნიშნული თავისებურება ჩანს როგორც ორნამენტულ გაფორმებაში (მცენარეული და გეომეტრიული მოტივები, ჯვარი, ცხოველთა გამოსახულება: ტაბ.I, სურ.2; ტაბ. IV, სურ. 2), ასევე ადამიანთა ფიგურების გადმოცემაში (ტაბ. XLIII, სურ.2). შესრულების სკულპტურული მანერა აქ მნიშვნელოვნად განპირობებულია არა მარტო ფორმათა მოცულობებით, არამედ კონტურული ხაზის ლაკონიზმით, სიმკაცრით, მისი კუთხოვანი ხასიათით; ეს, სტელის სიბრტყის საერთო კომპოზიციის განზოგადებულ გადაწყვეტასთან ერთად, განსაზღვრავს ფორმის სტატიკურობას და აძლიერებს მის სკულპტურულ ხასიათს. ამიტომაცაა, რომ ქვემო ქართლის სტელების რელიეფებში ვლინდება მონუმენტურობის გრძნობა. აღნიშნული სტილისტური თავისებურება განსაზღვრავს ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლების რელიეფების ხასიათს. ამის ნათელი ნიმუშებია ბოლნისის სიონის, აკვანების მდიდარი რელიეფური დეკორი (მცენარეული მოტივები, ბოლნური ჯვარი, გეომეტრიული ორნამენტები). ქვემო ქართლის ქანდაკების ნათლად გამოვლენილი სტილისტური ორიენტაცია შესაძლოა მიუთითებდეს აქ საერთო მხატვრული ტრადიციის (სახელოსნო, სკოლა) არსებობაზე.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი სტელებიდან ყველაზე ადრეულები VI ს-ს მიეკუთვნება. განსხვავებით ქვემო ქართლის სტელებისაგან, რომელთა დეკორს უმეტესად მცენარეული და გეომეტრიული მოტივები შეადგენდა, შიდა ქართლის სტელების ზედაპირი ძირითადად დაფარული იყო ფიგურული კომპოზიციებით, თუმცა აქაც ხშირად გვხვდება ქვემო ქართლის სტელების მცენარეული და დეკორატიული მოტივების ანალოგიები. შიდა ქართლის სტელების ფიგურულ კომპოზიციაში ჩანს ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბების გარკვეული საფეხური და ამ მხრივ ვლინდება ზოგადი მსგავსება ადრექრისტიანული ხელოვნების ძეგლებთან, კერძოდ - სირიისა და პალესტინის ამ ხანის ხელოვნებასთან. თავისთავად ეს ფაქტი მიუთითებს შიდა ქართლის ეკონომიურად და კულტურულად წამყვან მნიშვნელობაზე იმდროინდელ საქართველოს ფარგლებში (ეს გულისხმობს შიდა ქართლის მხატვრული განვითარების შედარებით მაღალ დონეს და მის წამყვან მნიშვნელობას სხვა რეგიონებთან შედარებით).

ქრისტიანული იკონოგრაფიის განვითარებამ, ქრისტიანული სიმბოლოებისა და სახარების სცენების ცალკეული კომპოზიციების გამოსახვამ, მეტი ინფორმაციის მოწოდების სურვილმა განსაზღვრა სტელის ზედაპირის მეტი დანაწევრება (ჩარჩოში ჩასმული ერთი, ორი ან მრავალფიგურიანი კომპოზიციები, ქრისტიანული ატრიბუტები და სხვა). ამან გამოიწვია ხაზის, ფორმის დანაწევრება და რელიეფის შესრულების მანერის შეცვლა. ქვის ზედაპირის ერთიანი დეკორატიული გაფორმებისაკენ სწრაფვა, რაც ქვემო ქართლის ძეგლებში ხშირად იმდენად მხატვრული ინტუიციით არ აიხსნება, რამდენადაც გამომსახველი მოტივების სიძუნწით, იცვლება პროპორციათა და ფორმათა დაქუცმაცებით, სახვითი ტენდენციის წინა პლანზე წამოწევით. ეს, უმრავლეს შემთხვევაში, აქვეითებს ქვის ზედაპირის გაფორმების იმ მონუმენტურ-დეკორატიულ ხასიათს, რომელიც უფრო დამახასიათებელი ჩანს ქვემო ქართლის ძეგლებისათვის. გამონაკლისია ცალკეული სტელები, პირველ რიგში ისეთი, როგორიცაა ხანდისის, დავათის, უსანეთისა და კატაულას სტელები, რომლებშიც გამომსახველობითი მხარე ექვემდებარება საერთო მხატვრულ-დეკორატიულ გადაწყვეტას..

უკვე ითქვა, რომ შიდა ქართლის რელიეფების გამომსახველობითი ენა ნაკლებად განზოგადებულია, ფორმა დანაწევრებულია. აღნიშნული სტილისტური თავისებურება გამოწვეულია ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანული მცირე ფორმის ხელოვნების ნიმუშების გავლენით, რომლებიც საქართველოში შემოჰქონდათ (მდიდრულად გაფორმებული სახარების ყდები, ხატები, ამპულები და სხვა). მცირე ფორმის სახვითი ხელოვნების ძეგლის გამომსახველობითი ენის თავისებურება-ფორმის დანაწევრება, ნაკლები მასიურობა, მეტი დახვეწილობა, ზოგ შემთხვევაში ფორმის მეტი დასრულებულობა, ის ნიშნებია, რომლებიც შიდა ქართლის სტელების რელიეფებს ახასიათებს. აქედან გამომდინარე, რელიეფში უფრო მკვეთრად იჩენს თავს ხაზის წამყვანი მნიშვნელობა, გრაფიკული საწყისი, რომელიც საზოგადოდ VIII ს. უფრო მკვეთრ ხასიათს იძენს (კატაულას, უსანეთის სტელები).

სამცხე-ჯავახეთში ცნობილი სტელების ქრონოლოგიური ჩარჩოები VI-VIII საუკუნეებია. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ აქ გავრცელებული სტელები ფორმითა და შემკულობით მკაფიოდ განსხვავდებიან ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის სტელებისგან. სამცხე-ჯავახეთში სტელები ძირითადად ორნაირია: შედარებით დიდი ზომის მაღალი ოთხწახნაგა სვეტი და დაბალი სვეტი, რომელსაც პირი და ზურგიც უფრო განიერი აქვს, ვიდრე გვერდების წახნაგები. პირველ შემთხვევაში სტელის დიდი ზომა განსაზღვრავს მის მო-

ნუმენტურ ხასიათს და წარმოადგენდა ძეგლს, რომელიც განასახიერებდა ზოგადად ქრისტიანობის აღიარებას.
მეორე შემთხვევაში სტელის მცირე ზომა შეეფარდებოდა მის შედარებით კერძო დანიშნულებას, განასახიე-
რებდა რა სალოცავ ხატს, ტაძარს. სტელის ფორმას შეესაბამებოდა რელიეფური დეკორის ხასიათი. მაღალი,
მონუმენტური სტელების ტანი უმეტესად სადაა. დაბალი სტელების ზედაპირი დაფარულია ქრისტესა და
ქრისტიანობის სიმბოლოებით (ჯვარი, ვაზი, ყურძნის მტევნები); გამომსახველობითი მოტივების სიძუნწე,
ფორმის ლაკონიზმი, სტელის ზედაპირის გაფორმების ერთიანი დეკორატიული ხასიათი აქცევდა მათ ქრის-
ტიანობის სიმბოლოებად.

მცირე ზომის სტელების რელიეფური დეკორი შეიცავდა როგორც ქრისტეს სიმბოლურ გამოსახულებებს,
ასევე თაღებისა და ნიშების, მცენარეული მოტივების, ცხოველთა და საერო პირებისა და წმინდანების ცალკეულ
ფიგურებს. გვხვდება აგრეთვე სახარების სცენებიც (მაგალითად, დღესდღეობით ცნობილია სტელა ნაღვარე-
ვიდან). აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში, მიუხედავად სტელების დიდი რაოდენობისა, მხოლოდ გამო-
ნაკლისის სახით გვხვდება სიუჟეტური გამოსახულებები, რაც მოწმობს ეკლესიის გავლენის სისუსტეს. ქვემო
და შიდა ქართლის სტელებთან შედარებით სამცხე-ჯავახეთის სტელების რელიეფების შესრულების მანერაში
შესამჩნევი განსხვავებაა. მათთვის დამახასიათებელია მარტივი, არქაული გამომსახველობითი ენა, ხაზის
ტლანქი ხასიათი, მოუქნელობა. მხატვრული სახის ერთგვარად გულუბრყვილო გამომსახველობასთან ერთად
გვხვდება ფორმის არქაიზაცია და გარკვეული შტამპი. როგორც აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთის სტელების
რელიეფების იკონოგრაფიული და სტილისტური განუვითარებლობა მიუთითებს აქაური ხელოვნების პრო-
ვინციულ ხასიათზე.

ჩვენი ნაშრომი არსებითად არის სტელების კორპუსი, რადგან, შემთხვევითი გამონაკლისის გარდა, ის
შეიცავს სადღეისოდ ცნობილ ყველა ასეთ ძეგლს. მათი დაჯგუფება ვარჩიეთ საქართველოს ისტორიული
პროვინციების მიხედვით, თითოეულ მათგანში კი - ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.
ყოველი ძეგლის დასახელებას ახლავს მოკლე ცნობა მასალის, ზომების, სადაურობის, თარიღის, ადგილმ-
დებარეობის შესახებ, აგრეთვე - საინვენტარო ნომერი (როცა ის მუზეუმის საცავშია მოთავსებული) და საი-
ლუსტრაციო ნომერი.
ანოტაციაში მოცემულია ძეგლის იმ თავისებურებათა მოკლე აღწერილობა, რომლებიც ძნელად გასარკ-
ვევია ან სრულიად არ ჩანს ფოტორეპროდუქციაზე, აგრეთვე - მათზე მითითებული სხვადასხვა ხასიათისა და
შინაარსის წარწერები. აქვეა დასახელებული მათ შესახებ არსებული ლიტერატურა.
ვიმედოვნებთ, რომ ქართული სტელების ეს კრებული სარგებლობას მოუტანს სპეციალისტებს და ახალ
ბიძგს მისცემს მათ შემდგომ კვლევას.
ბუნებრივია, ქართული სტელების თავმოყრის ეს პირველი ცდა უნაკლო არ იქნება. სხვა რომ არა იყოს
რა, უეჭველია, გამორჩენილი იქნება ზოგიერთი, შესაძლოა მნიშვნელოვანი ძეგლი. ავტორი მადლობით მიიღებს
მკითხველთაგან ყოველგვარ შენიშვნას.

## ქვემო ქართლის სტელები

N 1. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოყვითალო კირქვა, 100X35X32 სმ.
ბოლნისის სიონი, VII-VIII სს; სსმ N 207

ტაბ. I, სურ. 1, 2, 3, 4

ოთხწახნაგა სვეტის წიბოები მომრგვალებულია და შექმნილია ცრუ სვეტები. პირი ორმაგი წვრილი
ლილვებით დანაწევრებულია მონაცვლეობით, კვადრატულ და სწორკუთხა ჩარჩოებად, რომლებშიც ჩასმულია
შესაბამისად გეომეტრიული და სიმბოლური სახეები. ქვედა ფრაგმენტზე - სტილიზებულ შეფოთლილი ყლორ-
ტის ქვეშ, ფარშავანგი, რომელიც კენკავს ყურძნის მტევანს. მის ზემოთ მცირედ გართულებული წნულის სახე
კვადრატში პატარა ვარდულით შუაგულში (სურ.2); ფარშავანგი მარჯვენა პროფილში მჯდარი მსხვილ ვარ-
დულზე, კისრამდე გამობმული სტილიზებული სამფურცელა ყვავილით და მომცრო ვარდულით. თავთან, სვეტს
ამთავრებს ვერტიკალური მსხვილი კანელურების ჰორიზონტალური ზოლი, რომელიც ირგვლივ უვლის.
მარცხენა და მარჯვენა (სურ. 1,2,3) წახნაგებზე ამოკვეთილია მონაცვლეობით მარცხნივ და მარჯვნივ მი-
მართული მსხვილი ხუთფურცლიანი სტილიზებული ფოთლებისაგან შედგენილი ტალღოვანი დეკორატიული
ზოლი. ზურგი შემკულია ორმხრივ სიმეტრიულად გაშლილი მრავალფოთლოვანი ვერტიკალური ღეროთი

(სურ. 4). კვეთა სუფთაა, ოსტატური; დაზიანებულია - ალაგ-ალაგ ჩამოტეხილია წიბოები, აკლია ბოლო ნაწილი.

N 2. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მოყვითალო კირქვა, 170X35X32 სმ ბოლნისის სიონი, VII-VIII სს. სსმ N 208.

ტაბ. II, სურ.1, 2, 3, 4.

ოთხწახნაგა სვეტის წიბოები მომრგვალებულია და შექმნილია ცრუ სვეტები. პირი ორმაგი წვრილი ლილვებით დანაწევრებულია მონაცვლეობით კვადრატულ და სწორკუთხა ჩარჩოებად, რომელშიც ჩასმულია, შესაბამისად, გეომეტრიული და სიმბოლური სახეები. ქვედა ფრაგმენტზე კვარცხლბეკში ჩასადგმელი, სუფთად გათლილი ,,ფეხის'' ზემოთ, სტილიზებული ოთხფურცელასაგან შექმნილი, ბოლოებგაფართოებული ტოლ-მკლავა ჯვრის მოტივი; სამხარისხიან კვარცხლბეკზე აღმართული მაღალი, ბოლოებგაფართოებული მკლავებიანი ჯვარი და, მის ორივე მხარეს, თითო სტილიზებული ფოთოლი; შუათანა ფრაგმენტზე - რომბისა და მის გვერდებზე გამობმული წრეებისაგან შექმნილ სახეში ჩასმული მსხვილი ორმაგი ვარდული (სურ.2). დანარჩენი ორი წახნაგი შემკულია მარცხნივ და მარჯვნივ მიმართული მსხვილი ხუთფურცლიანი სტილიზებული ფოთლებისაგან შედგენილი ტალღოვანი დეკორატიული ზოლით (სურ.1,3). ზურგი შემკულია ორმხრივ სიმეტრიულად გადაშლილი მრავალფოთლიანი ვერტიკალური ღეროთი (სურ.4). კვეთა სუფთა ოსტატური. დაზიანებულია - უნდა აკლდეს შუა ნაწილი.

N 3. სტილის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, 48X40X23 სმ. ბოლნისის სიონი, VI ს, სსმ N 210

ტაბ. III, სურ. 1,2.

ერთ-ერთ გვერდზე გადარჩენილია მსხვილი, მონაცვლეობით მარცხნივ და მარჯვნივ მიმართული ხუთფურცლიანი სტილიზებული ფოთლებისგან შედგენილი ტალღოვანი დეკორატიული მოტივი (სურ.1). მეორე გვერდის წახნაგზე გადარჩენილია პარალელური ხაზებით შედგენილი რელიეფი (სურ.2). ძალზე დაზიანებულია.

N 4. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი. კირქვა, 35X28X27 სმ. ბოლნისის რ-ნი, ბუჩურაშენის ეკლესიიდან. V-VI ს. (ვ. ჯაფარიძის მიხ.), სსმ N 648

ტაბ. IV, სურ. 1,2,3,4.

კუბური მოყვანილობის კაპიტელის პირი (სურ.1) შემკულია ე.წ. აყვავებული მოტივით - ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილი, წრეში ჩასმული, მოკლებუნიანი ბოლნური ჯვარი და მედალიონის გარეთ, ქვედა კუთხეებში - მორკალური ღეროები, ზედა კუთხეებში - სამ-სამი ფოთოლი, მედალიონის თავზე ერთიმეორეში თავშექცევით ჩასმული ნახევარწრეებისაგან შედგენილი ფრიზი. მარჯვენა გვერდის ქვემო ნაწილში (სურ.2) შერჩენილია ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილი დიაგონალური ბადის ზოლი და მის თავზე, იგივე მოტივი, რაც პირის ფრიზზე. მარცხენა გვერდზე (სურ.3) გამეორებულია პირის მედალიონი, მხოლოდ ჯვრის ნაცვლად მასში ჩასმულია ექვსფურცლიანი ვარდული; ფურცლები წაწვეტებულია და ზედაპირი ამოღარული. თავზე დიაგონალურად დაღარული ფრიზი. ზურგი (სურ.4) შემკულია რელიეფური დიაგონალური ბადით.

რელიეფი მიღებულია ფონის დადაბლებით და ცერადკვეთით თავზე შერჩენილია ჯვრის ჩასამაგრებელი ფოსოს კვალი (სურ.I). ჩამოტეხილია მარჯვენა მხარის მეტი ნაწილი პირისა და ზურგის ზედა კუთხეებიანად.

*ლიტერატურა*: ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან. ტაბ. LXVI, სურ.1, ტაბ. LXVII. სურ.1, ტაბ. LXVIII, სურ. 1.2.

N 5. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი. ნაცრისფერი ქვა, 25X19 სმ. ბუჩურაშენის ეკლესიიდან. ბოლნისის რ-ნი, V-VII სს. სსმ

ტაბ.V, სურ.1,2.

პირზე დაბალი რელიეფით, ნაწილობრივ ცერადკვეთით გამოსახულია სამკუთხედებით შევსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრიულ მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი (სურ.1); მის თავზე სტილიზებული პალმეტების ფართო ზოლი, მარჯვენა გვერდზე ნახევარპალმეტით (სურ.2). მარცხენა გვერდი და ზურგი ჩამოტეხილია.

*ლიტერატურა*: ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 44. ტაბ. LXVI, სურ.2, ტაბ.LXVII, სურ. 1,2.

N 6. სტელის ფრაგმენტი - ტანის ზედა ნაწილი, კაპიტელი მომწვანო ტუფი, 35X15X15 სმ. ბოლნისის რ-ნი, სოფ.ბალიჭი. VI საუკ. სსმ N 1152.

ტაბ. VI, სურ.1,2,3,4.

ტანთან შედარებით მოდიდო კუბური კაპიტელის პირზე გამოკვეთილია წვრილი დიაგონალური პარალელური ღარებით მიღებული გრეხილი მედალიონი შიგ ჩასმული ბოლნური ჯვრით. ჯვრის მკლავები ცერადკვეთილია. ტანზე ვერტიკალური რელიეფური ზოლებით გამოყოფილი კუთხის ნახევარსვეტებს შორის ისეთივე, მხოლოდ მომცრო ჯვრიანი, მედალიონია როგორც კაპიტელზე (სურ.2); წვრილღეროიანი ბუნით ის თითქოს შეკიდულია კაპიტელზე, ბუნის ორივე მხარეს კი გამოკვეთილია მოგრძო ფოთლის თითო წვერი.

კაპიტელის მარჯვენა და მარცხენა წახნაგები შემკულია ერთნაირად, მცენარეული მოტივით - მოკლე ღეროზე ამართული სამფურცელა ლოტოსის ყვავილი და მისი ძირიდან ორმხრივ ამართული მსხვილი ფოთოლი პატარა ბუნით (სურ.2,3). სვეტის ტანის მარჯვენა წახნაგზე ვერტიკალურადაა გამოკვეთილი ჰორიზონტალური მცენარეული მოტივი ურთიერთგადამკვეთი ნახევარრკალებისა და მათზე გამობმული სამფურცელა ყვავილების მწკრივი (სურ.1); სვეტის მარცხენა წახნაგზე - მსხვილი, ოვალური ფოთოლი თევზისებურად დაღარული გვერდით და ზემოთ კაპიტელის ძირიდან „გამოყოფილი" სამი მოგრძო ფოთლის წვერი (სურ.3). მეოთხე წახნაგი გლუვია. ზედა სიბრტყეში ამოღებულია წრიული ფოსო ჯვრის ჩასამაგრებლად. დაზიანებულია - ჩამოტეხილი და გადატეხილია წიბოები და ზედაპირი.

*ლიტერატურა*: ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 336. ტაბ.XVII-XVIII, სურ. 1.2.

N 7. სტელის სვეტის თავი. მონაცრისფრო ტუფი. 54X32 სმ. ბოლნისის რ-ნი, სოფ.ბალიჭი. სხსმ N 155.

ტაბ VII, სურ. 1,2.

სტელის ორივე წახნაგზე გამოკვეთილია ჰორიზონტალურად გოფრირებული სამ-სამი ნახევარსვეტი, რომლებსაც აგვირგვინებს კუბური თავი (სურ. 1.2), მის პირზე გამოკვეთილია ბოლნური ჯვარი ცერადკვეთილი სამკუთხედების მედალიონში; ჯვრის ოთხივე მკლავს ამკობს თითო ბურთულა (სურ.1). მარჯვენა და მარცხენა წახნაგები შევსებულია სტილიზებული ყვავილითა და მის ორივე მხარეს ამართული თითო ნახევარპალმეტით (სურ.2), კაპიტელის ზედა წიბოს გასდევდა ვიწრო ზოლი, შევსებული ან პალმეტებით, ან სამკუთხედებით; კვეთა ღრმაა, თავისუფალი, ლონიერი. დაზიანებულია - ზურგის რელიეფი გაურკვეველია. წიბოები და წახნაგები ალაგ-ალაგ ამოტეხილია.

*ლიტერატურა*: ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83, ტაბ.XV, სურ.2.

N 8. სტელის კაპიტელი, მონაცრისფრო ტუფი. 55X51. ბოლნისის რ-ნი, სათხე (ჩაშენებული იყო ეკლესიის ეკვდერის სამხრეთ კედელში). V-VII სს (ვ. ჯაფარიძის მიხ.), არქეოლოგიური კვლევის ცენტრი.

ტაბ. VIII, სურ. 1,2,3,4.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის კაპიტელის გვერდები ოდნავაა შედრეკილი, რის გამოც იქმნება წინ წამოწეული ვიწრო ფრიზი, შემკული ცერადკვეთილი სამკუთხედებითა და გადაჯვარედინებული რკალების მოტივით. პირზე ფონის დადაბლებით გამოკვეთილია სამკუთხედებიან წრიულ მედალიონში მოთავსებული ბოლნური ჯვარი, რომლის მკლავებზე თითო ბურთულა ზის (სურ.1). მედალიონი დასმულია მოკლე ბუნზე, რომლიდანაც იქით-აქეთ გადაშლილია თითო სტილიზებული ფოთოლი (აყვავებული ჯვრის მოტივი).

მარცხენა გვერდზე გამოკვეთილია მოკლე ბუნზე ამართული ბოლო გაფართოებული ტოლმკლავებიანი ჯვარი, შემკული რელიეფური რგოლებით (სურ.2). მკლავებს შორის მოთავსებულია უბეებთან მოკლე ღეროებით დაკავშირებული წყვილი ყურძნის მტევანი ქვემოთ და წყვილი ფოთოლი ზემოთ.

დანარჩენ ორ წახნაგზე გამოკვეთილია თითქმის სავსებით ერთნაირი, მოკლე ბუნზე ამართული

წვრილღეროიანი მრავალფურცლოვანი ორმაგი ყვავილი და მის ორივე მხარეს სიმეტრიულად აღმართული წყვილი ნახევარპალმეტი (სურ.3.4).

კვეთა თავისუფალია, მოცულობითი, ოსტატური, ცოცხალი. ზედა სიბრტყეზე ამოჭრილია 3 მთავრული ასო - ბ, რ, ა. ბანი თაშეკრულია.

*ლიტერატურა: ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ.IX.*

## N 9. სტელის დამაგვირგვინებელი ჯვრის საყრდენი. მომწვანო ტუფი, 30X23X14, ბოლნისის რ-ნი, VII ს.. სსმ N 379.

ტაბ. IX, სურ. 1,2.

ჯვრის ბაზას მიცემული აქვს დაბალი ოთხკუთხა საყრდენზე დამყარებული სვეტოვან-კამაროვანი ნაგებობის სახე; მისი ფასადი ოთხივე მხრიდან მთავრდება ზემოდან გადათლილი ნახევარწრიული ფრონტონით, რის შედეგადაც ზედა სიბრტყეზე იქმნება გადაბმულმკლავებიანი მსხვილი ჯვარი. სვეტოვან კამაროვანის თითოეული გვერდი დამოუკიდებლად და განსხვავებული მანერითაა დამუშავებული.

პირი შემკულია წყვილი ნალისებური კამარით, რომლებიც ცერადკვეთილი სამკუთხედებით შევსებულ პილასტრებს ეყრდნობა; მათ თავზე ასეთივე პატარა კამარებით ფრიზია, რომელზეც ნახევარწრიულად, ზევიდან გათლილ ტიმპანისებურ არეში ჩასმულია ორმაგ წრეში მოთავსებული რვაფურცლიანი ვარდული და მის იქით-აქეთ კონცენტრული ნახევარრკალებით შედგენილი სახე. მცირედ გამოშვერილ, კუთხეებჩამოთლილ დაბალ საყრდენს მთლიანად გასდევს რვაფურცლიანი ვარდულების ზოლი (სურ.1).

მარცხენა წახნაგის სუფთად გათლილი ზედაპირი ვიწრო ღარით შემოჩარჩოებულია და ვერტიკალურადაა დაყოფილი სამ ნაწილად, შესაბამისად მის თავზე ოდნავ წინ წამოწეულ ფრიზზე გამოკვეთილია 3 კამარა (სურ.2). პირი დამუშავებულია გულდასმით, მოცულობითად, დამატებითი დეკორატიული ღარებით. მარცხენა გვერდზე ასევეა გადმოცემული მხოლოდ კამაროვანი. დანარჩენ წახნაგებზე დაზიანებისაგან არაფერი არ იკითხება. ჩამოტეხილია მარჯვენა გვერდი, პირის მარჯვენა კუთხე და ნახევარი.

## N 10. სტელის კაპიტელი, მონაცრისფრო ბაზალტის ქვა, 32X26 სმ. ბოლნისის რ-ნი, V-VI ს. სსმ N 587.

ტაბ. X, სურ. 1,2,3.

კაპიტელის ზედა ნაპირს გარს უვლის მსხვილი „გრეხილი" ლილვი. პირზე გამოსახულია ჯამისებრი ქუსლიანი ორყურა ვაზა, რომლიდანაც ამოზრდილია მცენარე, სიმეტრიულად გადაშლილი წყვილ-წყვილი მტევნით, რომბული ყვავილითა და მოგრძო ფოთლით (სურ.1). მარჯვენა და მარცხენა წახნაგები შემკულია ბოლნური ჯვრიანი თითო მედალიონით, მარჯვენა წახნაგზე მედალიონის იქით-აქეთ სწორკუთხა საყრდენზე აღმართულია თითო მცენარე წყვილ-წყვილი კოვზისებური ფოთლით (სურ.2). მარცხენაზე ასეთივე მცენარეები გამობმულია მედალიონზე (სურ.3). ჯვრების მკლავებს აზის თითო-თითო რელიეფური ბურთულა. ზურგი სადაა. ზედა სიბრტყეში ამოკვეთილია დიდი სწორკუთხა დაბალი ღრმული, მის ცენტრში კი წრიული ფოსო სოლისათვის, კვეთა ტლანქია, მოუხეშავი. მცირედ დაზიანებულია - კუთხეები და ნაპირები ალაგ-ალაგ ჩამოტეხილია.

## N11. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 38X17X15 სმ. ბოლნისის რ-ნი, VI-VII სს. სსმ N 376.

ტაბ. XI, სურ. 1,2.

ოთხწახნაგა სვეტის ბოლო სუფთადაა გათლილი კვარცხლბეკში ჩასადგმელად. მომრგვალებულ კუთხეებთან გავლებული რელიეფური ლილვებით წახნაგებზე გამოყოფილია ვერტიკალური არეები. ერთი წახნაგის ასეთ არეზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მაღალი ბუნით აღმართული გრეხილიანი მედალიონი ბოლნური ჯვრით. ბუნზე ორი მხრიდან გამოზრდილია თითო სტილიზებული ფოთოლი. ჯვრიანი მედალიონის ზემოთ შერჩენილია ჯვრიანი შტანდარტის ორსაფეხურიანი კვარცხლბეკი (სურ.1). მეორე წახნაგზე გამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი - ორი გადაჯვარედინებული ტალღოვანი რტო, მათ შორის ჩასმული სტილიზებული ელემენტებით, რომელთაგან გადარჩენილია ფოთოლი.

ყლორტების გადაჯვარედინების ადგილას წარმოქმნილი სამკუთხა არეები შევსებულია რადიალური ხაზებით;
რელიეფი დაზიანებულია, ალაგ-ალაგ ამოტეხილია (სურ.2). დანარჩენ ორ წახნაგზე შერჩენილია მცენარეული
ორნამენტის კვალი.

N 12. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი, მოწითალო ტუფი, 51X25X12 სმ. ბოლნისის რ-ნი,
ლამაზი გორა, VI-VII სს. სსმ N 592.

ტაბ. XII, სურ.1,2,3.

ოთხწახნაგა კაპიტელზე საკმაოდ ღრმა კვეთით გამოხატულია დაბალი, სადა, კვარცხლბეკზე მდგარი
სვეტოვან-კამაროვანი ნაგებობა გრეხილი კარნიზით და ნახევარცილინდრული თაღით ყოველ გვერდზე. კუთ-
ხოვან სვეტებზე დამყარებულია წყვილი ნალისებური კამარა. კამარების თავზე სქემატურად გამოკვეთილია
თითო პალმეტი, ხოლო სვეტებზე, ცერადკვეთილი სამკუთხედები, თევზიფხური და კონცენტრული ნახევარ-
წრეების სახეები. ნახევარწრიული ფრონტონიც შემოჩარჩოებულია თევზიფხური არშიით, ხოლო ფრონტო-
ნის შუაგულში დასმულია რვაფურცელა ცერადკვეთილი ვარდული (სურ.2). დაახლოებით ნახევარი აკლია.
პირზე გადარჩენილია ორივე კამარა (სურ.1). მცირედ დაზიანებულია; ფრონტონის ნაპირები შემოტეხილია -
მარჯვენა გვერდზე ერთნახევარი კამარა (სურ.1), მარცხენაზე - მხოლოდ ერთი (სურ.3). ნახევარცილინდრულ
თაღში ამოღებულია სწორკუთხა ფოსო ჯვრის ჩასამაგრებლად.

*ლიტერატურა:* ნ.გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქვემო ქართლის სტელა-ჯვრები; ძეგლის მეგობარი, N 30, 1970 წ.

N 13. სტელის ბაზა. 68X68X52; თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ.პანტიანი. VI-VII სს. სსმ N 1019:

ტაბ. XIII, სურ. 1,2.

კუბური ბაზის ზედა სიბრტყეში ამოღებულია სწორკუთხა ღრმული სტელის ჩასადგმელად. პირზე გამო-
კვეთილია ჯვრის ამაღლების სცენა, მოთავსებული სწორკუთხა, ვიწრო, სადა ჩარჩოში. მის ზემოთ ნაპირას
გასდევს სამთაღიანი პალმეტების რიგით შემკული დეკორატიული კამაროვანი; კომპოზიციის ცენტრში მო-
თავსებულია ტოლმკლავა, ბოლოებგაფართოებული ჯვარი (სურ.1), აღმართული ოთხი სადა ლილვისებურ
მოკლე ბუნზე და მარტივი გეომეტრიული სახით შემკულ ვიწრო კვარცხლბეკზე. ჯვრის მარცხნივ და მარჯვნივ
არეს ავსებს მფრინავი ანგელოზების თითო ფიგურა; ისინი ხელებით ეხებიან ჯვრის გვერდითი მკლავების
კუთხეებს, თითქოს მიაფრენენ მას. ანგელოზების ქვეშ, ჯვრის კვარცხლბეკის იქით-აქეთ, არე შევსებულია
ვაზის ტალღოვანი რტოებით, რომლებიც გამოდიან კომპოზიციის ჩარჩოს ქვედა კუთხეებიდან; მის ტალღეში
მონაცვლეობით გამობმულია ყურძნის მტევანი და სტილიზებული ფოთოლი. გამოსახულებები ძლიერ სტი-
ლიზებულია. მარცხენა გვერდზე კამაროვანი ზოლის ქვეშ ამოკვეთილია ასომთავრული შვიდსტრიქონიანი
წარწერა (სურ. 2) „შეწევნითა ღმრთისმშობლისაითა მე ერემია და ფაჰლავრი ესე ჯუარი აღვმართეთ სა-
ლოცველად სულთა ჩუენთა ცხორებისათვის შვილთა ჩუენთაი".
მარცხენა და ზურგის წახნაგები სუფთაა.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 33. ტაბ. II-20, ნ. შოშიაშვილი, ქართული
წარწერების კორპუსი, გვ.99, ტაბ. 19, სურ.1,2.

N 14. სტელის ბაზის ფრაგმენტი, წითელი ტუფი, 53X40X40 სმ; ბოლნისის რ-ნი, სოფ. სათხე,
VI ს., სსმ N II50

ტაბ.XIV, სურ.1.

ოთხწახნაგა ბაზის პირზე პლასტიკურად დაბალი რელიეფით გამოკვეთილია სამფურცელა ლოტოსებით
შემკულ წრიულ მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. მედალიონის ძირიდან გამოდის და ორმხრივ
სიმეტრიულად იშლება წყვილი სტილიზებული ფოთოლი; მათი ბოლოები მთავრდება ფარშავანგის თავებით,
რომლებსაც ნისკარტით უჭირავთ პატარა კუმსი მტევანი. სტილიზებული, წყვილფოთლიანი მცენარე გა-
მობმულია მედალიონზე. მარცხენა ზედა კუთხესთან ძლიერ დაზიანებულია - ჩამოტეხილი აქვს ზურგი და
ზედაპირის ზედა მარცხენა მეოთხედი (სურ.1).

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ.84, ტაბ. LIII, სურ. 1,2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

N 15. სტელის ბაზა. რუხი ფერის ქვა, 70X64X46 სმ; თეთრიწყაროს რ-ნი, სოფ.ტბისი, „კოჟრების ეკლესია" VIII ს. სხსმ N II30.

ტაბ. XIV, სურ.2.

სუფთად გათლილ ოთხწახნაგა ბაზაში ზემოდან ამოღებული დიდი ოთხკუთხა ბუდე სტელის სვეტის ჩასადგმელად. პირზე ფონის დადაბლებით გამოკვეთილია სადა წვრილი ზოლით შემოჩარჩოებული წრიულ მედალიონში ჩასმული ძლიერ სტილიზებული ტოლმკლავა ჯვარი, წრიული „ღილით" ცენტრში და მოკლე ორმაგი ბუნით, რომელიც მედალიონის გარეთ ჩამოდის. ჯვრის მკლავები ცერადკვეთილია (სურ.I). მედალიონის ორივე მხარეს ამოკვეთილია ასომთავრული წარწერები. წარწერებს ნ. შოშიაშვილი ასე კითხულობს:

„[წ(მიდა)ო] ს(ამება)ო, შ(ეიწყალ)ე ამისი // [მ(ა)შ]ენ(ე)[ბ]ელ[ი] ლაშაჲცა/ [ჯ(უარ)ი ესე] ა [ე] მ(ა)[რ]თ(ა) სა[ლოც]ველ/ ად/ჩ(უე)ნდა და// საჴსენე/ [ბ]ელად ნაშო // 10 //ბთა ჩ(უე)ნთა/. [ნ(აშო)ბთა ჩ(უე)ნთა]/ ომე(ლ)მ(ა)ნთ(აყუან)ი სცეს /ს/(უ)ლი / [ჩ(უე)ნი] ლოცვასა მო// იჴსენენ ამე/ნ/:/ ადიდე ი(ეს)უ ქ(რისტ)ე".

*ლიტერატურა*: ნ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 104, ტაბ.17.

N 16. სტელის სვეტის ფრაგმეტი, 32X14X14 სმ. ბოლნისის სიონი, VI-VII სს. სსმ N 226.

ტაბ. XI, სურ.1, 2, 3.

ოთხწახნაგა სვეტის წიბოების გასწვრივ ჩაჭრილი ღარით კუთხეებთან შექმნილია ცრუ სვეტები; მათ შორის მოქცეულ არეზე ფონის დადაბლებით გამოკვეთილია: პირზე - სტილიზებული პალმეტიდან ამოზრდილ წვრილ ღეროზე დამყარებული ბოლნური ჯვარი გრეხილ მედალიონში. მის ზემოთ გადარჩენილია ასეთივე ბოლნური ჯვრის სამი მეოთხედი. ჯვრის მკლავები და პალმეტის ფურცლები ცერადკვეთილია (სურ.2). მარჯვენა წახნაგზე - ვაზის ორი ტალღოვანი რტოს გადაჯვარედინებით შექმნილ ოვალურ არეებში ჩასმული სტილიზებული ფოთოლი და მტევანი (სურ.3). მარცხენა წახნაგზე - ვაზის ღერო ფოთლებითა და ყურძნის მტევნით (სურ.1). ზურგი დაზიანებულია.

*ლიტერატურა*: გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, გვ. 88, სურ.54. Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 76, ტაბ.45.

N 17. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მომწვანო ტუფი, 66X16X16 სმ. ბოლნისის სიონი. VIII-IX სს. სსმ. N 446.

ტაბ. XVI, სურ.1.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეში ვერტიკალური ღარით შექმნილი ყოფილა ცრუ სვეტები, რომელთა შორის მოქცეულ არეზე, პირზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია ჯვრიანი შტანდარტი. ცერადკვეთილ სამკუთხედებიან წრეში მედალიონზე შეკიდულია ძლიერ სტილიზებული ფოთოლი, კვარცხლბეკის ძირზე მოკლე ყუნწით შეკიდულია დიდი, კუსისი მტევანი; ძირიდანვე ეშვება ვაზის რტო, რომელზეც გამოსახული უნდა იყოს სტილიზებული ფოთოლი. ზურგი და მარჯვენა წახნაგი სადაა გათლილი, კვეთა ტლანქია, მოუხეშავი (სურ.1). დაზიანებულია - წატეხილია თავი და ბოლო, ჩამოტეხილია მარცხენა წახნაგი, ალაგ-ალაგ - წიბო.

*ლიტერატურა*: გ.ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93, სურ.61.

N 18. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მომწვანო ტუფი, 68X19X14 სმ. ბოლნისის რ-ნი, VIII-IX სს. სსმ N 373.

ტაბ. XVI, სურ. 2,3.

კუთხეებთან ვერტიკალური ღარებით შექმნილია ცრუ სვეტები, მათ შორის, პირზე ერთიმეორის თავზე დაბალი რელიეფით ამოკვეთილია სამი ჯვრიანი შტანდარტი. ცერადკვეთილი სამკუთხედები შემკულ ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე, ორმაგ ლილვისებრ ღეროთი აღმართული ბოლნური მედალიონი (სურ.1). მარცხენა წახნაგი დაფარულია ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილი გეომეტრიული ორნამენტული ბახით (სურ.3). მარჯვენა წახნაგი და ზურგი გლუვია, თავზე ზემოდან ამოღებული ყოფილა სწორკუთხა ღრმული. დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასადგმელი ბუდე დაზიანებულია, ცერადაა წატეხილი თავი, სწორად

- ძირი.

*ლიტერატურა:*Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი., გვ.14, ტაბ. 90, სურ.1.

N 19. სტელის თავის ფრაგმენტი, მომწვანო ტუფი, 68X19X14 სმ. ბოლნისის რ-ნი, VI ს. სსმ N 374.

ტაბ.XVII, სურ. 1, 2.

ოთხწახნაგა თავის ქვედა ნახევრის წიბოები ცერადაა ჩამოკვეთილი, ოდნავ ვიწროვდება ქვემოთკენ და მისი წახნაგები შემოჩარჩოებულია სადა და გრეხილი ლილვებით; მათგან ერთი წახნაგი სადადაა გათლილი (სურ.2), მეორეზე სქემატურადაა გამოხატული სტილიზებულ საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით (სურ.I). თავის ზედა ნახევრის ერთ წახნაგზე გამოკვეთილია ცერადკვეთილი სამკუთხედებითა და თევზიფხურით შემკული სამ სვეტზე დამყარებული ორი ნალისებური კამარა (სურ.2), აგრეთვე კამაროვანი უნდა ყოფილიყო ღვთისმშობლიანი წახნაგის თავზე. ამჟამად ჩანს მხოლოდ თევზიფხურით შემკული ერთი სვეტი (სურ.I). დაზიანებულია - თავი ზემოდან წატეხილია, დანარჩენი ორი წახნაგი დაუმუშავებელია. წიბოები და რელიეფები ალაგ-ალაგ ამოტეხილია.

*ლიტერატურა:*Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ.ნაშრ., გვ. 76, ტაბ.45.

N 20. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, 58X17X15 სმ; ბოლნისის სიონი, VII-VIII სს. სსმ N375.

ტაბ.XVII, სურ.3,4,5.

პირზე შემორჩენილია ერთმანეთთან მოკლე ღეროებით გადაბმული სამი მედალიონი და ორი მედალიონის მცირე ნაწილი (სურ.4). შუათანა მედალიონში ჩანს ბოლნური ჯვრის კვალი. მეორე მედალიონში ჯვარედინად ჩასმულია ოთხი სამწვერა პალმეტი. ასეთივე სახე უნდა ყოფილიყო მესამე მედალიონში. მედალიონებს შორის არეები შევსებულია მსხვილი სამწვერა პალმეტებით. მედალიონის რგოლები შემკულია რადიალური ჭდეებით - გრეხილებით. მარჯვენა წახნაგზე გამოკვეთილია ვაზის ტალღოვანი ყლორტი, ზედგამობმული სტილიზებული დიდი ფოთლით, ულვაშითა და კუმსი მტევნებით (სურ.3). მარცხენა წახნაგზე ვერტიკალურადაა გამოკვეთილი ხუთწვერა პალმეტების რიგი დაკავშირებული ერთმანეთში ჩახლართული ორმაგი რკალებით (სურ. 5). ზურგი სადაა. დაზიანებულია - ორივე მხრიდან წატეხილია, ძლიერ გამოფიტულია და გადახეხილი.

N 21. სტელის სვეტის ფრაგმენტი, 48X18X17 სმ. ბოლნისის სიონი VI ს. სსმ N 338.

ტაბ.XVIII, სურ.1,2,3.

ერთ-ერთ წახნაგზე შერჩენილია ორი ჯვრიანი შტანდარტის ფრაგმენტები, ბაზის პირი შემკულია ორი სამფურცლა ყვავილით. მის ქვემოთ - ასეთივე ბაზის ზედა საფეხური, რომელზეც მოკლე ღეროთი აღმართულია გრეხილით შემკული მედალიონი. ღეროს იქით-აქეთ თითო ფოთოლია. მედალიონში უნდა მჯდარიყო ჯვარი, რომელიც საგანგებოდაა ამოტეხილი (სურ.2). მეორე წახნაგზე შერჩენილია მამაკაცის, საერო პირის, ალბათ ქტიტორის გამოსახულება გულმკერდის ქვემოთ. ის დგას პირდაპირ, აცვია წელში გამოყვანილი კაბა, მხრებზე წამოსხმული აქვს მოკლე, ვიწრო დეკორატიულ სახელოებიანი ჯუბა, რომლის მარჯვენა მხარე გადაწეულია. როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ქტიტორს მარჯვენა ხელი აღმართული ჰქონია (ალბათ ეჭირა ჯვარი ან სხვა რაიმე ინსიგნია) (სურ.1). მესამე წახნაგზე გამოსახულია ვაზის რტო ყურძნის მტევნით, ულვაშითა და სამფურცელა ყვავილით (სურ.3). ზურგის მხარე სადაა. რელიეფი მიღებულია ფონის დადაბლებით.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახელებული ნაშრომი, გვ.99, სურ. 73.

N 22. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ბაზალტი, 1,20X20X20 სმ. ბოლნისის სიონი, VI-VIII სს, სსმ N 380.

ტაბ.XIX, სურ.1.

გადარჩენილია ოთხწახნაგა სვეტის ქვედა ნაწილი. მისი წიბოები ჩამოკვეთილია და შემკულია

მონაცვლეობით იქით-აქეთ მოქცეულ კონცენტრული წრეების სექტორებისგან შედგენილი სახეთ. ერთ გვერდზე გაირჩევა ერთიმეორის თავზე დაყენებული, მაღალ ბუნზე და საფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ორი ტოლმკლავა ჯვარი და მესამე ჯვრის კვარცხლბეკი. ჯვრების კვარცხლბეკები შემკულია გეომეტრიული სახეებით. ქვედა ჯვრისა - სამსაფეხურიანი ტალღოვანი ხაზებით. მის თავზე, ოთხსაფეხურიანი - ცერადკვეთილი სამკუთხედებით; მესამე - ვერტიკალური ჭდეებით; ჯვრების ოთხივე მკლავი მკვეთრადაა გაფართოებული და ცერადკვეთილია. დაზიანებულია - სამ წახნაგზე არარაფერი გაირჩევა, ჯვრები საგანგებოდ ჩანს ამოკოდილი (სურ.I).

N 23. სტელის სვეტის ფრაგმენტი, ბაზალტი, 58X18X18 სმ. ბოლნისის სიონი, V-VI სს. სსმ N381.
ტაბ. XIX, სურ. 2,3.

გადარჩენილია ოთხწახნაგა სვეტის ქვედა ნაწილი შეუმკობლად დატოვებულ კვარცხლბეკში ჩასადგმელი ,,ფეხით''. ორ წახნაგზე ფონის დადაბლებით ამოკვეთილია სტილიზებული მცენარეული ორნამენტი: ერთზე - ვაზის ტალღოვანი რტო, ზედ გამობმული კუმსი მტევნით, ორი ულვაშითა და ფოთლით (სურ.2), მეორეზე - ორი პარალელური ტალღოვანი რტო, მათ შორის წარმოქმნილ ელიფსურ არეებში ჩასმული სტილიზებული ვარდულით, პალმეტებითა და ვაზის ფოთლით (სურ.3), დანარჩენი ორი წახნაგი მოგვიანებით არის ჩამოტეხილი.

N 24. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მომწვანო ტუფი, 50X24X20. ბოლნისის სიონი, VI-VII სს. სსმ N382.
ტაბ.XX, სურ.1,2.

ოთხწახნაგა სვეტის ბოლო სუფთადაა გათლილი კვარცხლბეკში ჩასადგმელად. კუთხეების გასწვრივ ჩაჭრილია თითო ღრმა ღარი, რომელთა შორის წახნაგებზე გამოყოფილია ფართო ვერტიკალური ზოლი. ერთ-ერთ წახნაგზე გაირჩევა ვერტიკალურ ფეხზე აღმართული, ცერადკვეთილი ბოლნური ჯვრის მედალიონის სამი მეოთხედი (სურ.I). მეორე წახნაგზე - ვაზის ტალღოვანი ყლორტი მტევნითა და ფოთლით (სურ. 2). დანარჩენი წახნაგები გლუვია, კვეთა - ტლანქი, მოუხეშავი.

N 25. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მომწვანო ფერის ქვა, 95X25X25 სმ, ბოლნისის რ-ნი, სოფ, ,,ხაჩინი'', VI-VII სს. სსმ N 586.
ტაბ. XX, სურ.3

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში ვერტიკალური ღრმა ღარით გამოყოფილია მომრგვალებული ცრუ სვეტები, ხოლო მათ შორის ვიწრო არე; სვეტის ერთ-ერთ წახნაგზე ამ არეზე სწორკუთხა ჩარჩოში ფონის დადაბლებით გამოკვეთილია ვაზის ტალღოვანი რტო მტევნით, ულვაშითა და ფოთლით. მის თავზე - ორსაფეხურიან ბაზაზე მაღალი ბუნით აღმართულია წრიული მედალიონი ბოლნური ჯვრით, აქვეა ჯვრიანი შტანდარტის ბაზა. ბაზები და წრიული მედალიონები შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით (სურ.3); დანარჩენი წახნაგები გლუვია.

N26. სტელის სვეტის ფრაგმენტი, რუხი ფერის ქვა, 30X16X14 სმ, ბოლნისის რ-ნი, VI-VII სს. სსმ N 546.
ტაბ.XXI, სურ.1.

ოთხწახნაგა სვეტის ერთ გვერდზე გადარჩენილია მოკლე ბუნით დაკავშირებული ორი დიდი მედალიონი - ბორჯღალა, მომცრო ბორჯღალით შუაგულში; ბუნის ძირში ორივე მხრიდან გამობმულია თითო სტილიზებული წაწვეტებული ფოთოლი, ძლიერ დაზიანებულია, წატეხილია ორივე მხრიდან (სურ.1), სამი წახნაგი და მეოთხეს ნაწილი ჩამოტეხილია - გადახეხილია.

27. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ღია მწვანე ფერის ტუფი, 41X18X18 სმ, ბოლნისის სიონი, VII-VIII სს. სსმ N 384.

ტაბ.XXI, სურ.2,3.

ოთხწახნაგა სვეტის ერთ გვერდზე გამოკვეთილია ცერადკვეთილი სამკუთხედებით შემკული მედალიონი, ბოლნური ჯვარი აღმართული ბუნზე, რომელზეც ორი მხრიდან გამობმული ყოფილა სტილიზებული ფოთოლი (სურ.2). მეორე წახნაგზე შემორჩენილია ტოლმკლავა ჯვრის და მასზე ბუნით დამყარებული ისეთივე ჯვრიანი მედალიონის კვალი, როგორც ზემოხსენებულ წახნაგზე (სურ.3). დანარჩენი ორი გვერდი ძლიერ დაზიანებულია. ორივე მხრიდან ჩამოტეხილია. მრავალ ადგილას ამოტეხილი, გადახეხილია.

N 28. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მომწვანო ტუფი, 39X18X18 სმ; ბოლნისის რ-ნი, VI-VII სს.სსმ N 385.

ტაბ. XXII, სურ.I.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში წიბოების მომრგვალებითა და ღრმა, მახვილკუთხოვანი ვერტიკალური ღარებით შექმნილია ცრუ სვეტები. მათ შორის, ვერტიკალურ არეზე გამოკვეთილი ყოფილა ვაზის ტალღოვანი რტო, მასზე მონაცვლეობით გამობმული სტილიზებული ფოთლითა და კუმსი მტევნით ფრაგმენტებზე შემორჩენილია თითო მტევანი და ფოთოლი. სვეტის ორივე ბოლო მოტეხილია, ერთ მათგანში დარჩენილია დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასამაგრებელი ფოსოს ძირი (სურ.I), სამი წახნაგი ჩამოტეხილ-ჩამოთლილია.

N 29. სტელის სვეტის ფრაგმენტი, ღია მწვანე ფერის ტუფი, 1,10X19X19 სმ, ბოლნისის სიონი, VI ს.სსმ N387.

ტაბ.XXII, სურ.2,3.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე შეწყვილებული ლილვის ჩარჩოში ერთიმეორის თავზე დაბალი რელიეფით გამოხატულია ჯვრიანი შტანდარტები - სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე მაღალი ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვარი გრეხილურ მედალიონში. შემორჩენილია ერთი შტანდარტის ბუნი და მედალიონი. ერთი სრული შტანდარტი და ერთის კვარცხლბეკის მცირე ნაწილი (სურ.I). მარცხენა წახნაგის ვერტიკალურ არეზე გაირჩევა ნახევარწრეების ურთიერთჩახლართული ორი რიგისა და მათზე გამობმული პალმეტისაგან შედგენილი ორნამენტის კვალი (სურ.3). დანარჩენი ორი წახნაგი ძალზე დაზიანებულია. ორივე მხრიდან ჩამოტეხილია, რელიეფი ალაგ-ალაგ ამოტეხილ-გამოქარულია.

N 30. სტელის სვეტის ფრაგმენტი. თეთრი კირქვა, 43X17X17 სმ. ბოლნისის სიონი, VI ს. სსმ N 388.

ტაბ.XXII,სურ. 4, 5.

ოთხწახნაგა სვეტის ერთ წახნაგზე შემორჩენილია ვერტიკალური ლილვების ჩარჩოში მოქცეული ვაზის ორი ტალღოვანი ურთიერთგადახლართული რტოსა და სტილიზებული ფოთლებისაგან შედგენილი ორნამენტის ორნახევარი ელემენტი (სურ.4). მეორე წახნაგზე გაირჩევა მტევნებიან - ფოთლოვანი ვაზის ტალღოვანი რტოს ორნამენტის მკრთალი კვალი (სურ.5). დანარჩენი ორი წახნაგი ძალზე დაზიანებულია. ორივე ბოლოდან მოტეხილია.

N 31. სტელის ფრაგმენტი, ნაცრისფერი ქვა, 23X17X17 სმ. ბოლნისის რ-ნი. VII ს. სსმ N 386.

ტაბ.XXIII, სურ. 1,2

ოთხწახნაგა სვეტის შუა ნაწილი. წიბოების მომრგვალებით კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები. პირზე შემორჩენილია ორი ჯვრიანი შტანდარტის ნაწილები: ქვემოთ - ბოლნური ჯვარი გრეხილ მედალიონში. ბუნისა და მის ორივე მხარეს თითო ფოთლის ბოლოები; ზემოთ ორსაფეხურიანი კვარცხლბეკი, შემკული ჰორიზონტალური და ვერტიკალური ღარებით, მასზე დამყარებული ბუნი მისგან ორივე მხარეს გამოზრდილი

თითო ფოთლის ძირებით (სურ.I). მარცხენა წახნაგზე გადარჩენილია ვაზის ტალღოვანი ყლორტის დეკორატიული მოტივის სამი ელემენტი - მტევანი, ორი ულვაში და ორი სტილიზებული ფოთოლი. დანარჩენი ორი წახნაგი სადადაა გათლილი. ნათალია სუფთად, ოსტატურად. ალაგ-ალაგ ამოტეხილია (სურ.2). დანარჩენი ორი გვერდი გლუვია.

N 32. სტელის სვეტი, მონაცრისფრო ქვიშაქვა. 2, 43X37X37 სმ. სოფ.კაზრეთი, ბოლნისის რ-ნი, VI-VII სს. N555.

ტაბ. XXIII, სურ.3.4.

ოთხწახნაგა მაღალი სვეტი, წიბოები გამოყვანილია ცრუ სვეტებით. პირზე გამოსახულია ორი სტილიზებული ხე ერთიმეორის თავზე და მათ შორის ჩასმული ფოთლოვანი ჯვარი (სურ.3). მარჯვენა გვერდზე გამოსახულია სტილიზებული ვაზის ტალღოვანი ყლორტი, რომელზეც მონაცვლეობით გამობმულია ფოთოლი და მტევანი (სურ.4). მარცხენა გვერდი შემკულია ასეთივე ორნამენტით, ზურგი სადაა.

N 33. სტელის სვეტის ფრაგმენტი. რუხი ფერის ქვა, 56X16X16 სმ. ბოლნისის რ-ნი, ნასოფლარი ბალდადის ხევთან, VI ს, სსმ N544.

ტაბ.XXIV, სურ. 1,2,3.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები. პირზე შემორჩენილია დაბალი რელიეფით შესრულებული მამაკაცის გამოსახულება (სურ.2). მთელი ტანით, en face იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, მარცხენა ხელი მკერდზე უდევს. აცვია წელში გამოყვანილი, ქობაშეჭრილი კაბა. წელზე შემოვლებულ სარტყელზე ჰკიდია სატევარი, ფეხზე აცვია მოგვი, პირმრგვალი სახე შემოსილია მოკლედ შეჭრილი თმითა და წვერ-ულვაშით. ცხვირი სწორია. თვალები მსხვილი, ნუშისებურა თავთან, მარჯვნივ ამოკვეთილია ქარაგმის ქვეშ დასმული ორი მთავრული ასო - შ.გ. (შერგილ - ნ. ჩუბინაშვილი). ფიგურის ზემოთ გადარჩენილია ჯვრიანი შტანდარტის კვარცხლბეკის ქვემო საფეხურის ნაწილი, შემკული განცალკევებული რკალებით.

მარჯვენა და მარცხენა წახნაგებზე ჩანს ვაზის ტალღოვანი, მარტივი - ცალმაგი და ორმაგი - გადაჯვარედინებული რტოს ორნამენტული მოტივის ნარჩენები (სურ. 1,3); ზურგი სადაა. თავი და ბოლო მოტეხილია, ჩამოტეხილია აგრეთვე მარცხენა ზედა კუთხე ადამიანის თავის ნაწილით; ძლიერ დაზიანებულია ფრაგმენტის ქვედა მხარე.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 98, ტაბ. 71-72.

N 34. სტელის სვეტის ფრაგმენტი. 44X24X24 სმ. ბოლნისის რ-ნი, სოფ.რაჭისუბანი, V-VII სს, სსმ N 789.

ტაბ. XXV, სურ. 1,2,3.

პირზე შემორჩენილია ფონის დადაბლებით გამოკვეთილი ჯვრიანი შტანდარტის გრეხილურ მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი 3/4. ჯვრის მკლავებზე დასმულია თითო მრგვალი ბურცობი, მკლავებს შორის არე შემკულია თევზიფხურით, მედალიონის ზემოთ გადარჩენილია ჯვრიანი შტანდარტის სამსაფეხურიანი ბაზა, შემკული სამკუთხა პალმეტით (სურ.2).

მარცხენა წახნაგზე გადარჩენილია რთული ორნამენტის 3 ელემენტი - გრეხილურით შემკული სამკუთხა პალმეტით (სურ.2).

მარცხენა წახნაგზე გადარჩენილია რთული ორნამენტის 3 ელემენტი - გრეხილურით შემკული ნახევარწრეების ორი ვერტიკალური რიგი, ერთიმეორის უბეში ჩასმული რვაფურცლიანი ყვავილებითა და პალმეტებით ნახევარწრეებს შორის (სურ.I). მარჯვენა წახნაგზე გაირჩევა ვაზის ორი გადაჯვარედინებული, ტალღოვანი რტო, წყვილი მტევნით (სურ.3). დაზიანებულია - მოტეხილია ორივე მხრიდან, მრავალ ადგილას ამოტეხილი და გადახეხილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა
F 4763/4
საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

N 35. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 45X16X14 სმ. ბოლნისის რ-ნი, სოფ.ბალიჭი, VI ს. სხსმ N 1153

ტაბ.XXVI, სურ. 1,2, 3.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე შემორჩენილია ჯვრიანი შტანდარტი - პალმეტებით შემკულ საფეხურებიან კვარცხლბეკზე მაღალი ბუნით დამყარებული მედალიონი, ბოლნური ჯვრით; ბუნზე გამობმულია წყვილი სამფურცლა ყვავილი და სტილიზებული ნახევარპალმეტები (სურ.2). მარცხენა წახნაგზე ერთიმეორის თავზე ფართო, ორნამენტულ სწორკუთხა ორ ჩარჩოში ჩასმულია ადამიანის თითო ფართო ფიგურა, მთელი ტანით, პირდაპირ. ქვედა ფიგურას აცვია გრძელსახელოიანი მძიმე ჯუბა, თავი შემოსილი აქვს მოკლე თმითა და წვერულვაშით; ზედა ფიგურას აცვია წელში გამოყვანილი, რკალივით ქობაშეჭრილი კაბა, მუხლამდე; მოგვებით შემოსილი ფეხის ტერფები იქით-აქეთ აქვს მიმართული (სურ.1). მარჯვენა წახნაგი შემკულია პალმეტებგამობმული ნახევარწრეების ორი, ერთიმეორეში ჩასმული რიგით (სურ.3). ზურგი სუფთად აქვს გათლილი.

რელიეფი საკმაოდ მაღალია, ნაკვთები - მოდელირებული. ძლიერ დაზიანებულია: ორივე მხარე წატეხილია, წიბოები და წახნაგები რელიეფიანად მრავალ ადგილასაა ამოტეხილი და გადახეხილი.

N 36. სტელის სვეტის ფრაგმენტი. რუხი ფერის ქვა, 72X57X57 სმ.ბოლნისის რ-ნი, სოფ.ბალიჭი. VI-VII სს. სხსმ N 1153.

ტაბ. XXVII, სურ. 1,2,3.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე კუთხის ნახევარსვეტებს შორის შემორჩენილია სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვარი გრეხილ მედალიონში. კვარცხლბეკი შემკულია წყვილი განივი გრეხილით და ყვავილით. ბუნზე გამობმულია წყვილი სტილიზებული ფოთოლი (სურ.2). მარჯვენა წახნაგზე ზემოთ გადარჩენილია ოთხი პალმისაგან შედგენილი ვარდული, მის ქვემოთ ვერტიკალურად განლაგებული ჩახლართული ნახევარწრეები. მათზე გამობმული ხუთწვერა პალმეტების რიგით (სურ.1). მარცხენა წახნაგზე გამოკვეთილია ერთიმეორიდან გამოზრდილი ოთხი სამწვერა ფოთლისაგან შეკრული წრე სამწვერა ბრიალათი ცენტრში, ხოლო მის ქვემოთ - ასეთივე მსხვილი ფოთლის მარცხნივ გახსნილი რკალი, მასში ჩასმული ხუთფურცლიანი ყვავილით; ამ ორ წრიულ დეკორატიულ ელემენტს შორის ცალი მხრიდან ჩასმულია პალმეტი; ასეთივე წყვილი პალმეტის ნარჩენები ჩანს სვეტის გადატეხილ ნაპირთან (სურ.3). სვეტის ქვედა, კვარცხლბეკში ჩასადგმელი ბოლო სუფთადაა გათლილი. დაზიანებულია - წიბოები და ზედაპირი ალაგ-ალაგ ამოტეხილია.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 37, ტაბ.LI.

N 37. სტელის ბაზის ფრაგმენტი, მომწვანო ტუფი, 51X39X25 სმ. ბოლნისის რ-ნი, სოფ.ბალიჭი. სხსმ N 1160.

ტაბ. XXVIII, სურ. 1,2.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის ფრაგმენტის ორ წახნაგზე შემორჩენილია რელიეფური ზოლებისაგან შედგენილი ტოლმკლავა ჯვრისა და მის უბეებში ჩასმული ძლიერ სტილიზებული მცენარეული სახის მკრთალი კვალი (სურ.1,2). ძლიერ დაზიანებულია. შემოტეხილი და გაცვეთილია. ერთ მხარეს აქვს ღრმა წრიული ხვრელი.

N 38. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ღია ფერის ქვიშაქვა, 19X13X17; ბოლნისის რ-ნი, VI-VII სს. სხსმ N 1241.

ტაბ. XXIX, სურ. 1,2,3.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე შემორჩენილია ერთიმეორის თავზე 3 ბოლნური ჯვრიანი შტანდარტის ნაშთი. ქვედა შტანდარტის ოთხსაფეხურიანი ბაზა შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედებითა და კონცენტრული რკალებით. წვრილი ბუნის ორივე მხარეს თითო სტილიზებული ფოთოლია გამობმული, ჯვრის მედალიონი შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით, ცერადკვეთილია ჯვრის მკლავებიც. მეორე შტანდარტიდან გადარჩენილია გრეხილურით შემკული ჯვრიანი მედალიონი და ბუნზე გამობმული წყვილი ფოთლის ბოლოები. ჯვრის ცერადკვეთილ მკლავებზე თითო მრგვალბრტყელი ღილვია დასმული. მესამე შტანდარტისა ჩანს

მსხვილი ცერადკვეთილი სამკუთხედებით და პალმეტებით შემკული ორსაფეხურიანი კვარცხლბეკის, წყვილი ფოთლისა და მოკლე ბუნზე დამყარებული მრგვალბრტყელი „ღილებით" შემკული ჯვრიანი მედალიონის ფრაგმენტები. შტანდარტები წვრილი ლილვის ჩარჩოშია ჩასმული (სურ.2).

მარცხენა წახნაგი შემკული ყოფილა ვერტიკალურად განაწილებული მსხვილი ბრიალებით, რომელთაგან გადარჩენილია სამი. ქვედა ბრიალა დამყარებულია წვრილ ბუნზე, რომლის ძირში გამობმულია წყვილი ალისებური ფოთოლი, ხოლო ბრიალას ცენტრში გრაფიკულად გამოსახულია წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი. მეორე და მესამე ბრიალები დაკავშირებულია ერთმანეთთან შუათანა ვერტიკალური ღარით; ასეთივე ღარი გრძელდება მესამე ბრიალას ზევითაც, სადაც კიდევ ერთი ბრიალა იქნებოდა. მესამე ბრიალას შუაგულში ჩასმულია კონცენტრული წრის გარშემო დასმული 9 ღილაკისაგან შედგენილი ვარდული. ფონი დაფარულია ასიმეტრიულად დალაგებული კონცენტრული რკალებისაგან შედგენილი ორნამენტული სახით (სურ.3). მარჯვენა წახნაგი დაფარულია 2 ვერტიკალური, პარალელური, ძლიერ სტილიზებული მცენარეული სახით, რომელიც შედგება ოდნავ მორკალური თევზიფხურად დალაგებული რელიეფური ზოლებისაგან (სურ.1). მეოთხე წახნაგი სადაა.

თავი მოტეხილია და აკლია; რელიეფი ალაგ-ალაგ ამოტეხილი და გადახეხილია.

N 39. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მომწვანო ტუფი, 33X17X16, ბოლნისის სიონის ეზოდან, VII ს., სსმ N 147.

ტაბ.XXX, სურ. 1,2, 3

ოთხწახნაგა სვეტის პირზე შემორჩენილია დაბალი რელიეფით გამოკვეთილი გრეხილით შემკული მედალიონი ბოლნური ჯვრით და მის ზემოთ - ჯვრიანი შტანდარტის სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი, შემკული სამი ყვავილით (სურ.2). მარცხენა წახნაგზე გაირჩევა ჯვრიანი შტანდარტის ბაზა, შემკული ცერადკვეთილი სამკუთხედებით და სხვა სახეებით. წყვილღეროიანი ბუნის ძირი, ზედ გამობმული წყვილი ფოთლის კვალით და მათ ქვემოთ - რელიეფურად გამოკვეთილი ასომთავრული წარწერის ერთი სტრიქონის ნაშთი (სურ.1). რელიეფური ასომთავრული წარწერის ორი სტრიქონი გაირჩევა მარჯვენა წახნაგის სუფთად გათლილი ზედაპირის ქვემო ნაწილზე (სურ.3). მეოთხე წახნაგი გლუვადაა გათლილი.

მოტეხილია ორივე ბოლოდან, წიბოები და რელიეფები მრავალ ადგილასაა ჩამოტეხილი და დაზიანებული.

*ლიტერატურა:* ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ს. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი. თბილისი, 1953 წ., გვ. 2; ტაბ. XVII, სურ.1, 2, 3. ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ.ნაშრომი, გვ. 78, ტაბ. 7, სურ. 1.2.

N 40. სტელის ბაზა, მოწითალო ტუფი, 62X62X60 სმ; ბოლნისის რ-ნი, სოფ. ბუჩურაშენი; V-VI სს., სსმ

ტაბ. XXXI, სურ. 1, 2.

კუბური ბაზის პირზე გამოკვეთილია ორ სვეტზე დაყრდნობილი კამარის ქვეშ დაყენებული, ვერტიკალზე დაგრძელებული, მკლავებგაფართოებული დიდი ჯვარი. კამარის შუბლზე რელიეფურად ექვსსტრიქონიანი ბერძნული წარწერა*, ჯვარი და კამარის დამჭერი სვეტები ანალოგიურადაა შემკული და აქაც შერჩენილია ბერძნული წარწერის ნაწყვეტი. მარჯვენა წახნაგს მთლიანად ავსებს ბოლნური ჯვარი (სურ.2). ზურგიც ბოლნური ჯვრით არის შემკული. ძალზე დაზიანებულია. ზემოდან ამოჭრილია ღრმული სვეტის ჩასამაგრებლად. გატეხილია ორად, რელიეფები ალაგ-ალაგ გადახეხილი და ამოტეხილია.

*ლიტერატურა:* თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, კაზრეთის ბერძნული წარწერა, სსმ მოამბე XXVII B - თბილისი, 1967, გვ. 152-156; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ნაქალაქარი დმანისის არქეოლოგიური შესწავლა, სსმ მოამბე, XXVII - თბ., 1969. გვ. 57-59; მისივე, ქართული ხელოვნების დამწერლობის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ქვემო ქართლიდან, „ძეგლის მეგობარი", გვ. 52-62, 1970; N 20; ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ.87, ტაბ. XIV, სურ. 1,2; ტაბ.XV, სურ. 2.

---

* „სალოცველად სიმეონისა და ავლიონისა ყოვლითა მათითა სახელითურთ, უფალო შეეწიე თე-დორეს" (თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით).

N 41. სტელის ბაზა. მოყვითალო ქვა, 42X30X30 სმ. ბოლნისის რ-ნი, სიონიდან, VI ს, სხსმ N 486.
ტაბ. XXXII, სურ. 1, 2, 3.

დაახლოებით კუბური ბაზის ოთხივე წიბო ცერადაა ჩამოკვეთილი, რითაც მას გადაბრუნებული პირამიდის მოყვანილობა აქვს მიცემული. სამივე წახნაგი შემკულია სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე მოკლე ბუნით დამყარებული, წრიულ მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა, ბოლოებგაფართოებული ჯვრებით, რომლებიც მხოლოდ ზოგიერთი დეტალით და შემკულობით განსხვავდებიან.

ყველაზე საზეიმო იერი აქვს ჯვარს, რომლის მკლავები წრიული ბურცობებით - ძვირფასი თვლებით, ხოლო მედალიონის რკალი კონცენტრული რკალების მოტივით არის შეკრული (სურ. 2); მეორე ჯვრის მედალიონი ოთხმაგი რგოლისაგან არის შეკრული, გარდა ამისა, იქვეა გამოსახული სამფოთლიანი მცენარე (სურ.1); ყველაზე მარტივი ორმაგრგოლიანია - მესამე ჯვრის მედალიონი. წიბოები შემკული და მოჩარჩოებულია თევზიფხური და ირიბი ჭდეებით (სურ.3). მეოთხე გვერდი გადახეხილია. ზემოდან ამოღებულია მრგვალი ბუდე სტელის ჩასამაგრებლად.

დაზიანებულია - მოტეხილია ერთ-ერთი ქვედა კუთხე და ნაპირები, რელიეფები ალაგ-ალაგ ამოტეხილია.

N 42. სტელის სვეტის ფრაგმენტები, მონაცრისფრო ქვა, 100X40 სმ; 156X42 სმ; ბოლნისის რ-ნი, ს.ქვეში (ჩაშენებულია სოფ.ქვეშის ეკლესიის დასავლეთის კედლის შიდა წყობაში), VI საუკუნე.
ტაბ. XXXIII, სურ. 1, 2, 3, XXXIV, სურ. 1,2.

გადარჩენილია სვეტის ორი ფრაგმენტი: I - ქვემო ნაწილი, რომლის ფეხი განკუთვნილია ბაზაში ჩასადგმელად, სუფთადაა გათლილი მთლიანად გამოჩენილ გვერდის წახნაგზე, კუთხეებში შექმნილ ცრუ სვეტებს შორის მოქცეულ ვერტიკალურ არეზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია ვაზის ტეხილხაზოვანი რტო ზედგამობმული შვიდი მტევან-ულვაშით (სურ.1). მარცხენა წახნაგზე სანახევროდ გამოჩენილ პირზე - ერთიმეორის თავზე მოქცეული სამი აყვავებული ჯვრიანი მედალიონი და მათ გვერდით, ფონზე, თითო პატარა რომბი; ასეთივე რომბი გამოსახულია მედალიონის ჯვრების მკლავებს შორის (სურ.2); 2 - ზემო ნაწილი, რომლისგანაც გამოჩენილია ზურგის წახნაგი, სადაც სუფთად გათლილ ზედაპირზე, ცერადკვეთით ჩაჭრილია ვერტიკალზე დაგრძელებული ჯვარი ბოლოებგაფართოებული მკლავებით, მათ წვეტებთან დასმული სამ-სამი ღრმული წერტილებით (სურ.3) და ორივე გვერდითი წახნაგი ვაზის ტეხილხაზოვანი რტოს რელიეფური გამოსახულებით, რომელთაგან მარცხენა მთავრდება მარაოსავით გაშლილი დიდი ოვალური თლილით (სურ.1); ხოლო მარჯვენა - წყვილი მომცრო, სამფურცლა ფოთლით (სურ.2). ტაბ. XXXIV. კვეთა სუფთაა, მაგრამ მშრალი, ხისტია.

დაზიანებულია - ორივე ფრაგმენტის წიბოები და რელიეფები ალაგ-ალაგ ამოტეხილია.

N 43. სტელის სვეტის ფრაგმენტები. მონაცრისფრო ქვა. 1X0,3 სმ; 66X14 სმ; ბოლნისის რ-ნი, სათხის ეკლესია (ჩაშენებულია ეკლესიის ჩრდილოეთის კედელში შიგნიდან), VI ს.
ტაბ. XXXIV, სურ. 3,4.

ოთხწახნაგა სვეტის ქვემო ნაწილის გამოჩენილ წახნაგზე, კუთხის ცრუ სვეტებს შორის გადარჩენილია ორსაფეხურიან ლოტოსის ყვავილებით შემკულ კვარცხლბეკზე, შეწყვილებული ფოთლით „აყვავებულ" ბუნზე დამყარებული ბოლნური ჯვარი, თევზიფხურ მედალიონში და მის ზემოთ ასეთივე ჯვრიანი შტანდარტის კვარცხლბეკი და „აყვავებული" ბუნი (სურ.3).

ოთხწახნაგა სვეტის გამოჩენილ გვერდზე ფონის დადაბლებით, ბრტყელი რელიეფით გამოკვეთილია ვაზის ტალღოვანი ყლორტი ყვავილით, მტევნით, ფოთლითა და ულვაშებით, ამოზრდილი ბურთულით დასრულებული მახვილკუთხოვანი საფუძვლიდან (სურ. 4).

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85; ტაბ. X, სურ.1, ტაბ. XI, სურ.2.

N 44. სტელის სვეტისთავის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 25X30X28 სმ. ბოლნისის რ-ნი, სიონიდან, V-VI სს. ხ.ი.ი.
ტაბ. XXXV, სურ. 1,2,3,4.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის ფრაგმენტის პირზე გამოკვეთილია ბოლნური ჯვარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცერადკვეთილი სამკუთხედებით შემკულ წრიულ მედალიონში (სურ.1). ასეთივე ჯვარია ზურგზე (სურ.2), გვერდის წახნაგებზე პროფილში გამოსახულია თითო მტაცებელი ფრინველი, სავიქრებელია არწივი, რომელთაგან ერთი კორტნის რომელიღაც ოთხფეხა ცხოველს (სურ.3), მეორე, როგორც ჩანს, გველს (სურ.4).

N 45. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მუქი ფერის ქვა, 60X25X25 სმ. დმანისის რაიონი, სოფ. დემირბულაღი, VI-VII სს. სხსმ N 106.

ტაბ. XXXVI, სურ.1

სვეტის ერთ წახნაგზე გადარჩენილია დაბალი რელიეფით შესრულებული ჯვრიანი შტანდარტი - სამსარისხიან კვარცხლბეკზე მაღალი, აყვავებული ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვრის მედალიონი და ასეთივე შტანდარტის კვარცხლბეკის ორი ხარისხი. შტანდარტების კვარცხლბეკები და მედალიონის რკალი შემკულია ირიბი ხაზებითა და რკალებით და ცერადკვეთილი სამკუთხედებით; ბუნზე გამობმული შეწყვილებული ფოთოლი ძლიერ სტილიზებულია (სურ.1).

დაზიანებულია თავი, ბოლო და დანარჩენი წახნაგები შემოტეხილია.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, გვ. 100, ტაბ. 74, სურ.1

N 46. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მონაცრისფრო ტუფი, 20X14X13 სმ. დმანისის რ-ნი, სოფ. უკანგორი, VI-VII სს. სსმ N 541

ტაბ. XXXVI, სურ.2.

ფრაგმენტის ერთ-ერთ წახნაგზე გადარჩენილია დაბალი რელიეფით შესრულებული მამაკაცის ფრონტალური ფიგურა. ის შემოსილია წელში გამოყვანილი კაბითა და მასზე წამოსხმული ჯუბით, ფეხზე აცვია რბილი მოგვები. კაბის ქობა მორკალეულითაა შეჭრილი, მარცხენა ხელი ზეაღმართული ჰქონია, ჯუბის მარცხენა სახელო ცარიელია, შერჩენილია ჩარჩოს ნაპირი (სურ.2).

დაზიანებულია - თავი, ბოლო და დანარჩენი წახნაგები შემომტვრეულია, აღარ გადარჩა მამაკაცის თავი და მარცხენა ხელი.

*ლიტერატურა:* ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 22, ტაბ. IV, სურ. 8.

N 47. სტელის სვეტის ფრაგმენტი, წითელი ტუფი, 30X17X17 სმ, დმანისის რ-ნი, სოფ. კაკლიანი, სხსმ N 109.

ტაბ. XXXVII, სურ. 1,2.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე შერჩენილია ჯვრიანი შტანდარტის კვალი - თევზიფხურითა და შეწყვილებული კვადრატებით შემკულ ორხარისხიან კვარცხლბეკზე აღმართული, სპირალურად ჩახვეული წყვილი ფოთლით შემკული, ბუნის ძირი მოქცეულია კუთხის ცრუ სვეტებს შორის (სურ.1). მარჯვენა გვერდის წახნაგზე ჩანს ხუთფურცლა პალმების რიგი, გამოზრდილი მორკალური ღეროების ხლართიდან (სურ. 2). დანარჩენ წახნაგებზე არაფერი არ გაირჩევა - ძლიერ დაზიანებულია.

N 48. სტელის კაპიტელი. მოყვითალო ქვიშაქვა, 24X19X17 სმ, სოფ. ბაშქიჩეთი (ზურტაკეტის აუზი), დმანისის რ-ნი, VI ს. სხსმ N 120.

ტაბ. XXXVIII, სურ. 1,2.

კაპიტელის გვერდებისა და ცერად ჩამოკვეთილი კუთხეების სიბრტყეები შემოჩარჩულია სადა და მათ შორის მოქცეული ცალი და ორმაგი გრეხილი ლილვებით და მონაცვლეობით მარჯვნივ და მარცხნივ მიმართული კონცენტრიული რკალებით.

პირზე გამოხატულია მამაკაცი მთელი ტანით, ფასში, შემოსილი წელში გამოყვანილი ზარისებური კაბით; მკლავები მოხრილი აქვს იდაყვებში, ფეხები ნაჩვენებია პროფილში ტერფებით განზე. ფიგურის ორივე მხარეს მაღალ ვიწრო კვარცხლბეკზე აღმართულია თითო ჯვარი, ფიგურის თავზე, ჯვრებს შორის ამოკვეთილი ერთსტრიქონიანი დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა, გარკვევით იკითხება მხოლოდ „ქე შეწ" (სურ.1). მარცხენა გვერდზე ოდნავ ტრაპეციულ ჩარჩოს მთლიანად ავსებს დაბალ სწორკუთხა საყრდენზე ბუნით

დამყარებული ბოლოგაფართოებული თითქმის ტოლმკლავა ჯვარი. მკლავები ცერადკვეთითაა ამოღებული და შემოჩარჩულია ღრმა ხაზით. ჯვრის შუაგულში დასმულია პატარა ვარდული - ორი კონცენტრიული წრე: ჰორიზონტალურ მკლავებზე გამობმულია თითო წვეთისებრი საკიდი, შემოჩარჩულია ღრმა ხაზით წრიული ღილაკით შუაგულში. საყრდენზე ისეთივე სახეა, როგორც წიბოებზე (სურ.2).

N 49. სტელის კაპიტელი. მოყვითალო ქვიშაქვა; 24X19X17 სმ; სოფ.ბაშკიჩეთი (ზურტაკეტის აუზი), დმანისის რ-ნი, VI ს. სხსმ N 120.

ტაბ. XXXIX, სურ. 1,2

მარჯვენა გვერდზე ისეთივე ჯვარია, როგორც მარცხენაზე, მხოლოდ მკლავებზე წრიული საკიდებია შებმული. ჯვრის საყრდენი შემკულია ვერტიკალურ ლილვებს შორის მოქცეული, ირიბად გადაჯვარედინებული ხაზებით შევსებული სწორკუთხედებით (სურ.1). ზურგის სიბრტყეზე ჯვრის ნაცვლად სწორკუთხა კვარცხლბეკზე ორმაგ წრეში ჩასმული რვაფურცლიანი ვარდულია აღმართული, ფურცლების ზედაპირი ცერადკვეთითაა ამოღებული და შემოვლებულია ღრმა ხაზით, კვარცხლბეკის ზედაპირი შემკულია ჰორიზონტალური თევზიფხური სახით (სურ.2).

ძირზე ამოღებულია პატარა კვადრატული ღრმული კაპიტელის სვეტთან დამაკავშირებელი სოლისათვის. ზედა სიბრტყეზე ოთხკუთხა ღრმა ბუდე, დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასადგმელად.

პირისაგან განსხვავებით, რომელიც მყისედ და თითქმის ტრადიციულადაა დამუშავებული, გვერდების რელიეფები მეტი პლასტიკურობით გამოირჩევა, კვეთა სუფთაა, პროფესიულად დახვეწილი, თუმცა ერთგვარი სიტლანქითა და სიმშრალით ხასიათდება. დაზიანებულია წიბოები, ჩამოტეხილია მარჯვენა ზემოთა ნაპირი.

N 50. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი. მოწითალო ტუფი; 30X25X25 სმ. დმანისის რ-ნი. ს. კაკლიანი, VI საუკ. სხსმ N 653.

ტაბ. XL, სურ. 1, 2

კუბური მოყვანილობის კაპიტელის პირზე ფონის დადაბლებითა და ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილ ჩასმულ მედალიონში ბოლნური ჯვარი (სურ.1). მარჯვენა და მარცხენა წახნაგებზე ორ მსხვილ ნახევარპალმეტებს შორის მაღალ ღეროზე აღმართულია სამფურცლა ლოტოსი (სურ.2). მეოთხე წახნაგი გლუვია, ძლიერ დაზიანებულია - შემოტეხილია თავი, ძირი, წიბოები.

N 51. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი. მონაცრისფრო ფერის კირქვა. 33X27X18 სმ. დმანისის სიონი, VI-VII სს. სსმ. N 689.

ტაბ.XLI, სურ. 1, 2.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის ერთ წახნაგზე რელიეფურად გამოსახულია მთელი ტანით მდგარი ორი საერო პირი. მათ აცვიათ წელში გამოყვანილი ქობა მრგვალად შეჭრილი კაბა და მოგვები; იდაყვში მოხრილ და ზემოაღმართულ ხელში უჭირავთ ლოტოსის ყვავილი. ფიგურათა შორის დაბალ კვარცხლბეკზე მაღალი ბუნით აღმართულია ტოლმკლავა ჯვარი (სურ.1). მარცხენა წახნაგზე შემორჩენილია მხედრის გამოსახულების ნაწილი - მდიდრულად აკაზმული; აღვირამოდებული ცხენის წინა ნაწილი და მის თავზე ხუთფურცლა ყვავილი (სურ.2). კაპიტელის დანარჩენი წახნაგები ჩამორეცხილია, გამოსახულებები დაზიანებულია, მკრთალადღა ჩანს პერსონაჟების სახის ნაკვთები, ტანსაცმლის დეტალები.

*ლიტერატურა*: ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 367, 368. ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 93, XXIV, სურ. 1,2.

N 52. სტელის ბაზის ფრაგმენტი, თეთრი ქვა, 55X27X29. წარმოშობა უცნობია. VI-VII სს. სსმ N 211.

ტაბ. XLII, სურ. 1.

წინა მხარეს ამოკვეთილია ბოლნური ჯვარი ჩასმული ორმაგ მედალიონში, რომლის შიდა არეები პატარა

სამკუთხედებით არის შემკული. მოპირდაპირე წახნაგები სადაა, ზურგზე ამოკვეთილია ბოლნური ჯვარი. ამჟამად ძალზე დაზიანებულია. ბაზაში ამოღებულია ბუდე სვეტის ჩასადგმელად. ორად არის გადატეხილი.

N 53. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ბაზალტი, 2,50X53 სმ. ქვემო ქართლი. სსმ.

ტაბ. XLII, სურ.2.

ოთხწახნაგა სვეტი მცირედ გაფართოებულია კუბური თავით, რომლის პირზე ამოკვეთილია ბოლნური ჯვარი; მის ქვემოთ სვეტის ტანზე, კუთხეებთან გავლებულ ვერტიკალურ ლილვებსა და ღარებს შორის, ერთიმეორის თავზე გამოსახულია ორი შტანდარტი - ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე „აყვავებული" ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვარი. დანარჩენი სამი წახნაგი დაუმუშავებელია. სტელას თავზე ამოღებულია ღრმული ჯვრის ჩასასმელად, სტელას ბოლო ჩამოტეხილი აქვს.

N 54. სტელას ფრაგმენტი ბაზით. ბაზალტი. 125X30X26 სმ; 63X65 სმ. დმანისის რ-ნი, მამულაანთ სოფელი, VI-VII სს. სსმ N 421.

ტაბ.XLIII, 1,2,3.

კუბური ბაზა, ცერად ჩამოთლილი წიბოებითა და ცერადკვეთილი ტოლმკლავა ჯვრით ცალ გვერდზე და მასში ჩადგმული ოთხწახნაგა სვეტი სიუჟეტური და დეკორატიული გამოსახულებებით (სურ.2). ერთ წახნაგზე წარმოდგენილია მოგვთა და მწყემსთა თაყვანისცემის სცენა, რომლის მონაწილეები სამ რეგისტრადაა განაწილებული: თავში - მჯდომარე ღვთისმშობელი კალთაში ყრმით, მის ქვემოთ - კომბლიანი მწყემსის ფიგურა, ხოლო მათ ქვემოთ - სამი მოგვის ფიგურა, მათ ქვემოთ მოთავსებული ორი მსხვილი ფიგურა ქტიტორებისა უნდა იყოს (სურ.1). მეორე წახნაგზე ერთიმეორის თავზე მოთავსებულია ორი სცენა; ზემოთ - აბრაამის შეწირულება, აბრაამის, ისაკის, კრავისა და გაურკვეველი სამი პერსონაჟის მონაწილეობით; ქვემოთ - ცდუნება, ადამის, ევას, გველის, „კეთილისა და ბოროტის", ხისა და ხარისა და ცხვრის გამოსახულებით. მესამე წახნაგი შემკულია ვაზის ტეხილოვანი ყლორტით, ზედ მონაცვლეობით გამობმული მტევნითა და ფოთლით (სურ.3). ზურგი სადაა, კვეთა ტლანქია, მოუხერხებელი გამოსახულებები სქემატური, ბრტყელი, მოუხეშავი.

*ლიტერატურა:* კ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, ადრეფეოდალური ხანის ქართული პლასტიკის ძეგლები, საბჭოთა ხელოვნება, N 10, 1986 წ.

N 55. სტელის ზედა ნაწილის ფრაგმენტი კაპიტელით. ნაცრისფერი ქვიშაქვა. 50X25X26 სმ. დმანისის რ-ნი, სოფ.გორა, VI ს. სსმ 780.

ტაბ. XL IV, სურ. 1.2
ტაბ. XL V, სურ. 1,2,3.

გადარჩენილია ოთხწახნაგა სვეტის ზემო ნაწილი კუბური კაპიტელისებური შესქელებით. კაპიტელის პირზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია სამფიგურიანი კომპოზიცია - მაღალზურგიან საყდარზე ზის მაცხოვარი, მაკურთხეველი მარჯვენითა და სახარებით მარცხენა ხელში, მის მარჯვნივ და მარცხნივ ვედრების პოზაში წარმოდგენილია ორი ერთნაირი ფეხზე მდგომი ფიგურა. ორივეს კოჭებამდე ფარავს გრძელი სამოსი და თავზე შარავანდედი ადგია; მაცხოვრის თავზე ორმხრივ - ვარდული და ნახევარწრე - მზისა და მთვარის სიმბოლური გამოსახულება (სურ.1). ამ კომპოზიციის ქვემოთ, სვეტის ტანზე, რელიეფური ლილვებისა და კუთხის სვეტებს შორის წარმოდგენილია მაღალზურგიან საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით (ტაბ. XLV (სურ.1); კაპიტელის მარცხენა წახნაგზე გამოსახულია ადამიანის ორი ფიგურა მთელი ტანით პირდაპირ, იდაყვში მოხრილი და ზეაღმართული მარჯვენა ხელით, რომლითაც ლოტოსის ყვავილი უჭირავთ (სურ.2); მათ ქვემოთ სვეტის ტანზე გამოკვეთილია სადა, მსხვილი, ცრუ სვეტები. დანარჩენი ორი წახნაგი სადაა.
სავარაუდოა, რომ მაცხოვრის ორივე მხარეს წარმოდგენილი უნდა იყვნენ წმინდანები პეტრე და პავლე (სურ.3) და არა მთავარანგელოზები ან ღვთისმშობელი და იოანე მახარობელი. პირველ ვარიანტს გამორიცხავს ის, რომ ფიგურებს ფრთები არ გააჩნიათ (VI საუკუნიდან ბიზანტიურ იკონოგრაფიაში ანგელოზები ფრთებით არიან წარმოდგენილნი), ხოლო მეორეს ის, რომ ვედრების იკონოგრაფია ბიზანტიურ ხელოვნებაში VI საუკუნემდე არ არსებობს.

გამოსახულებები დაწვრილმანებულია, პროპორციები მცირედ დაგრძელებულია, ტანსაცმელი გადმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემულია ნაკეცების გამომსახველი ხშირი პარალელური ხაზებით, სახის ნაკვთები, თმა - სქემატურად უხეშად; დაზიანებულია. ჩამოტეხილია სვეტის წიბოები, კაპიტელის მარცხენა წახნაგის ნახევარი, რის გამოც თითქმის მთლიანად გამქრალია ერთი ფიგურათაგანი.

*ლიტერატურა:* გ.ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ილ ი, „საბჭოთა ხელოვნება", N 8, 1988.

N 56. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მომწვანო ტუფი, 1X26X26 სმ, დმანისის რ-ნი, VI ს. სსმ N 446.
ტაბ. XLVI, სურ. 1, 2,3.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე, ვერტიკალური ლილვითა და ღარით შექმნილ კუთხის ცრუ სვეტებს შორის გადარჩენილია ორსაფეხურიანი კვარცხლბეკი, მასზე აღმართული „აყვავებული" ბუნი და ჯვრის ქვედა მკლავის ბოლო (სურ.2), მარცხენა წახნაგზე - ორი, გადაჯვარედინებული ტალღოვან ყლორტს შორის ჩასმული ფოთოლი (სურ.1). მარჯვენა წახნაგზე - ტალღოვანი ყლორტისა და მტევნის, აგრეთვე ერთიმეორეში საპირისპიროდ ჩასმული ლოტოსის ყვავილების მცირე ფრაგმენტებია (სურ.3). გამოსახულებები ძლიერ სტილიზებულია, კვეთა - პლასტიკური, ზურგი სადადაა გათლილი.

N 57. სტელის სვეტის ფრაგმენტი. თეთრი ქვა, 45X25X25 სმ, დმანისის რ-ნი, VI ს. სსმ N 529.
ტაბ. XLVII, სურ. 1,2

ვერტიკალური ღარებისა და შეწყვილებული ლილვების მეშვეობით სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები, ხოლო მათ შორის ვიწრო არე. ამ არეზე სვეტის პირზე, სწორკუთხა ჩარჩოში გამოკვეთილია ღვთისმშობელი ყრმით. ღვთისმშობელი ზის მაღალზურგიან საყდარზე, პირდაპირ, მკლავები შემოხვეული აქვს ქრისტეზე, რომელიც გამოსახულია წელს ზევით, ოდნავ შებრუნებულია მარჯვნივ და მარჯვენით აკურთხებს; მარცხენა მოხრილი ხელით სახარება უნდა ეჭიროს. ორივე პერსონაჟის ტანსაცმელი გადმოცემულია ხშირი პარალელური ღარებით და მათ შორის დატოვებული რელიეფური ზოლებით (სურ.1). გადარჩენილია ვაზის ყლორტის ძლიერ სტილიზებული სახე - ვაზის მსხვილი რტოს „ტალღები" არსებითად კუთხოვანია და ყოველი მათგანი შევსებულია რტოზე შეკიდული წყვილი ფოთლით და წყვილი მტევნით (სურ.2).

N 58. სტელის სვეტის ფრაგმენტი. თეთრი ქვა, 45X25X25 სმ, დმანისის რ-ნი, VI ს. სსმ N 529.
ტაბ. XLVIII, სურ. 1, 2.

მარჯვენა გვერდზე აგრეთვე გადარჩენილია ვაზის ყლორტის ძლიერ სტილიზებული სახე და როგორც მარცხენაზე, აქაც მეორდება იგივე მოტივი (სურ.1). ზურგი შევსებულია ორი სამმაგღეროვანი, ურთიერთგადახლართული ტალღოვანი რტოს და მათ შორის ჩართული რელიეფური ბურცობების დეკორატიული სახით (სურ.2).

ძლიერ დაზიანებულია - წატეხილია თავი და ბოლო, მრავალ ადგილას ჩამოტეხილია კუთხეები და ჩარჩოები, ღვთისმშობლის თავსახურავი და პირისახე, ნაწილობრივ ყრმის სახე.

N 59. სტელის სვეტის თავის ფრაგმენტი. ნაცრისფერი კირქვა, 29X28X25 სმ, წალკის რ-ნი, სოფელი ედი-ქილისა. VII ს. ხსმ N 553.
ტაბ. XLIX, სურ. 1,2.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის სვეტისთავის პირზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით (სურ.1); გაირჩევა მხოლოდ საყდრის მარჯვენა ფეხი და ნამგლისებური ფრთებით აქეთ-იქით აღმართული ზურგის გვერდები, ღვთისმშობლის ბიუსტი და, მის ფონზე, ქრისტეს თავი, რომელსაც ღვთისმშობელი მარჯვენა ხელით ეხება. მათი სახის ნაკვთები მსხვილი და ტლანქია, თმა, ტანსაცმელი, საყდარი ერთნაირადაა დამუშავებული ხშირი პარალელური ხაზებით. მარცხენა წახნაგზე შემორჩენილია მარჯვნივ მიმართული მფრინავი ანგელოზის არაპროპორციული და მოუხეშავი ფიგურა, აგრეთვე ხშირი პარალელური ხაზებით დამუშავებული (სურ.2). მარჯვენა გვერდზე და ზურგზე არაფერი არ გაირჩევა, მაგრამ უეჭველია, რომ გვერდზეც მფრინავი ანგელოზი იქნებოდა გამოსახული; ზემოდან ამოღებულია სწორკუთხა ღრმული და მასში წრიული ფოსო ჯვრის ჩასამაგრებლად.

ძლიერ დაზიანებულია - ქვედა ნაწილი წატეხილია, ჩამოტეხილი, ამოტეხილი და გადახეხილი მრავალ ადგილას.

N 60. სტელის რელიეფური გამოსახულება. 60 სმ. წალკის რ-ნი, სოფ.ეძანი (რელიეფი გამოხატულია ეძანის სიონის ფასადზე), VI ს.

ტაბ. XLIX, სურ. 1.

ეძანის მოდელის პოსტამენტი ორი ნაწილისაგან შედგება: სამსაფეხურიან საფუძველზე დადგმულია დიდი ზომის კუბისებური ბაზისი, რომლის ზედაპირზე რელიეფურ რგოლში ჩასმულია მცირე ზომის ბოლნური ჯვარი, ბაზისზე დამაგრებულია სტელა, რომელიც ქვევიდან ზევით ოდნავ ვიწროვდება. მისი ზედაპირი დაფარულია ვერტიკალურ ზოლებად დანაწევრებული წიწვოვანი ორნამენტით. სვეტი მთავრდება მცირე ზომის კუბური ბლოკით, რომელზედაც დგას ბაზისი ჯვრით (სურ.1).

*ლიტერატურა:* Н.Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი.

N 61. სტელის სვეტის ფრაგმენტი. რუხი ფერის ქვა, 49X29X29 სმ; გურჯაანის რ-ნი, სოფ.ჭერემი - ეკლესია წვეროდაბალი, VI ს. ქ.ხ.ი.ი.

ტაბ. L. სურ. 1, 2, 3,4

ოთხწახნაგა სვეტის ერთ-ერთ წახნაგზე გადარჩენილია დაბალი რელიეფით შესრულებული, ერთიმეორის თავზე მოქცეული ორი წრიული მედალიონი; ქვედა მედალიონში ჩასმულია ტოლმკლავა, ბოლოებგაფართოებული ჯვარი თითო ბურცობით მკლავებზე და თევზიფხური სახით მკლავებს შორის. ზემოდან მედალიონს დაუყვება 3 პატარა კამარა. ზედა მედალიონში გამოკვეთილია რვაფურცლიანი ვარდული, ღრმად ცერადკვეთილი ფურცლებით. ამ ორ დიდ მედალიონს შორის იქით-აქეთ დასმულია თითო პატარა რვაფურცლიანი ვარდული (სურ.1).

სვეტის მოპირდაპირე გვერდი შემკულია ვაზის ტალღოვანი ყლორტის შეწყვილებული სახის ფრაგმენტით - ორი წყვილი კუმსი მტევანი და წყვილი სტილიზებული ფოთოლი, რომელთა ამოღარულ ზედაპირზე პატარა კვარცხლბეკზე აღმართული თითო რელიეფური ჯვარია გამოკვეთილი (სურ.2). მარცხენა წახნაგზე შემორჩენილია დიდი, ჯვრიანი და ვარდულიანი მედალიონი - ტეხილი ხაზითა და „გრეხილით" შემკული რგოლებით. მათ შორის გაირჩევა „სარწმუნოების წყაროს" დაწაფებული ორი ფრინველის სცენის ნაშთი - შუაში მდგარი ჯამისებური ჭურჭელი და, მისგან მარცხნივ, ბოლოაწეული და თავდახრილი ფრინველის სხეული (სურ.3). მარჯვენა წახნაგი შემკულია ძლიერ სტილიზებული ელემენტით (სურ.4).

დაზიანებულია - აკლია თავი და ბოლო.

*ლიტერატურა:* Н.Г. Чубинашвили, დასახელებული ნაშრომი.

N 62. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 29X22X22 სმ. ქვემო ქართლი (შემთხვევითი მონაპოვარი), VI-VII სს; ქ.ხ.ი.ი.

ტაბ. LI, სურ. 1,2

ოთხწახნაგა სვეტის ქვემოთა ნაწილის პირზე, ვერტიკალური ღარებით გამოყოფილ კუთხის ცრუ სვეტებს შორის, ვიწრო ლილვის ჩარჩოში, ფონის დადაბლებით და ცერადკვეთით გამოსახულია ბოლნური ჯვარი; მის თავზე გადარჩენილია ბოლნური ჯვრის მედალიონის ნახევარი. შტანდარტის ბუნი დამყარებულია ცერადკვეთილი სამკუთხედების ჰორიზონტალურ ზოლზე (სურ.1).

ერთ-ერთი წახნაგი შემკულია ორი გადაჯვარედინებული ტალღოვანი რტოს ოვალურ ელემენტებში ჩასმული, ოთხი სტილიზებული ფოთლისაგან შედგენილი სახით (სურ. 2).

კვეთა სუფთაა, ნათელი, ოსტატური, დაზიანებულია - თავი წატეხილია, ბოლო ცერადაა მოტეხილი, რელიეფი ალაგ-ალაგ ამოტეხილია. დანარჩენი ორი წახნაგი გლუვია.

N 63. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 245X29X29 სმ, დმანისის რ-ნი, მცირე ეკლესია დამბლუტისწყლის ხეობაში. VI-VII სს. სსმ N 701.

ტაბ. LII, სურ. 1, 2, 3, 4;

ოთხწახნაგა სვეტი საგრძნობლად ფართოვდება თავისკენ, პირზე ფონის დადაბლებით, ვიწრო ვერტიკალურ არეზე გამოკვეთილია ერთიმეორის თავზე მოთავსებული ჯვრიანი სამი შტანდარტი და დაპირისპირებით ერთმანეთში ჩასმული პალმეტებიანი ტალღოვანი სახე. ჯვრიანი შტანდარტები აღმართულია პალმეტებითა და სამკუთხედებით შემკულ ორ და სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე; ქვემოდან მეორე შტანდარტის ბუნზე გამობმულია წყვილი სპირალურად ჩახვეული ულვაში, ხოლო მესამე შტანდარტის ბუნზე - წყვილი სტილიზებული ფოთოლი, ორივე შტანდარტის ჯვრიანი მედალიონის ჩარჩო შემკულია ჭდეული თევზიფხური სახით. სვეტის დანარჩენ სამ წახნაგზე ორ-ორი ვერტიკალური ღარით შექმნილია სამ-სამი მსხვილი ნახევარსვეტი. დაზიანებულია - გატეხილია ოთხად, აკლია თავი, წიბოები და რელიეფები ალაგ-ალაგ ამოტეხილია; კვარცხლბეკში ჩასადგმელი ბოლო სადადაა გათლილი.

VI-VII სს - ვ. ჯაფარიძის მიხედვით.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 28, ტაბ. XVI, სურ. 2, 3,4.

N 64. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ნაცრისფერი ქვა, 195X35X35 სმ. დმანისის რ-ნი, ს. ბაშქიჩეთი, VII ს. სხსმ.

ტაბ. LIII, სურ. 1,2,3.

ოთხწახნაგა სვეტი ოდნავ ვიწროვდება ზემოთკენ, კუთხეებთან წიბოების ჩამოთლითა და ვერტიკალური ღარების გავლით შექმნილია ცრუ სვეტები. მათ შორის პირზე დაბალი რელიეფით გამოხატულია სტილიზებული პალმეტებით შემკულ ბუნზე დამყარებული ბოლნური ჯვარი გოფრირებული მედალიონით, მის თავზე - კვლავ ბოლნური ჯვარი ცერადკვეთილი სამკუთხედებიანი მედალიონით. ზემოთ გადარჩენილია ორი სრული და ერთი ნაკლული სწორკუთხა ჩარჩო, რომელთაგან მხოლოდ შუათანაშია შემონახული წყვილი სტილიზებული პალმეტით შემკულ ბუნზე დამყარებული ბოლნური ჯვარი გოფრირებულ მედალიონში (სურ.2). მარჯვენა წახნაგზე გამოკვეთილია დაპირისპირებით ერთმანეთში ჩასმული პალმეტებიანი ტალღები და რგოლებითა და ტეხილი ხაზებით შექმნილი სახე (სურ. 1). მარცხენა წახნაგზე ორი გადაჯვარედინებული ყლორტი, მათ შორის ჩასმული ვაზის ფოთოლი, ულვაში და მტევანი და დიდი სტილიზებული ფოთოლი, ხოლო ზემოთ - ერთმანეთისაგან გამოხიდული სამ-სამი ფოთლისაგან შეკრული წრეების რიგი (სურ.3), ზურგი სადადაა გათლილი. თავი და ბოლო აკლია.

N 65. სტელის ფრაგმენტი - კაპიტელი, ტანის მცირე ნაწილით. ბაზალტი; 57X35X31 სმ., დმანისის რ-ნი, მცირე ეკლესია; დამბლუტისწყლის ხეობა. V-VI სს. სსმ N 702.

ტაბ. LIV, სურ. 1, 2, 3.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის კაპიტელის პირზე ფონის დადაბლებით და ცერადკვეცით გამოსახულია 7 სამწვერიანი პალმეტისაგან შედგენილი ვარდული; ზედა ნაპირს გასდევს გადახლართული რგოლების ზოლი, ქვედას - ცერადკვეთილი სამკუთხედების რიგი. ტანზე, კუთხეებთან გამოყოფილ ცრუ სვეტებს შორის, გადარჩენილია ერთი დიდი და ორი პატარა სამკბილა პალმეტისა და თევზიფხური ღეროებისაგან შედგენილი სახე (სურ. 2). მარჯვენა გვერდის კაპიტელის ზედაპირი შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედების ზოლის ქვემოთ მოთავსებული სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული სამი სამკბილა პალმეტით, რომელთა შორის დარჩენილი არე შევსებულია თევზიფხურით. ზედაპირის ქვედა ნახევარი სადაა, ქვედა ნაპირს მოუყვება სამკუთხედებისა და სწორკუთხა კბილების ზოლი. ტანზე ტლანქადაა გამოკვეთილი სამი ცრუ სვეტი (სურ.1), მარცხენა გვერდზე ზემოთ და ქვემოთ მიმართული ორი წყვილი პალმეტი, როგორც მარჯვენაზე, მათ შორის დარჩენილი არეები თევზიფხურადვეა შევსებული, ზედა და ქვედა ნაპირს ცერადკვეთილი სამკუთხედების ზოლი მისდევს. ტანზე ცრუ სვეტია (სურ.3). მეოთხე წახნაგი ძალზე დაზიანებულია.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ.29, ტაბ. XVII, სურ. 1,2; ტაბ.XVIII, სურ. 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

N 66. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ნაცრისფერი ქვიშაქვა, 60X23X16 სმ; დმანისის რ-ნი; სოფ.ბაშქიჩეთი, VI ს, სსმ N 105.

ტაბ. LV, სურ. 1.

ოთხწახნაგა სვეტის ერთ გვერდზე ორ ვერტიკალურ რელიეფურ ლილვს შორის, რომლებითაც კუთხეებთან შექმნილია ცრუ სვეტები, დაბალი რელიეფით გამოკვეთილია მთელი ტანით პირდაპირ მდგარი მამაკაცის ფიგურა. მას აცვია წელში გამოყვანილი, მორკალვით შეჭრილი ქობიანი კაბა შემკული ნაქარგობით; მოგვებით შემოსილი ფეხების ტერფები განზე აქვს მოქცეული. იდაყვში მოხრილი და ზემოაღმართული მარჯვენა ხელით მამაკაცს უჭირავს მსხვილი სამფურცელა ყვავილი - ლოტოსი; მარცხენა ხელი დაშვებული აქვს. თავი დაზიანებულია - მკრთალად გაირჩევა სახის ნაკვთები და, თითქოს,წვერი. მარჯვენა იდაყვის ქვეშ, ფონზე, ამოკვეთილია ორი მთავრული ასო - † Ⴍ (ქრისტე). სხვა ასოები არ ჩანს.

მამაკაცის ფიგურის ქვემოთ შემორჩენილია სტილიზებული მცენარეული ორნამენტის მსხვილი, ბოლო ელემენტი - ვაზის ტალღოვანი ორი ყლორტის მარყუჟისებურად გადაბმის ადგილას აღმართული მრავალფურცლიანი ყვავილი და მის ქვეშ, რტოებს შორის - ვაზის ძლიერ სტილიზებული ფოთოლი; ფოთლის ბოლო და სამკუთხა არე ყვავილის აქეთ-იქით შემკულია ხშირი რადიალური ღარებით - კვეთა საკმაოდ ღრმაა, პლასტიკური.

სვეტის დანარჩენი გვერდები იმდენადაა დაზიანებული, რომ ალარაფერი გაირკვევა; დაზიანებულია ზემოაღწერილი წახნაგი - ჩამოტეხილია მარცხენა კუთხე და ზედაპირის ნაწილი, თავი და ბოლო წატეხილია (სურ.1).

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრ., გვ. 94, ტაბ.70; ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 117, ტაბ. 27.

N 67. სტელის კაპიტელის ორი ფრაგმენტი, თეთრი კირქვა, 37X25X15 სმ; დმანისის რ-ნი, მცირე ეკლესია, დამბლუტისწყლის ხეობა, V-VI სმ; სსმ N 706.

ტაბ. LV, სურ. 2,3

დიდი ფრაგმენტიდან გადარჩენილია ერთ-ერთი წახნაგის ზედა ნაწილი, რომელზეც გვერდიგვერდ მთელი ტანით გამოკვეთილია გრძელსახელოებიანი ჯუბით და ნაკეცებიანი კაბით შემოსილი მამაკაცი და ქალი; ქალს, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელით, მკერდის წინ უჭირავს სამფურცლა ყვავილი. ორივეს შუბლზე უკეთია ჭდეებით აღნიშნული დიადემა (პატივი). მამაკაცს მარჯვნივ ჩანს ცერადკვეთილი ფოთლისა და გრეხილი ღეროს კვალი. ზედა ნაპირს მოუყვება ცერადკვეთილი სამკუთხედების არშია. დანარჩენი გვერდები შემომტვრეულია (სურ.2). მცირე ფრაგმენტზე შემორჩენილია მხოლოდ გრძელსახელოებიანი ჯუბით გამოსახული მამაკაცის ფიგურის წელზედა ნაწილი (სურ.3).

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 100, ტაბ. XXI, სურ.1; ფაზ. XXIII, სურ.1.

N 68. სტელის სვეტის ფრაგმენტი, თეთრი კირქვა, 32X22X19 სმ, დმანისის რ-ნი, VI-VII სს., სსმ N 707.

ტაბ. LV, სურ.4.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში ვერტიკალური ღარისა და ლილვის მეშვეობით შექმნილია ცრუ სვეტები. მათ შორის ფონის დადაბლებით გამოკვეთილია ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე შეწყვილებული ლილვების ღეროზე დამყარებული ბოლნური ჯვარი. კვარცხლბეკის ზედაპირი და ჯვრის წრიული მედალიონი შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით; ჯვრის მკლავები ცერადკვეთილი არ არის - დაუმთავრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს ზურგზე სამი ვერტიკალური ლილვი.

ძლიერ დაზიანებულია - თავი და ბოლო წატეხილია, გვერდზე ჩამოტეხილია; ფრაგმენტი ორადაა გატეხილი.

N 69. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი, ბაზალტი, 20X20X19 სმ. წარმოშობა უცნობია, VI საუკ. სსმ N 1250.

ტაბ. LVI, სურ.1,2.

ორ გვერდზე გამოსახულია ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილი მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვარი (სურ.1,2). მესამე გვერდი შევსებულია ჩაღარული ხაზით გამოყვანილი სამი სპირალით (სურ.3); მეოთხე გვერდი სადაა. ძირისა და ზედა სიბრტყის შუაში ამოღებულია თითო სწორკუთხა ფოსო კაპიტელის სვეტთან დამაკავშირებელი სოლისა და დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასადგმელად. წიბოები და გამოსახულებები დაზიანებულია.

N 70. სტელის სვეტის ფრაგმენტი, ნაცრისფერი ქვა, 43X12X12 სმ. დმანისის რ-ნი, მცირე ეკლესია დამბლუტისწყლის ხეობაში, VI-VII სს. სსმ N 710.

ტაბ. LVII, სურ. 1, 2, 3

ოთხწახნაგა სვეტი, დამთავრებული ბრტყელი თავით. პირზე გადარჩენილია დაბალი რელიეფით გამოკვეთილი შტანდარტი, წყვილი სტილიზებული ფოთლითა და პალმეტით შემკულ მაღალ ბუნზე დამყარებული, ერთიმეორის თავზე მოთავსებული ორი ბოლნური ჯვრით, ჯვრების მედალიონების წრეები შემკულია გულამოღებული სამკუთხედების ერთი რიგით, რის გამოც დაკბილული სახე აქვთ. მათ ზემოთ მოთავსებულია როზეტი (სურ. 2). მარჯვენა წახნაგზე გამოსახულია ვაზის რტო კუმსი მტევნით, ყვავილისებური ფოთლებითა და სპირალურად ჩახვეული ულვაშებით (სურ.1). მარცხენა წახნაგზე - ერთიმეორეში ჩახლართულ ორ ტალღისებურ ხაზზე გამობმული პალმეტების ვერტიკალური რიგი (სურ.3); მეოთხე წახნაგი ძალზე დაზიანებულია.

ბოლო მოტეხილია და აკლია, თავთან ერთი კუთხე ჩამოტეხილია, რელიეფები ალაგ-ალაგ გადახეხილია.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ.100-101. ტაბ. XXIII, სურ. 2, ტაბ. XXV, სურ.1-3.

N 71. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 73X18X18 სმ. დმანისის რ-ნი, მცირე ეკლესია დამბლუტისწყლის ხეობაში, VI-VII სს. სსმ N 714

ტაბ. LVII, სურ. 1.2.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები. მათ შორის, პირზე გადარჩენილია დაბალი რელიეფით გამოხატული ერთი სრული და ერთი ნაკლული ჯვრიანი შტანდარტი ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მაღალი ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვარი, კვარცხლბეკები და ჯვრის მედალიონები ცერადკვეთილი სამკუთხედებითაა შემკული (სურ.1). სვეტის დანარჩენ წახნაგებზე გამოკვეთილია სამ-სამი მსხვილი ვერტიკალური ლილვი (სურ.2).

ძირის მცირე ნაწილი, რომელიც კვარცხლბეკში იდგმებოდა, სადადაა გათლილი. თავი მოტეხილია და აკლია.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 191, ტაბ. XXVI, სურ. 2.

N 72. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი, 40X36X22, დმანისის რ-ნი, სოფ. უკანგორი, მცირე ეკლესია, VI-VII სს, სსმ N 712

ტაბ. LVIII, სურ. 1, 2, 3.

ერთ-ერთ წახნაგზე გადარჩენილია სტილიზებული ხის გვერდით მთელი ტანით გამოსახული ქალის ფიგურა და ბავშვის სხეულის ნაწილი - მარჯვენა სახელოს ბოლო, კაბის ქობა და მუხლი - ნაკეცებიანი გრძელი კაბით და წამოსასხამით შემოსილ ქალს იდაყვში მოხრილი ხელით მკერდის წინ უჭირავს ლოტოსის ყვავილი, თავზე შემოხვეული აქვს მანდილი, კისერზე უჩანს ყელსაბამი (სურ.1). მეორე წახნაგზე ჩანს მხოლოდ ცერადკვეთილი სამკუთხედებიანი ორი ზოლი და მის ზემოთ ფეხებშემოკეცილი, დაწოლილი ცხოველის ტანი, მხარზე და გავაზე გამოხატული სოლარული ნიშნით - წერტილებშემოვლებული წრე (სურ.2). მესამე წახნაგზე შემორჩენილია ნაკეცებიანი წამოსასხამით შემოსილი ადამიანის ფიგურის წელქვემოთა ნაწილი განზე მიმართული ფეხის ტერფებით (სურ.3).

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ.29, ტაბ. XIX, სურ.2, ტაბ. XX, სურ.1.

N 73. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 46X18X16 სმ, დმანისის რ-ნი, მცირე ეკლესია დამბლუტისწყლის ხეობაში, VI-VII სს., სსმ N 713

ტაბ. LIX, სურ. 1, 2, 3,4.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე გადარჩენილია ჯვრიანი შტანდარტის ბუნი, წყვილი სტილიზებული ფოთლით და ჯვრიანი მედალიონის მცირე ნაწილი (სურ.3). მარჯვენა წახნაგზე მკრთალადღა გაირჩევა მთელი ტანით მდგარი, თითქოს ხელებაპყრობილი ადამიანის ფიგურა შემოსილი წელში გამოყვანილი და ქობამეჭრილი კაბით, მის ზემოთ და ქვემოთ შემორჩენილია მცენარეული ორნამენტების კვალი - ორი ფოთოლი და ყლორტი (სურ.2). მარცხენა წახნაგი შემკული ყოფილა ვაზის ტალღოვანი ყლორტით, რომლისგანაც გადარჩენილია ერთი მუხლი მტევნით, ორი სპირალური ულვაშითა და ფოთლით (სურ.1). ზურგზე გამოკვეთილია ერთმანეთში ჩახლართული ორი ტალღოვანი საზის ბოლოებზე გამობმული პალმეტების ვერტიკალური რიგი (სურ.4).

ძლიერ დაზიანებულია - აკლია თავი და ბოლო, წიბოები და წახნაგები მრავალ ადგილას ჩამოტეხილია და გადახეხილი.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 100-101, ტაბ. XXII, სურ.3, XXIV, სურ. 1, 2.3.

N 74. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მუქი ფერის ქვა, 150X35X356 სმ, წარმოშობა უცნობია, VII ს. სსმ

ტაბ. LX, სურ. 1, 2.3.

ოთხწახნაგა სვეტის ტანი მთავრდება ზემოთკენ მცირედ გაფართოებული კაპიტელით, რომელსაც თავზე ადგას ოთხივე მხრიდან შემკული „სალხინობელი", თავის ღრმზე დაგვირგვინებული ჯვრით. სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები; მათ შორის, ერთ-ერთ წახნაგზე, ვერტიკალურ რელიეფურ ლილვებით გამოყოფილ ვიწრო არეზე, ერთიმეორის ქვეშ ამოკვეთილია ორმაგ წრიულ მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, მაღალი „აყვავებული" ჯვარი, კვლავ წრიულ მედალიონში ჩასმული ჯვარი, ოთხი სტილიზებული პალმეტისაგან შედგენილი ჯვარი და ტოლმკლავა „აყვავებული" ჯვარი. ამავე მხრიდან წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი კაპიტელის ზედაპირზეცაა ამოჭრილი (სურ.2). სვეტის და კაპიტელის დანარჩენი წახნაგები სადადაა გათლილი (სურ. 1,3).

დაზიანებულია - გატეხილი ორად, აკლია ბოლო და თავი - სავარაუდოა ჯვარი, ალაგ-ალაგ ამოტეხილია.

N 75. სტელის ბაზა, მოვარდისფრო ქვა, 70X55X35 სმ, დმანისის რ-ნი, სოფ.უკანგორი, VI სს. სსმ N 536.

ტაბ. LX, სურ.1

ბაზა ორსაფეხურიანია, დაახლოებით თანაბარი სიმაღლის, საფეხურთაგან ქვედა - ოთხწახნაგაა, ზედა - რვაწახნაგა. ზედა საფეხურში წრიული ბუდე, ხოლო მის ცენტრში - პატარა ფოსო, სტელის ტანის ჩასამაგრებლად ბაზის ქვედა საფეხურის ერთ წახნაგზე გამოკვეთილია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული რელიეფური წარწერა. ბაზის ქვედა საფეხურის გვერდითა ორი წახნაგი სადადაა გათლილი, მეოთხე წახნაგი მთლიანად ჩამოკვეთილია; დაზიანებულია ზედა საფეხურიც - მთლიანად ჩამოტეხილია მისი სამი მეოთხედი.

„ქ პეტრ ს ხუც(ე) სობას(ა)
მე თათვერაზ ალზუ
მ(ა) რთე ესე ჯუარი სახე
(ლით) ად (მრთისა) (თა) შეწევნითა ი(ეს)უ ქ(რისტ)ჱსი
თ(ა)რ(ორბელმა)ნ თ(ა) ვყანი სხ (ც) თ, ლო (ც)
(ვას) ა(მომი) ცსე (ნ) ე (თ)

*ლიტერატურა:* ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსკურსიები, გვ. 12, ტაბ. II, სურ.3. ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 90, ტაბ. 13, სურ. 13, ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25. ტაბ. III, სურ.1.

N 76. სტელის ბაზა გამოთლილი წითელი ტუფისაგან, 75X75X67 სმ. დმანისის რ-ნი, ს. უკანაგორი. V-VI სს*, VII ს.** სსმ N732,

ტაბ. LXI, სურ. 1,2.

კუბური ბაზის პირზე გამოკვეთილია ბოლნური ჯვარი, პალმეტებით შემკულ მედალიონში, რომლის ქვემოდან გამოდის და ორმხრივ ზემოაღმართულია მაზდეიზმის წმინდა წასაკრავის ბაფთები; გამოსახულება ჩასმულია სწორკუთხა ჩარჩოში, რომლის ზემოთა ნაპირს გასდევს ცერადკვეთილი სამკუთხედების ზოლი (სურ.1).

ბაზის მარცხენა წახნაგის სუფთად გათლილ ზედაპირზე, ქვემოთ ფონის დადაბლებით შექმნილია მოგრძო სწორკუთხა არე, შევსებული სიცოცხლის ხის იქით-აქეთ მდგარი ორი ვერძის რელიეფური გამოსახულებით; ზემოთ ამოკვეთილია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სურ. 2)[1]. დანარჩენი ორ-ორი წახნაგი გლუვია.

დაზიანებულ-გახეთქილია, კუთხეები ჩამოტეხილია, თითქმის მთლიანად გამქრალია ერთი ვერძის ფიგურა და წარწერის თავი და ბოლო.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 75, ტაბ. XI-XII, სურ. 1,2 ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 94, ტაბ. 15. * V-VI სს - ვ. ჯაფარიძე
** VII ს. - ნ. შოშიაშვილი

N 77. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 60X25 სმ; ჩაშენებულია დმანისის რ-ნის სოფ.საკირეს ე.წ. ყიზილ-ქილისას ეკლესიის საკურთხევლის სამხრეთის კედელში, VI-VII სს.

ტაბ. LXII, სურ. 1,2.

ერთ-ერთ წახნაგზე შემორჩენილია თევზიფხური სახით შემკული მოგრძო სწორკუთხა ჩარჩოებში, ერთიმეორის თავზე ჩასმული წმინდანების ორ-ორი ფიგურა. წარმოდგენილია მთელი ტანით; მეორე წახნაგზე წნულ წრიულ ჩარჩოებში მოთავსებულია ცხოველების მსხვილი ფიგურები (სურ. 1,2).

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 81, ტაბ. XXIII, სურ. 1,2.

N 78. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 55X26 სმ, ჩაშენებულია დმანისის რ-ნის სოფ.საკირეს ე.წ. ყიზილ-ქილისას ეკლესიის საკურთხევლის ჩრდილოეთ კედელში, VI-VII სს.

ტაბ. LXII, სურ.3.

ერთ-ერთი წახნაგი შემკულია ჯვრიანი შტანდარტებით, გადარჩენილია ერთი სრული შტანდარტი - პალმეტებით შემკულ ორსაფეხურიან ბაზაზე „აყვავებული" ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვარი და, მის თავზე, ასეთივე შტანდარტის კვარცხლბეკის ქვედა საფეხური (სურ.3).

ფრაგმენტის რელიეფი დაზიანებულია - მრავალ ადგილას ამოტეხილი და გაცვეთილ-გადახეხილი.

*ლიტერატურა:* ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 81, ტაბ.XXXIV, სურ.1.

N 79. სტელის სვეტის ფრაგმენტების დეტალები. მონაცრისფრო ქვა, ჩაშენებულია, დმანისის რ-ნის სოფ.საკირეს, ე.წ.ყიზილ-ქილისას ეკლესიის საკურთხევლის სამხრეთ კედელში, VI-VII სს.

ტაბ. LXIII, სურ. 1,2
ტაბ. LXIV, სურ. 1, 2,3.

წმინდანები გამოსახულნი არიან პირდაპირი შარავანდედებით მაკურთხეველი მარჯვენით და სახარებით მარცხენა ხელში (სურ.1).

სამი წრიული ელემენტი, რომელიც შევსებულია ზემოდან ქვემოთ ჯიხვის, ფასკუნჯისა და ირმის გამოსახულებებით (ტაბ. XIV, სურ. 1, 2,3.)

---

1 „ი (ეს) უქ (რისტ) ე] ს (უ) ლნ (ი) დ (ა) ხ (ორ) ცნი (შე) (იწყ) ალნე ამ (ა) თნი (ომე) ლია". ა (ღხუ) მ (ა)] რთეს ესე ჯუარი ამჱ (ნ) (ნ. შოშიაშვილი).

N 80. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, 39X13X13 სმ; დმანისის რ-ნი, სოფ. უკანგორი, VI ს. ქსიი N 850

ტაბ. LXV, სურ. 1,2,3

ოთხწახნაგა სვეტის ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახულია წვრილი სამკუთხედებით შემკული მედალიონი ბოლნური ჯვრით, რომელიც დამყარებული უნდა ყოფილიყო ბუნზე, უკანასკნელი აღარ გაირჩევა (სურ.2). მარჯვენა წახნაგზე წვრილ ჩარჩოში მოთავსებული კომპოზიციის ზედა ნაწილში შემორჩენილია ყურძნის მტევნის გამოსახულება. ცენტრში ორნამენტი იკავებს კომპოზიციის ქვედა ნაწილს, ამ კომპოზიციის მარჯვენა კუთხე ჩამოტეხილია (სურ.1). მარცხენა წახნაგის ზედაპირი დაზიანებულია. ქვედა ნაწილში ჩანს წახნაგოვან რგოლში ჩასმული მრავალფურცელა ყვავილის ნაწილი, ხოლო ზედა მცენარეული ორნამენტი აღარ გაირჩევა. დაზიანებულია - აკლია თავი და ბოლოს ზურგზე აღარაფერი გაირჩევა, რელიეფები მრავალ ადგილას ამოტეხილია.

N 81. სტელის სვეტისთავის ფრაგმენტი. ნაცრისფერი ქვა, 30X18X16 სმ. დმანისის რ-ნი, სოფ.უკანგორის მიდამოები: დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა.

ტაბ. LXV.სურ.4,5.

ოთხწახნაგა სვეტისთავის ტანის მცირე ნაწილითურთ კაპიტელის ერთ წახნაგზე შეიმჩნევა ბოლნური ჯვრიანი მედალიონი, თითო სტილიზებულფოთლიანი ყლორტით ორივე მხარეს; მედალიონის თავზე მკრთალად ჩანს სტილიზებული სამწვერა პალმეტებისაგან შედგენილი ვიწრო ფრიზი (სურ.4). კაპიტელის მეორე წახნაგზე ასეთივე მედალიონის მკრთალი კვალია, მხოლოდ არა ჩანს რა იყო მასში ჩასმული; ამავე წახნაგზე, სვეტის ტანის პირზე გაირჩევა კუთხის ცრუ სვეტები და მათ შორის, ორ ყლორტს შორის ჩასმული სტილიზებული ფოთოლი (სურ.5). მესამე წახნაგი ძალზე დაზიანებულია, მეოთხე წახნაგი სადადაა გათლილი. ძლიერაა დაზიანებული, გამოქარული და გადახეხილია.

N 82. სტელის თავის ფრაგმენტი. ღია ფერის ქვიშაქვა, 49X22X22 სმ. დმანისის რ-ნი. სოფ.ბალხალარი, VI-VII სს. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა.

ტაბ. LXVI, სურ. 1, 2. 3.

ოთხწახნაგა კაპიტელის ქვედა, კუბური ნაწილის ორ მოპირდაპირე გვერდზე დაბალი რელიეფით, სუფთადაა გამოკვეთილი სიმეტრიულად გაშლილი წყვილი სტილიზებული ფოთლის მაღალ ღეროზე აღმართული ლოტოსის სამფურცლა ყვავილი, მის თავზე შემორჩენილია ცერადკვეთილი სამკუთხედის ვიწრო ფრიზი (სურ.1). კაპიტელის ზედა ნაწილიც დაახლოებით კუბური მოყვანილობისაა, ხოლო მის სამ წახნაგზე ბრტყლადაა გამოკვეთილი თითო წყვილი და წყვილი ნალისებრი კამარა დამყარებული სვეტებზე (სურ. 1, 2, 3); წყვილი კამარა შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით (სურ.1). მოტეხილი აქვს თავი.

N 83. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი, წითელი ფერის ქვა, 39X19X19 სმ; დმანისის რ-ნი, სოფ.შულავერი, V-VI სს, სსმ. N 929.

ტაბ. L XVII, სურ. 1, 2, 3.

ოთხწახნაგა კაპიტელის ქვემო ნაწილის ორ წახნაგზე გაირჩევა სადა გეომეტრიული სახით შემოჩარჩოებული წრიული მედალიონი ტოლმკლავა ჯვრით და ბრიალათი, ხოლო ზედა ნაწილის წახნაგებზე ბრტყელ სვეტებზე გადადებული წყვილ-წყვილი ნალისებრი კამარები. თავზე ზემოდან ჩანს ჯვრის ჩასამაგრებელი ღრმა ოთხკუთხა ბუდე (სურ. 1, 2, 3). ძლიერ დაზიანებულია, მოტეხილია თავი და ბოლო, გვერდის სიბრტყეები ამოტეხილი და გადახეხილია.

84. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 53X18X18 სმ, დმანისის ნაქალაქარი, VI ს. სხსმ N 1158.

ტაბ. LXVIII, სურ. 1, 2, 3,4

პირზე გადარჩენილია ერთიმეორის თავზე, ვიწრო ჩარჩოში ჩასმული მამაკაცის ერთი სრული ფიგურა და ერთი ფიგურის ბიუსტი (სურ.2). ზედა ფიგურა გამოსახულია პირდაპირ, მთელი ტანით, ორანტის პოზაში,

აცვია წელში გამოყვანილი მოკლე, მრგვალად ქობაშეჭრილი კაბა, კოჭებთან მცირედ შევიწროებული შარვალი და ჩაფლები. თავზე გაირჩევა მოკლედ შეკრეჭილი თმა და მრგვალი წვერი. მეორე ფიგურას აგრეთვე მოკლედ შეკრეჭილი თმა და წვერი აქვს; ჩანს ნუშისგულა თვალები და მოკლე ცხვირი. მხრები გადამრგვალებულია, გულმკერდზე თითქოს მარჯვენა ხელის ნები შეიმჩნევა, რელიეფი ბრტყელია, მიღებულია კონტურებზე ფონის დადაბლებით.

მარჯვენა წახნაგზე ვერტიკალურადაა განლაგებული ურთიერთჩახლართული ნახევარრგოლების ბოლოებზე გამოსხმული შვიდფურცელა პალმეტებისაგან ორნამენტული სახე (სურ.1).

მარცხენა წახნაგზე გაირჩევა, ქვემოთ - გაურკვეველი ცხოველის ფიგურა მარცხენა პროფილში, ხოლო მის ზემოთ - სამფურცელა პალმეტებით შემკული სამსაფეხურიანი კვარცხლბეკი ზედ აღმართული ბუნით, რომლის ძირში ორმხრივ გამობმულია თითო სტილიზებული ფოთოლი (სურ.3). ზურგზე გამოსახულია ვაზის მტევანი და ფოთოლი (სურ.4).

ორივე ბოლო ჩამოტეხილია, რელიეფები მრავალ ადგილას ამოტეხილია.

*ლიტერატურა*: ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ.ნაშრ., გვ. 47, ტაბ. XXV, სურ. 1, 2,3.

## N 85. სტელის სვეტის ფრაგმენტი, ქვიშაქვა, 198X44X42 სმ. დმანისის რ-ნი, სოფ.დიდი გომარეთი, VI-VII სს.

ტაბ. LXIX სურ. 1, 2, 3, 4
ტაბ. LXX სურ. 1,2.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები. პირზე ორ ვერტიკალურ ღარს შორის მოქცეულ არეზე გადარჩენილია ოთხი რელიეფური სწორკუთხა ჩარჩო. ზედა ჩარჩოში გაირჩევა გვერდიგვერდ მდგარი ორი ადამიანის ფიგურა. მთელი ტანით პირდაპირ, გრძელსახელოიანი ჯუბით და წელში გამოყვანილი რკალისებურად ქობაშეჭრილი კაბით. ქვედა ორ ჩარჩოში მკრთალად ჩანს ორ მოზრდილ ადამიანს შორის მდგარი პატარა, თითქოს ხელებაპყრობილი ფიგურა და წყვილი მოზრდილი ფიგურის კვალი (ტაბ. LXIX, სურ. 3; ტაბ. LXX, სურ. 1,2). მარჯვენა წახნაგზე გაირჩევა დეკორატიული მცენარეული სახე - ვერტიკალურ ღეროზე წყვილად გამობმული ლოტოსის რტო, თითო მსხვილი პალმეტი და მის ზემოთ კვლავ ლოტოსის დიდი ყვავილი (ტაბ. LXIX, სურ.2). მარცხენა წახნაგზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია: ქვემოთ - ორი ტალღოვანი რტოს გადახლართვით მიღებული წრეები, მათში ჩასმული სამ-სამი სტელიზებული ფოთლისაგან შეკრული წრიული სახეებით, მათ ზემოთ - სამმაგი რტოსაგან შექმნილი წრეები ასეთივე ფოთლოვანი წრიული სახეებით; ამ ორნაირი ორნამენტის შეხვედრის ადგილას გამოკვეთილია შეწყვილებული პალმეტი (ტაბ. LXIX, სურ. 4). სვეტში ზემოდან ამოღებულია მოზრდილი ოთხკუთხა ბუდე. სვეტი ზის სწორკუთხა ბაზაში, რომელიც მთლიანად მიწაშია ჩაფლული და მხოლოდ ზედაპირით ჩანს. ძლიერ დაზიანებულია - თავი აკლია, ან მოტეხილია, ან ცალკე იყო გამოკვეთილი და სოლით უერთდებოდა ტანს. წიბოები და ზედაპირი ალაგ-ალაგ ჩამოტეხილი და ატკეჩილია, რელიეფი გალეული, ნალექებისაგან შეჭმული და ძნელად გასარჩევი.

## N 86. სტელის სვეტის თავის ორი ფრაგმენტი. ქვიშაქვა, 109X42X40 სმ. 60X34X34 სმ. დმანისის რ-ნი, სოფ. დიდი გომარეთი, VI-VII სს.

ტაბ. LXXI, სურ.1.

ოთხწახნაგა სვეტი ბოლოვდება მცირედ გაფართოებული დაბალი საფეხურით, რომელსაც აგვირგვინებს ორიარუსიანი კამაროვანით შემკული თავი; ნალისებური კამარების დამჭერ „სვეტებს" ამკობს ცერადკვეთილი სამკუთხედები და თევზიფხური სახე. მარჯვენა და მარცხენა წახნაგებზე მკრთალად ჩანს თითო მფრინავი ანგელოზის ფრთა და აფრიალებული სამოსელი, ხოლო პირზე - გაურკვეველი რელიეფი, საფიქრებელია მაცხოვრის ან ღვთისმშობლის ამაღლება. ზურგი სადადაა გათლილი. მის გვერდით დგას რომელიღაც სტელის ტანის პატარა ფრაგმენტზე დადუღებული, ორიარუსიანი კამარით შემკული თავი.

ორივე ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

N 87. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ქვიშაქვა. 190X44X42 სმ. დმანისის რ-ნი, სოფ. დიდი გომარეთი, VI-VII სს.

ტაბ. LXXI, სურ. 2, 3. 4.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები. პირზე, ორ ღრმა ვერტიკალურ ღარს შორის მოქცეულ არეზე გადარჩენილია ფონის დადაბლებით შექმნილი ოთხკუთხა ოთხი ჩარჩო, ამჟამად გაურკვეველი გამოსახულებით (სურ.3). მარჯვენა წახნაგზე, ორი ღარითვე გვერდებიდან შემოჩარჩოებულ არეზე დაბალი რელიეფით გამოსახულია ტალღოვანი რტო, მონაცვლეობით გამობმული სტილიზებული მტევნებით, ფოთლებითა და ულვაშებით (სურ.2). მარცხენა წახნაგზე გამოკვეთილია ორი რტო, რომელთა გადაჯვარედინებით შექმნილ ელიფსურ არეებში ჩასმულია სტილიზებული ფოთლები, ხოლო ზედა ბოლოში გამობმულია ლოტოსის ყვავილი (სურ.4). ზურგი სადაა.

ძლიერ დაზიანებულია - ძირი და თავი წატეხილია, წიბოები და ზედაპირი ჩამოტეხილი, ატკეჩილი, გამოფიტული. რელიეფები მარჯვენა გვერდის გარდა თითქმის აღარ გაირჩევა.

N 88. სტელა ბაზით, მოყვითალო ქვა, ბაზა 110X110X110 სმ. სვეტი - 600X42X42 სმ. მარნეულის რ-ნი, სოფ.ბრდაძორი, VI-VII სს, სხსმ N 812.

ტაბ. LXXII, სურ. 1, 2, 3, 4, 5.

ტაბ. LXXIII, სურ. 1, 2.

დაბალ ოთხკუთხა იმპოსტზე მდგარ კუბურ ბაზაში ჩადგმულია მაღალი ოთხწახნაგა სვეტი. ბაზას ზემოთ აქვს დაბალი ხარისხი, შემკული ვერტიკალური კანელიურებით, პირზე - ბოლნური ჯვარი, ხოლო გვერდების ზედა ნაპირის გაყოლებაზე - ურთიერთგადამკვეთი წრეებისაგან შედგენილი ორნამენტული ზოლი.

სვეტის პირი გრეხილით და „მარგალიტით" შემკული რელიეფური ლილვებით დაყოფილია კვადრატულ ჩარჩოებად, რომლებიც შევსებულია ფიგურული და ორნამენტული რელიეფებით. ამჟამად ჩანს ერთიმეორის თავზე მოთავსებული 13 ჩარჩო (სურ.2). ქვემოდან პირველი ჩარჩო უჭირავს ლანცეტისებური ფოთლებით შემკულ ტოლმკლავა ჯვარს, რომელიც თითქოს კვარცხლბეკზე დგას; მის თავზე მოქცეულია აბრაამის შეწირულების სცენა - მკრთალად ირკვევა ხის კონაზე დაჩოქილი ისააკი, აბრაამის დიდი ფიგურა და მის უკან - თხა, რომლის ზემოთ ღვთის ხელია. ქვემოდან მესამე კვადრატი შევსებულია რომბისა და ირიბი ჯვარისებური სახის წნულით. მომდევნო ოთხ ჩარჩოში გამოკვეთილი რელიეფების სიუჟეტები გაურკვეველია. ჩანს მხოლოდ, რომ პირველი უჭირავს მარჯვნივ მიმართული ოთხკუთხა ცხოველის ფიგურას. მომდევნო ჩარჩოში გამოხატულია მხედარი წმინდა გიორგი, რომელიც მის წინ ჩაგრეხილ გველეშაპს გმირავს. წმ. გიორგის ზემოთ თითქმის ზუსტად ისეთივე ორი ორნამენტული ხლართია, როგორიც ვახსენეთ, ხოლო მათ შორის მოქცეულ ორ ჩარჩოში შობის სცენაა განაწილებული. ქვედა ჩარჩოში - ირიბი კამაროვანის ქვეშ მიწოლილი ღვთისმშობელი, ზედა ჩარჩოში - სამი მოგვის ფიგურა. ამთავრებს დეკორატიულ ზოლს ტოლმკლავა ჯვრის შემცველი ორნამენტული სახე (სურ. 2, 4, 5).

სვეტის გვერდითა წახნაგებიდან მარჯვენას ამკობს სიმეტრიულად ორმხრივ გაშლილი ფოთლებიანი ერთიანი დეკორატიული ღერო (სურ.1), მარცხენას ვაზის ტალღოვანი ყლორტი მონაცვლეობით გამობმული ფოთლებით, მტევნებითა და ულვაშებით (სურ.3). დაზიანებულია: ჩამოტეხილია და აკლია ბაზის ერთ-ერთი ზედა კუთხე და სვეტის ბოლო, რელიეფები მრავალ ადგილას ამოტეხილი, გადახეხილი, გამოქარულია და აღარ გაირჩევა.

N 89. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 150X27X27 სმ. მარნეულის რაიონი, სოფ. ბრდაძორი, VI ს. სხსმ N 813.

ტაბ. LXXIV, სურ. 1, 2, 3, 4

ტაბ. LXXV, სურ. 1, 2, 3.

ოთხწახნაგა სვეტის პირზე, ვიწრო ლილვით შემოვლებულ ოთხკუთხა ჩარჩოებში, ერთიმეორის თავზე განლაგებულია რელიეფური ფიგურების ჯგუფები, ამჟამად გადარჩენილია 6 ჩარჩოს კვალი, რომელთაგან მხოლოდ ქვემოდან პირველში ჩანს ფრონტალურად დაყენებული მამაკაცის ორი ფიგურა, შემოსილი ქობამეჭრილი კაბით და ზედა სამ ჩარჩოში - გვერდიგვერდ მდგარი სამ-სამი წმინდანის ფიგურა, ტანზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირნაკეცებიანი სამოსელითა და შარავანდედით; ორი ჩარჩოს გამოსახულება გაურკვეველია (სურ.2).

მარჯვენა წახნაგზე, ზემოთ გამოკვეთილია მხედარი წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გმირავს ორ მარყუჟად ჩახვეულ გველეშაპს (სურ. 1), ხოლო მის ქვემოთ გამოსახულია ფოთლოვან-გეომეტრიული სახეებით შემკული ოთხი ვარდულის ვერტიკალური მწკრივი, შეკრული ერთიან ორნამენტად შეწყვილებული პალმეტებით.

მარცხენა წახნაგზე ამოკვეთილია მსხვილი ფოთლები, ტალღოვანი სახით (სურ.3). ხოლო ზურგი შემკულია ორმხრივ სიმეტრიულად გადაშლილი, მრავალფოთლიანი ვერტიკალური ღეროთი (სურ.4).

სვეტის „ფეხი", განკუთვნილი კვარცხლბეკში ჩასამაგრებლად, გათლილია სადად.

დაზიანებულია - გატეხილია ორად, თავი წატეხილია და აკლია, ფიგურული რელიეფები ძლიერ გადახეხილია და მრავალ ადგილას ამოტეხილია; ორი ნაწილი გადაბმულია ერთმანეთზე.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ.ნაშრომი.

N 90. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 173X24X24 სმ, მარნეულის რაიონი, სოფ. ბრდაძორი, VI ს. სხსმ N 815.

ტაბ. LXXVI, სურ. 1,2,3
ტაბ. LXXVII, სურ. 1,2

კაპიტელის ოთხწახნაგა სვეტის პირზე ვიწრო ლილვით შემოვლებულ ოთხკუთხა ჩარჩოებში, ერთიმეორის თავზე განლაგებულია რელიეფური ფიგურების ჯგუფები (სურ. 2). ამჟამად მთლიანად გადარჩენილია ოთხი კომპოზიცია, რომელთაგან ღვთისმშობლის ამაღლება - კაპიტელის პირზეა მოცემული (ტაბ. LXXVII) (სურ.1), ხოლო დანარჩენი სამი ვიწრო ლილვით შემოვლებულ ოთხკუთხა ჩარჩოშია მოთავსებული. კაპიტელის კომპოზიციის ქვევით, სტელის პირზე გამოსახულია ტახტზე მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით ხელში და ორი პირის ხშირნაკეცებიან სამოსში გახვეულ მხევალსა და „ირანულ" კაბაში გამოწყობილ მამაკაცს შორის. ყრმა იესო მარჯვენა ხელით აკურთხებს, ხოლო მარცხენა ხელში სახარება უჭირავს (ტაბ. LXXVII, სურ.2). ქვემოთ სამ ჩარჩოში ჩანს ცალკეული ფიგურების კვალი. მეოთხე ჩარჩოში გამოსახულია ნათლისღება, მის ქვეშ - აყვავებული ჯვრის გამოსახულება. სვეტის მარცხენა წახნაგის კაპიტელის პირზე ამოკვეთილია „მანდორლაში" ჩასმული ჩვილი იესო თითო ანგელოზით აქეთ-იქით; კაპიტელის ქვემოთ მოცემულია ორი მამაკაცის გამოსახულება, რომელთაგან მარცხენას ხელში უჭირავს საცეცხლური, მეორეს ორივე ხელით მკერდის წინ უკავია სახარება. მესამე კომპოზიციაში გამოსახულია ორი დიდი და ერთი პატარა ფიგურა, დაყენებული ფრონტალურ მდგომარეობაში. გვერდიგვერდ დგანან გრძელი კაბით და მოსახვევით შემოსილი დედა და „ირანულ" კაბაში გამოწყობილი მამა; მათ შორის დგას შვილი - მემკვიდრე, რომლის ფიგურა ნაწილობრივ ფარავს დედას; მამას მკერდის წინ უჭირავს სამფურცლიანი ყვავილი, მისი მაღალი მდგომარეობის სიმბოლო. დანარჩენი სამი კომპოზიციაც ასევე ორფიგურიანია (სურ.3). მარჯვენა წახნაგის პირზე ამოკვეთილია მცენარეული ორნამენტი (სურ.1). ზურგი სადაა. მოგვიანებით სტელის მარცხენა წახნაგზე ამოკვეთილია სომხური წარწერა.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ.ნაშრ., ტაბ.37-38-39. გვ.71.

N 91. სტელის კაპიტელი, მონაცრისფრო ქვა, 22X19X16 სმ. მარნეულის რ-ნი, სოფ.„ხოჟორნია", VI-VII სს. სხსმ 1043

ტაბ. LXXVIII სურ. 1,2.

კაპიტელის ერთ-ერთ ვიწრო წახნაგზე შემორჩენილია სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული ბოლოში მცირედ გაფართოებული ტოლმკლავებიანი ჯვარი (სურ.1), თითო წრიული პატარა ღრმულით მკლავების ბოლოში და მათი გადაკვეთის ადგილას. ჩარჩოს ქვემოთ სამი პალმეტისაგან შედგენილი ფრიზია. ზემოდან ამოღებულია ოთხკუთხა ღრმა ფოსო ჯვრის ჩასასმელად (სურ.2).

დაზიანებულია - სამ წახნაგზე არაფერი ჩანს, წიბოები ჩამოტეხილია.

N 92. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, 75X33X28 სმ. გარდაბნის რ-ნი, სოფ.საცხენისი, VI-VII სს. სსმ N 781.

ტაბ. LXXIX, სურ. 1, 2, 3,4

ერთ-ერთ წახნაგზე გადარჩენილია შობის სცენა განაწილებული ორ სწორკუთხა ჩარჩოში. ქვემოთ გაირჩევა ადამიანის ორი ფიგურა, მარჯვნივ - სანახევროდ წამოწოლილი ღვთისმშობელი, მარცხნივ - ბებიაქალი; მათ თავზე მოთავსებულია სამმაგი კამაროვანი ვარსკვლავი და სულიწმინდა. ზემოთ, განცალკევებით გამოხატულია ბაგაში ჩაწვენილი, არტახებში გამოკრული ყრმა და ხარისა და სახედრის თავები (სურ.2).

მეორე წახნაგზე, პატარა ვარდულებით შემკულ ოთხკუთხა ჩარჩოებში გაირჩევა ჯვარცმა - ქრისტეს დიდი, ავაზაკების მომცრო ფიგურები და ორი მნათობი - და, მის თავზე, გვერდიგვერდ ფრონტალურად დაყენებული სამი ფიგურის ქვედა ნაწილი (სურ.1). ასეთივე სამ-სამი ფრონტალური ფიგურის ნაშთი ჩანს მოპირდაპირე წახნაგის თევზიფხურით შემკულ ორ ჩარჩოში (სურ.3). მეოთხე წახნაგზე გადარჩენილია მსხვილი ფურცლების ტალღოვანი სახის ორი ელემენტი (სურ.4).

ძლიერ დაზიანებულია - თავი და ბოლო წატეხილია, რელიეფები გადახეხილი და მრავალ ადგილას ამოტეხილი.

## შიდა ქართლის სტელები

N 93. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მონაცრისფრო ქვა, 49X19X19 სმ. ახალგორის რაიონი, სოფ.კიტრიული, ნაეკლესიარი „ბერიჯვარი", VI-VII სს. ახალგორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ტაბ.LXXX, სურ.1, 2, 3
ტაბ. LXXXI, სურ. 1, 2, 3.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები, რომელთა შორის გადარჩენილია ფონის დაბლებით გამოკვეთილი რელიეფები. ყველაზე უკეთ გადარჩენილ გვერდზე გამოხატულია ნათლიღება: გრძელ ვერტიკალურ ნაკეცებიან, წელში გამოყვანილ კაბაში შემოსილი, ხშირთმიანი და წვეროსანი იოანეს ფრონტალური ფიგურის წინ მოთავსებულ ჯვრით შემკულ ემბაზში წელზევით გამოსახულია ქრისტე. მის თავზე ჩანს ჯვრის სამი მკლავი. მარჯვენა ხელით იოანე ქრისტეს თავს ეხება - აკურთხებს, მარცხენა კი - ქრისტეს მარჯვენა ხელისთვის ჩაუვლია. ქრისტეს თავზე გამოსახულია მტრედი-სულიწმინდა, რომელიც უკუღმა, ე.ი. თავით ზევითაა მიმართული. იოანეს გვერდით ფონზე ამოჭრილია 7 სტრიქონად განაწილებული ასომთავრული წარწერა: წმინდა იოვანე ნათლისმცემელი. ნათლღების ზემოთ გადარჩენილია ორ მცენარეულ ორნამენტულ ზოლს შორის მოქცეული ანგელოზის ფრონტალური ფიგურა, შემოსილი ვერტიკალურ ნაკეცებიან კაბაში, გრძელი, დაშვებული ფრთებით, პატარა ჯვრით იდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელში (სურ.2).

მეორე უკეთ შენახულ წახნაგზე ჩანს ჯვარცმა - ქრისტეს მკლავებგაშლილი ფრონტალური ფიგურა შემოსილი ხშირნაკეცებიანი კაბით და მკლავების ქვეშ მოქცეული ავაზაკების თითო ფიგურით. ფონზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა[1]; ჯვარცმის ქვემოთ მოჩანს გვერდიგვერდ დაყენებული საერო პირების ორი ფრონტალური ფიგურის წელზევითი ნაშთი, წარწერის ნაკვალევით ფონზე (სურ.1).

მესამე წახნაგზე გაირჩევა მხოლოდ ერთი ანგელოზის ფრონტალური ფიგურის შუა ნაწილი (სურ.3).

სტელის ფრაგმენტის მეოთხე წახნაგის ზედაპირი ეკლესიის მშენებლობისას მისი მეორადი გამოყენების დროსაა დამუშავებული და წარმოადგენს რკალივით ამოჭრილი სარკმლის კამარის თავზე შემოვლებულ რთულ რელიეფურ წნულს, რომლის ორივე მხარეს მფრინავი ანგელოზების თითო ფიგურაა გამოკვეთილი სათანადო წარწერით, მარცხნივ „მქელ", მარჯვნივ „გბელ" (ტაბ. LXXXI, სურ.4).

ძლიერ დაზიანებულია. მოტეხილია თავი და ბოლო. სარკმლის სათაურად გადაკეთების დროს წრიულად ამოკვეთილია ერთი გვერდი და თითქმის სანახევროდ ჩამოტეხილია მეორე, ჯვარცმის გამოსახულებანი. ნაკლულია დანარჩენი რელიეფებიც.

*ლიტერატურა:* გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი, სტელა ნაეკლესიარ „ბერიჯვრიდან", „მაცნე", გვ. 88-94, 1986 წ. ი. თოფურია, ბერიჯვარის სტელა, ძეგლის მეგობარი, გვ.36-39, 1987 წ. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი სტელას ათარიღებს VIII-IX სს., ი. თ ო ფ უ რ ი ა - VI-VII სს.

---

1 ამ წარწერას თოფურია და ოთხმეზური შემდეგნაირად კითხულობენ: (წ)მი დ(ა)ო ნეტარო ...ქ(რისტ) ე ი.. ფ(ო)ჯა ნე და ჩ(უ(?))ნცა

N 94. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, 50X30X27 სმ. სოფ. წინარეხი, კასპის რ-ნი. VI-VII სს. სხსმ N 597.

ტაბ. LXXXII, სურ. 1, 2, 3.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში წიბოების შერბილებით და ვერტიკალური ღარებით და ლილვებით შექმნილ ცრუ სვეტებს შორის ერთ პირზე, ერთიმეორის თავზე გადარჩენილია ერთი სრული და ორი ნაკლული სწორკუთხა ჩარჩო, რომლებშიც გამოხატული ყოფილა გვერდიგვერდ მდგარი სამ-სამი ადამიანის ფიგურა, შემოსილი ხშირნაკეცებიანი გრძელი კაბებით, რომელთაც მარცხენა ხელში სახარება უჭირავთ (სურ.2). გვერდების წახნაგები შემკულია მსხვილფურცლიანი ტალღოვანი სახით (სურ. 1,3). ზურგზე არაფერი გაირჩევა.

დაზიანებულია - გატეხილია ორად, მოტეხილია თავი და ბოლო. რელიეფები მრავალ ადგილას ამოტეხილი და გადახეხილია.

N 95. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მოყვითალო ფერის ქვა, 78X17X17 სმ. გორის რ-ნი, სოფ. ხანდისი, VI ს. ქხიი.

ტაბ. LXXXIII, სურ. 1, 2, 3, 4, 5.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხის წიბოები ჩამოთლილია ცერად, რითაც შექმნილია ერთგვარი კაპიტელი, რომელზეც დამყარებულია „თაღით" გადახურული და ნალისებური კამაროვანით გაფორმებული „ნაგებობა", მასში ზევიდან ამოღებულია ბუდე დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასადგმელად.

წიბოები და წახნაგები შემოჩარჩოებულია ცერადკვეთილი სამკუთხედებისა და ირიბი ჭდეების ზოლებით. კაპიტელის პირზე გამოხატულია საყდარზე მჯდომარე ქრისტე პანტოკრატორი, მზითა და მთვარით თავთან, მის ქვემოთ სვეტის ტანზე - აგრეთვე საყდარზე მჯდომარე ღვთისმშობელი ქრისტესთავიანი მედალიონით მკერდზე (სურ.2).

მარჯვენა წახნაგზე, კაპიტელზე გამოკვეთილია ორი შარავანდედიანი ფრონტალური ფიგურა: მარცხნივ ქალი, თავსაფრითა და გრძელი კაბით, მარჯვნივ - ხუჭუჭთმიანი მამაკაცი, მრგვალად შეჭრილი ქობიანი კაბით, გრძელ ბუნზე აღმართული ჯვრით მარჯვენა ხელში; სვეტის ტანი შემკული ყოფილა სამფურცელა ყვავილით დამთავრებული ვაზის ტალღოვანი ყლორტით, ზედგამობმული მტევნით, ფოთლებითა და ულვაშებით (სურ.1).

მარცხენა წახნაგზე, კაპიტელზე გამოხატულია მფრინავი ანგელოზი, სვეტზე - შარავანდედიანი მამაკაცის ფრონტალური ფიგურა წინსაფრიან და ქობაშეჭრილ კაბაში ჯვრით ზეაღმართული მარჯვენა ხელით (სურ.3). ზურგი შემკულია მარტივი ორნამენტით: თავზე გადაჯვარედინებული ზოლებით, კაპიტელსა და ტანზე - ერთმანეთში ჩახლართული რგოლებით (სურ.4).

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14, ტაბ. 1-10.

N 96. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოვარდისფრო ქვიშაქვა, 35X16X25 სმ. ხაშურის რ-ნი, სოფ. წრომი, VI-VII სს. სხსმ N 125.

ტაბ. LXXXIV, სურ. 1, 2, 3.

სწორკუთხა, მცირედ დაბრტყელებული სვეტის პირზე ფონის ამაღლებით, დაბალი რელიეფით გამოკვეთილია ოთხი ადამიანის ფიგურა - ორი ფრონტალურად, ორი პროფილში. მარჯვნივ მდგარი ფრონტალური ფიგურებიდან მარცხენა შეყენებულია მაღალ, ოთხკუთხა კვარცხლბეკზე; ორივეს აცვია ხშირნაკეცებიანი, გრძელი, წელში გამოყვანილი კაბა. პროფილში გამოხატული ორივე ფიგურა მუხლმოდრეკილია პირველების წინაშე და ხელებიც მათკენ აქვთ მიმართული ვედრების გამოსახატავად;მათგან მარჯვენა უფრო მცირე ზომისაა და მარცხენას მუხლების დონეზეა მოქცეული. ამ სცენის ქვემოთ საგანგებოდ გათლილ სწორკუთხა არეზე ამოჭრილია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

„ესე ჯოვარი ქრისტესი მე მამასახლისმან გრიგოლ ზედა ავმართე სალოცველად ჩვენდა და მოსახსენებლად ...ა კოჴრთხეოჳლის ...სა" (სურ.2). ზურგზე გადარჩენილია ვაზის წყვილი ტალღოვანი რტო, ზედ გამობმული თითო მტევნით, მათ შორის ფონზე დაუდევრადაა ამოჭრილი ასომთავრული წარწერა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ესე ე ჯოვარი ქრისტესი აგოვსტოსს ა ae მირთა მესსამესა"
გვერდები შემკულია გადაჯვარედინებული წრეებისგან შედგენილი ორნამენტული სახით (სურ.3). დაზიანებულია - მოტეხილია და აკლია ზედა და ქვედა ნაწილაკები. ჩამოტეხილია ნაპირებზეც.

*ლიტერატურა:* Г.Н. Ч у б и н а ш в и л и, "ЦРОМИ", с.39, Таб.93, 94, 1960. Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ.ნაშრომი, გვ. 80, 1972.

N 97. სტელის სვეტის ფრაგმენტი. ნაცრისფერი ქვიშაქვა, 115X27X27 სმ, საგარეჯოს რ-ნი, გარეჯის უდაბნო, ნათლისმცემელი, VI-VII სს., სსმ N 761

ტაბ. LXXXV, სურ. 1, 2, 3

ოთხწახნაგა სვეტის წიბოები ცერადაა ჩამოკვეთილი და შემკულია საპირისპიროდ მიმართული კონცენტრული რკალებით, მოქცეული „გრეხილ" ლილვებს შორის.

პირზე სწორკუთხა ჩარჩოში დაბალი რელიეფით გამოხატულია მარჯვნივ მიმართული მხედარი, რომელიც ისარს სტყორცნის მის ზემოთ მოთავსებულ, ასევე მარჯვნივ მიმართულ ირემს; ირმის უკან შემობრუნებულ თავის რქებს შორის მოქცეულია ქრისტეს ბიუსტი. ჩარჩოს გარეთ, ქვემოთ ამოკვეთილია ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა (სურ.2):

„ესე ჯოვარი მე მარვუ ვო ავმართე სა ლოცველად ჩემდა და ცოლისა და შვთს (შვილთათვის)"

მარჯვენა წახნაგზე გამოკვეთილია ვაზის ტალღოვანი რტო ყვავილით, მტევნებით, ფოთლითა და ულვაშებით (სურ.1). მარჯვენას ამკობს დიაგონალური ბადე (სურ.3). ზურგი სადაა. სტელის ქვედა ნაწილი სუფთადაა გათლილი კვარცხლბეკში ჩასადგმელად. დაზიანებულია - მოტეხილია და აკლია ზედა ნაწილი, კუთხეები და წიბოები ალაგ-ალაგ ჩამოტეხილია, რელიეფი ნაწილობრივ გაცვეთილია.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ.ნაშრ., გვ. 90. ტაბ. 63-64; 65-67.

N 98. სტელის სვეტის ფრაგმენტი, ნაცრისფერი ქვიშაქვა, 175X31X31 სმ. გორის რ-ნი, მეჯვრისხევი, ადგილი კატაულა, IX ს. სხსმ N 133

ტაბ. LXXXVI, სურ. 1, 2, 3, 4.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხის წიბოები ცერადაა ჩამოთლილი და შემკულია მონაცვლეობით საპირისპიროდ მიმართული კონცენტრული რკალების რიგით; წახნაგების ზედაპირი დაყოფილია თევზიფხურით მოჩარჩოებულ სწორკუთხა არეებად.

პირზე, ქვემოთ გაირჩევა ფრონტალურად დაყენებული ორი ადამიანის ფიგურას შორის აღმართული მაღალი ბუნი, ზედ გამობმული წყვილი ფოთლით, დაგვირგვინებული ბოლნური ჯვრის მედალიონით. მის ზემოთ შეწყვილებული პალმეტით გამოყოფილია ერთიმეორის თავზე მოქცეული სამი ოთხკუთხა არე, შევსებული ფრონტალურად დაყენებული წმინდანების წყვილ-წყვილი ფიგურებით; მათ აცვიათ გრძელი, ვერტიკალურნაკეცებიანი კაბა,თავზე ადგიათ შარავანდედი, მარცხენა ხელში უჭირავთ სახარება, მარჯვენათი აკურთხებენ (სურ.2).

მარჯვენა წახნაგი დაყოფილია ხუთ არათანაბარ არედ; მათგან ყველაზე დიდია ზედა, რომელსაც მთლიანად ავსებს ფრონტალურად დაყენებული მამაკაცის ფიგურა.; მას აცვია გრძელი, წელში გამოყვანილი და სარტყელშემოვლებული კაბა და მოგვი, რომელსაც იდაყვში მოხრილი ორივე ხელი გულმკერდის წინ, ვედრების ნიშნად აქვს გაწვდილი. თავის ორივე მხარეს და მარჯვენა იდაყვის ქვემოთ სვეტებადაა განაწილებული ასომთავრული წარწერა: „წმიდაო თევდორე და ილარიონ შეიწყალე გრიგოლ უპატოსი".

ამ ფიგურის ქვემოთ, პატარა ჩარჩოში გამოკვეთილია წყვილი რვაფურცელა ვარდული; ისინი ერთგვარად აცალკევებენ მას მომდევნო სამი ჩარჩოსაგან, რომელთაგან პირველი ორი უჭირავს მამაკაცს თითო, ხოლო მესამე - წყვილ ფრონტალურ ფიგურას; მათგან პირველ მამაკაცს მარცხენა ხელში უჭირავს კვერთხი, მის თავთან წარწერის კვალია (სურ.1).

მარცხენა წახნაგიც ხუთ ჩარჩოდაა დაყოფილი. ზედა სამი ჩარჩო უჭირავს გრძელი კაბით, წამოსასხამითა და თავსაფრით შემოსილი ქალის თითო ფრონტალურ ფიგურას, რომელთაგან პირველ ორთან ასომთავრული წარწერებია: „...რი მჳ ევალი შენი შეიწყალე" და „ჯვარო პატიოსანო მარიამ მჳევალი შეიწყალე". ქვედა ორი ჩარჩოს ფიგურები მკრთალადღა ჩანს (სურ.3).

ზურგის სიბრტყე შემკულია ტეხილხაზოვანი ყლორტით, ზედ გამობმული მტევნებით და ფოთლებით, რომლის ძირთან ჩანს ადამიანის ერთი ფრონტალური ფიგურა და მეორე ფიგურის თავი. (სურ.4).

დაზიანებულია - თავი და ბოლო მოტეხილია. ქვედა ნაწილი გადახეხილია, ფიგურების სახეები საგანგებოდაა ამოჩორკნილი.

ლიტერატურა: გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114. Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ. ნაშრომი, 102; ნ. შოშიაშვილი, დასახ.ნაშრომი, გვ. 118, ტაბ. 28, 29, 30.

N 99. სტელის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, 38X21X21 სმ, მცხეთის რ-ნი, ჯვარი, VI-VII სს. სხსმ N 482.

ტაბ. LXXXVII, სურ. 1, 2.

დაახლოებით კუბური მოყვანილობის სვეტის ტანის ერთ პირზე გადარჩენილია ქრისტეს ფრონტალური ფიგურის თავი და, ნაწილობრივ, ტორსი; მკრთალად ჩანს სახის მსხვილი ნაკვთები, გრძელი თმა, თავზე ჯვრის ერთი მკლავი, რომლის აქეთ-იქით თითქოს მფრინავი ანგელოზების ფრთების კვალი გაირჩევა. ზემოთ, ჩარჩოს გარეთ, გადარჩენილია წრეში ჩასმული პატარა ტოლმკლავა ჯვარი (სურ.1).

მარჯვენა წახნაგზე გაჭირვებით გაირჩევა თითქოს გრძელწვერა მამაკაცისა და მის გვერდით, ერთიმეორის თავზე, მარჯვნივ მიმართული რქოსანი და ურქო ცხოველი (სურ.2). მარცხენა წახნაგზე წრიულ მედალიონში ჩასმული ორი, ბოლოგაფართოებული, ტოლმკლავა, ცერადკვეთილი ჯვრის ნაწილებიღაა გადარჩენილი.

მოტეხილია და აკლია თავი და ბოლო. წიბოები ჩამოტეხილი - გადახეხილია.

N 100. სტელის სვეტი. ბაცი ვარდისფერი ქვიშაქვა, 100X27X25 სმ; გორის რ-ნი, სოფ.მეჯვრისხევი - უსანეთის გორა, VIII-IX სს. სხსმ N 227.

ტაბ. LXXXVIII, სურ. 1, 2, 3.4.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებში შექმნილია ცრუ სვეტები; მათ შორის მოქცეული სიბრტყეები ერთიანადაა დაფარული უკიდურესად ბრტყელი, თითქმის გრაფიკული რელიეფური გამოსახულებებით.

სვეტის პირად უნდა ჩაითვალოს წახნაგი, რომელზეც ერთიმეორის თავზე გამოსახულია ორი დიდი ჯვარი ბოლოში გაფართოებული მკლავებით, მოკლე ბუნით აღმართული პატარა ოთხკუთხა კვარცხლბეკზე; მათი ზედაპირი ერთიანადაა დაფარული მჭიდრო დიაგონალური ბადით. ჯვრების ქვემოთ მკრთალადღა მოჩანს ადამიანის რამდენიმე ფიგურისაგან შედგენილი, ამჟამად გაურკვეველი სცენა და ასომთავრული წარწერის კვალი (სურ.2). მარცხენა წახნაგი წვრილი ჰორიზონტალური ხაზებით დაყოფილია დაახლოებით კვადრატულ ოთხ არედ, რომელთაგან: ქვედა - შეუვსებელია; მომდევნო ორში - სამ-სამი წმინდანის ფრონტალური ფიგურაა, მათ შორის ოთხი განმარტებითი ასომთავრული წარწერით: წმიდა პეტრე, წმიდა პავლე, წმიდა ანტონი, წმიდა კოსმან მეოთხე, ზედაში - დანიელი ლომების ხნარცვში შესაბამისი ასომთავრული წარწერით წმიდა დანიელი. დანიელი ხელებაპყრობილი, ორანტის პოზაში დგას ორ ლომს შორის, რომლებიც ფეხებით მისკენ არიან მიმართული (სურ.1). მარჯვენა წახნაგის ზედაპირი ჰორიზონტალური ხაზის ორ დიდ არედ არის გაყოფილი. ქვემოთ გამოხატულია მოკლე ბუნზე დამყარებული ისეთივე დიდი ჯვარი, როგორც პირზე, მხოლოდ მკლავების ბოლოებზე გამობმული ბურთულებით - მცირფასი თვლებით, ხოლო მის ზემოთ - ნათლიღება: იოანესა და ანგელოზს შორის. ჯვრით შემკულ ემბაზში ჩანს წელზევით შიშველი იესო, რომლის თავიდან გამოდის ჯვრის სამი მკლავი, ზემოდან ეშვება მტრედი - სულიწმინდა; იოანე მარჯვენა ხელით ეხება იესოს თავს, მის გვერდით ასომთავრული წარწერაა: წმიდა იოვანე. ზემოთა არე უჭირავს იერუსალიმში შესვლის მრავალფიგურიან კომპოზიციას; მისი შუაგული უჭირავს სახედარზე მჯდარი მაცხოვრის წელზემოთა ფიგურას, სახედარი პროფილშია, იესო - პირდაპირ, თავზე გამობმულია ჯვრის სამი მკლავი. იესოს თავთან, აქეთ-იქით, გამოხატულია ორი მფრინავი ანგელოზი, ხოლო სახედრის ქვემოთ და უკან - ხუთი და ერთი ადამიანის ფრონტალური ფიგურა პალმის გრძელი ტოტებით ხელში. სცენის ქვეშ ასომთავრული წარწერაა: ნათლისცემაჲ (სურ.3). ზურგი მთლიანად უჭირავს ერთიმეორის თავზე მოთავსებულ მთავარანგელოზების ორ დიდ ფრონტალურ ფიგურას სათანადო წარწერებით, რომელთაგან ამჟამად იკითხება მხოლოდ წმიდა გაბრიელ, და მათ ქვეშ - წმ.კვირიკეს ტრიუმფის კომპოზიცია: ცენტრში დგას წმინდანი, რომელიც მარჯვენა ხელით აკურთხებს - თავზე ხელით ეხება მის წინ მუხლმოყრილ და ვედრებით ხელაპყრობილ მამაკაცს; კვირიკეს ზურგს უკან დგას ანგელოზი, რომელსაც მის თავზე უჭირავს ჯვრიანი გვირგვინი. ფიგურებს თან ახლავს ასომთავრული წარწერა: წმიდა კვირიკე კარუპი. დაზიანებულია - ზედა ნაწილი გატეხილია ორად. წიბოები

მრავალ ადგილას ჩამოტეხილი, ქვემო ნაწილი გადახეხილია. ფიგურები შესრულებულია სქემატურად, სტერეოტიპულად, დაფარულია სხვადასხვა მიმართულების პარალელური ხაზებით, ჭედურობისათვის დამახასიათებელი მანერით.

*ლიტერატურა:* გ.ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936, გვ. 212-213, სურ. 166-167; მისივე, „ქართული ხელოვნება VIII-IX სს. მისი ხასიათი და ისტორიული ადგილი", მეცნ.აკად.1956; თ.ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, „უსანეთის სტელის თარიღისათვის, მაცნე, თბილისი, 1969, N 1, გვ. 191-202, ტაბ. 2; Р.О. Ш м е р л и н г, Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тбилиси, 1968, стр. 73-75; Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახელებული ნაშრომი, 1972, გვ. 115-116. კ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, ძველი ქართული პლასტიკის საწყისებთან, „საბჭოთა ხელოვნება", N 10, გვ. 65-68.

N 101. სტელის ბაზა, ქვიშაქვა. 46X41X41 სმ, გორის რ-ნი, სოფ.ატენი, VII-VIII სს, სხსმ N 168.
ტაბ. LXXXIX, სურ. 1, 2.

სწორკუთხა ბაზაზე გამოკვეთილია სამსაფეხურიანი საყრდენი ჯვრიანი სტელის ჩასამაგრებლად. ბაზის პირზე ფონის დადაბლებით შექმნილია სწორკუთხა ჩარჩო, რომელშიც მოქცეულია რვასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. სტელის საყრდენის საფეხურები გვერდებზე ზემოდან გადამრგვალებულია, პირზე კი დამუშავებულია კონქივით შეღრმავებული კამარების მწკრივებად; პირველი საფეხურის კამარიდან შუათანა სამ კამარაში გამოკვეთილია თითო სამფურცელა ყვავილი, მეორე საფეხურის 4 და მესამე საფეხურის 3 კამარა ცარიელია. გვერდები და ზურგი სადადაა გათლილი.

მცირედ დაზიანებულია - ჩამოტეხილია კუთხეები და ზოგიერთი ადგილი.

ესე ჯ ი ქრისტჱსი მე ვეჟან ატენელ მამასახლისმან აღვმართე შესავედრებლად და ს აჱსრად სოფლისა ჩემისა და ყოველთა თჳს თავყოთანისმცე მელთა ქრისტეჱსთა: ქრისტე ყოველნი შეგჳწყალენ ძალითა ჯ ისა შენის თა ამცნ იყავნ და რომელთა აღ მოიკითხოთ მეჲე ჟან ცოდვილი ლოცვასა მიჴსენეთ.

*ლიტერატურა:* ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 166-67.

N 102. სტელის სვეტისათვის ფრაგმენტი, მუქი ფერის ქვა, 18X18X16 სმ. გორის რ-ნი, სოფ.ზემო სკრა, V-VI სს, სხსმ N 1308.
ტაბ. XC, სურ. 1, 2

ოთხწახნაგა სვეტისთვის გარშემოვლებული აქვს ნალისებრი კამაროვანი, რომლის „სვეტები" თევზიფხურითაა შემკული; ყოველ წახნაგზე სამ-სამი „თაღი" უნდა ყოფილიყო (სურ. 1,2).

ზემოდან ემჩნევა ჯვრის ჩასამაგრებელი ფოსოს კვალი.

N 103. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მოყვითალო ქვა, 61X25X25 სმ. დუშეთის რ-ნი, სოფ. დავათი, VI ს. სსმ
ტაბ. XCI, სურ. 1, 2,
ტაბ.XCII, სურ. 1,2,
ტაბ.XCIII, სურ. 1,2.

ოთხწახნაგა სვეტის ქვედა ნაწილი გათლილია კვარცხლბეკში ჩასადგმელად; კუთხეებში, წიბოების შერბილებით შექმნილია ცრუ სვეტები. პირზე, თევზიფხურით შემოყოლებულ ჩარჩოში, დაბალი რელიეფით გამოსახულია ფეხზე მდგარი ღვთისმშობელი, რომელსაც ორივე ხელით მკერდის წინ უჭირავს შარავანდედიანი იესოს ბიუსტი, წელსზევით, სახარებით გულმკერდის წინ. ღვთისმშობლის და იესოს ტანსაცმელი დაწვრილებითაა დამუშავებული ტეხილხაზოვანი და პარალელური ზოლებით, სახის ნაკვთები კი - რელიეფური სიბრტყით. ღვთისმშობლის თავთან აქეთ-იქით, ფონზე ამოჭრილია ორ-ორი მთავრული ასო ქარაგმით წმშ, ხოლო მხრებთან ჲს იესუ ქრისტე (სურ. 1).

ზურგზე ერთიმეორის თავზე გადარჩენილია თევზიფხურით შემოყოლებული სწორკუთხა ჩარჩო, რომელშიც მოქცეულია: ქვედა ჩარჩოში - გვერდიგვერდ მდგარი ორი საერო პირი, რომლებსაც იდაყვში მოხრილი და ზეაღმართული მარჯვენა და მარცხენა ხელებით უჭირავთ ამჟამად გაურკვეველი საგანი, იდაყვში მოხრილი მეორე ხელი გულმკერდზე უდევთ. ტანთ აცვიათ გრძელი სადა კაბა, დაფარული ხშირი ვერტიკალური ნაკ-

ცებით და ქობაზე შემოვლებული არშიით; თავზე ახურავთ ქუდები. ზედა ჩარჩოში ასევე გვერდიგვერდ მდგარი ორი ანგელოზი მთელი ტანით, პირდაპირ, შემოსილი გრძელი ვერტიკალურნაკეცებიანი კაბით; თავზე შარავანდედით, ზეაღმართული და წინ გაწვდილი ხელებით ფრთა წელის არეშია გამობმული; (სურ. 1, 2). თითქოს უჭირავთ რაღაცა საგანი, მაგრამ ფიგურებს შორის მოქცეული ოვალური არე ცარიელია - სუფთადაა გათლილი. მხოლოდ მკრთალად მოჩანს მსუბუქად ამოკაწრული, სტრიქონად განაწილებული მთავრული 37 ასოანბანი. მარჯვენა ანგელოზის თავთან ფონზე ამოჭრილია ქარაგმის ქვეშ ორი ასო - მლ მიქელ. კუთხის ცრუ სვეტის ზედაპირზეც ამოკვეთილია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა - ჯვარო მარტურთა შეიწყალე.

დანარჩენი ორი წახნაგი შემკულია სტილიზებული ექვსფურცელა ფოთლებისგან შედგენილი ტალღოვანი ვერტიკალური არშიით, რომელიც გვერდებიდან მოჩარჩოებულია წვრილი რელიეფური ლილვით (სურ. 1,2).

დაზიანებულია - ზემო ნაწილი მოტეხილია და აკლია ერთი წიბო მთლიანად, მეორე ნაწილობრივ ჩამოტეხილია; ფიგურების სახეები საგანგებოდაა ამოჩორკნილი.

*ლიტერატურა:* კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სტელები სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიიდან, ძეგლის მეგობარი, N 68, 1984, გვ. 43-48, რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, მნათობი, N 8, 1986, გვ. 130-180; რ. პ ა ტ ა რ ი ძ ე, დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი, მნათობი, N 4, 1987, გვ. 157-169. გ. ნ ა რ ს ი ძ ე, დავათის ქვა-ჯვარი, წერილი მეორე, მნათობი, N 8, 1987, გვ. 154-163.

N 104. სტელის სვეტი. მოთეთრო ქვა, 73X26X21 სმ. დუშეთის რაიონი, სოფ. დავათი,
VI ს. სსმ.

ტაბ. XCIV, სურ. 1, 2, 3, 4.

ოთხწახნაგა სვეტის სუფთად გათლილი წახნაგების ზედაპირზე ღრმად ჩაჭრილი ღარით შექმნილია ერთი მაღალი სწორკუთხა ჩარჩო. პირზე ასეთ ჩარჩოში მოქცეულია ცერადკვეთილი სამკუთხედებით დაფარული ორსაფეხურიან კვარცხლბეკზე მაღალი ბუნით დამყარებული ბოლნური ჯვარი. ბუნიც და ჯვარიც, რომელთა გადაბმის ადგილას სფეროა გამოხატული, გამოკვეთილია ფონის ორ სიბრტყეში ამოღებით, რის გამოც ისინი ერთიანად შემომაკონტურებელ თავისებურ ჩარჩოში ექცევიან, ბუნისა და ჯვრის გამოსახულება დაუმუშავებლადაა დატოვებული. ზუსტად ასეთივე გამოსახულებაა გვერდითა წახნაგზე, იმ განსხვავებით, რომ მარჯვენა წახნაგზე ჯვრის მკლავები ცერადკვეთილია და დანარჩენ ნაკვთებსაც ემჩნევა ერთგვარი მოდელირების კვალი (სურ. 1, 2, 3).

ზურგის წახნაგზე ჩარჩოში ჩასმულია წრიული მედალიონი ტოლმკლავა ჯვრით, მის ქვემოთ ასეთივე მედალიონი ჯვრისებური ცერადკვეთილი სახით და მის ქვემოთ - ვერტიკალური ღარი, სიმეტრიულად გადაშლილი და დამუშავებული სამ-სამი „ტოტით" - მცენარის სქემატური სახე (სიცოცხლის ხე) (სურ.4).

სვეტის თავში ამოღებულია სწორკუთხა ღრმა ბუდე.

დაზიანებულია - ჩამოტეხილია ბუდის ორი გვერდი.

*ლიტერატურა:* კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ.: რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.

N 105. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მოყვითალო ფერის ქვა, 40X20X20 სმ; დუშეთის რ-ნი,
სოფ.დავათი, * VI ს, სსმ.85-60.

ტაბ. XCV, სურ. 1, 2, 3, 4.

ოთხწახნაგა სვეტის ორად გატეხილი ტანის წიბოები ცერადაა ჩამოკვეთილი და შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედების ვერტიკალური რიგით, პირზე, გვერდებიდან მოჩარჩოებულ გრძელ და სადა ლილვებს შორის, ერთი მეორის თავზე ცერადკვეთილია მოკლე ბუნზე დამყარებული სამი წრიული მედალიონი შევსებული ტოლმკლავა ჯვრით, რვაფურცლიანი ვარდულით და რადიალური ღარებისაგან შექმნილი ჯვარისებური ბრიალათი, რომლის ზემოთ კიდევ ერთი მედალიონის ჩარჩოს კვალი ჩანს (სურ.2). გვერდითა წახნაგები შემკულია გრეხილითა და გოფრირებული ზოლით მოჩარჩოებული თავისებური გეომეტრიულ-მცენარეული სახით, რომელიც შედგენილია ერთიმეორეზე მოთავსებული, ცერადკვეთილი სწორკუთხა არეების თავზე ჩასმული ძლიერ სტილიზებული სამფურცელა ყვავილებისაგან. ზურგის წახნაგი სადად, სუფთადაა გათლილი (სურ. 1, 3, 4), მხოლოდ ქვემოთ გამოუცდელი ხელით გრაფიკულად ამოკვეთილია ვარდულისებრი, თითქმის

* ჩაშენებული იყო დავათის ეკლესიის ნავების გამყოფ ბურჯში.

ტოლმკლავა ჯვარი. თითქმის კუბური სვეტისთავის წიბოზეც ცერადაა ჩამოკვეთილი და დაფარული სამკუთხედებით, მხოლოდ იმგვარად, რომ შექმნილია მახვილი სამკუთხა სიბრტყეები, რის გამოც სვეტისთავს მიღებული აქვს რვაწახნაგა პრიზმული მოყვანილობა. სვეტისთავის პირზე გამოკვეთილია გოფრირებულჩარჩოიანი ბოლნური ჯვარი, ხოლო გვერდითა სიბრტყეებზე - თითო რვაფურცელა ვარდული, ზურგი სადადაა გათლილი.

დაზიანებულია - აკლია ტანის ზემოთა ნაწილი, წიბოები, კუთხეები და ზედაპირები მრავალ ადგილას ჩამოტეხილია.

N 106. სტელის სვეტის ფრაგმენტი, მოყვითალო ქვა, თიანეთის რ-ნი, სოფ.ჟალეთი, VI-VII სს. ქხიი. N 863

ტაბ. XCVI, სურ. 1, 2, 3, 4.

ოთხწახნაგა სვეტის ერთ-ერთ წახნაგზე ფონის ამოკვეთით გამოსახულია სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული წმინდანის ფიგურა, მთელი ტანით, პირდაპირ.შარავანდედით და ვერტიკალურნაკეცებიანი გრძელი კაბით შემოსილი, ჯვრებით შემკული კვერთხით მარცხენაში და საცეცხლურით მარჯვენა ხელში; თავთან ჩარჩოს კუთხეებში, გამოკვეთილია 2 რვაფურცელა ვარდული; მათ ქვემოთ, ფონზე ასომთავრულად - წანფ ნიკიფორე (სურ.2); გვერდითი წახნაგების თავში შექმნილია მცირედ გამოწეული კვადრატული „კაპიტელი''. მარჯვენა წახნაგის „კაპიტელზე'' გამოკვეთილია შვიდფურცელა ვარდული (სურ.1); მარცხენაზე - თევზიფხურით შემკულ კვარცხლბეკზე შემომჯდარი ფრინველი მარცხენა პროფილში, ზარით ნისკარტში (სურ. 3,4). „კაპიტელების'' ქვემოთ ორივე წახნაგი შემკულია ერთნაირი, გეომეტრიულ-მცენარეული სახით, რომელიც შედგენილია ერთიმეორეზე მოთავსებული ცერადკვეთილი სწორკუთხა არეების თავში ჩასმული ძლიერ სტილიზებული სამფურცელა „ყვავილებისგან''. 24

დაზიანებულია - ქვედა ბოლო მოტეხილია. ზურგზე არაფერი აღარ გაირჩევა; წიბოები და რელიეფები მრავალ ადგილას ამოტეხილია.

## სამცხე-ჯავახეთის სტელები

N 107. სტელა, საყრდენი ბალიშითა და ბაზით. ფოროვანი ბაზალტი, სვეტი 270X32X32 სმ: ბაზა 90X67X67 სმ. ასპინძის რ-ნი, სოფ. ზედა თმოგვი, VII ს. 23

ტაბ., XCVII, სურ. 1, 2, 3, 4.
ტაბ., XCVIII, სურ. 1, 2, 3,4.
ტაბ., XCIX, სურ. 1, 2, 3,4.

ოთხწახნაგა სვეტის კუთხეებთან ვერტიკალური ღარებითა და წიბოს შერბილებით შექმნილია ცრუ სვეტები; მათ შორის მოქცეულ ვერტიკალურ არეზე დაბალი რელიეფით ერთიმეორის თავზე გამოკვეთილია პირზე ქვემოდან ზევით ოთხკუთხა ბაზაზე დამყარებულ ბუნზე აღმართული ბოლნური ჯვრის მედალიონი, რომლის ქვემოთ, ბუნზე აქეთ-იქით გამობმულია მორკალვით ზემოაღმართული ბაფთა (მაზდეანიზმის წმინდა წასაკრავი COST), კიდევ ერთი ასეთივე ჯვრიანი შტანდარტი „დანიელი ლომების ხნარცვში'' და კიდევ ერთი ჯვრიანი შტანდარტი, რომლის ბუნზე ბაფთის გარდა გამობმულია წყვილი ფოთოლი (ტაბ. XCVII, სურ. 1). დანიელი გამოხატულია პირდაპირ, შემოსილი მოკლე, წელში გამოყვანილი კაბით, თავზე ახურავს „ფრიგიული'' ჩაჩი, ფეხთ აცვია მოგვები; იდაყვში მოხრილი ორივე ხელით მკერდის წინ უჭირავს ტოლმკლავა ჯვარი. ლომი გამოხატულია ვერტიკალურად, მარცხენა პროფილში, რელიეფური ხაზით; ენით ეხება დანიელის ფეხებს, მხარზე და გავაზე ასხს თითო რგოლი. დანიელის ზემოთ გამოკვეთილია კიდევ ერთი ჯვრიანი შტანდარტი. შტანდარტების კვარცხლბეკები, ჯვრები და მედალიონები შემკულია ცერადკვეთილი სამკუთხედების მწკრივებით (ტაბ.XCVIII, სურ. 2,4).

გვერდების წახნაგებზე გამოკვეთილია ვაზის ტეხილხაზოვანი ყლორტი, რომელზეც მონაცვლეობით გამობმულია თითო კუმსი მტევანი და სამწვერა ფოთოლი. მარჯვენა წახნაგზე ყლორტის თავზე მოთავსებულია კვლავ ჯვრიანი შტანდარტი (ტაბ. XCVII, სურ. 2, ტაბ. XCVIII, სურ. 1), მარცხენაზე - მრავალფურცლიანი ვარდული (ტაბ. XCVII, სურ. 3, ტაბ. XCVIII, სურ. 3). ზურგი სადადაა გათლილი. სვეტში ზემოდან ამოღებულია ღრმა ფოსო ჯვრის ჩასამაგრებლად (ტაბ. XCVII, სურ.4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზის ოთხივე წახნაგზე ღრმად ჩაჭრილი ორმაგი ხაზით გამოყოფილ სწორკუთხა ჩარჩოში ფონის დადაბლებით გამოკვეთილია თითო ტოლმკლავა ჯვარი ცერადკვეთილი ზედაპირით. პირზე ჯვარი დამატებით მოქცეულია წრეში (ტაბ. XCIX, სურ. 1), მარჯვენა და მარცხენა წახნაგებზე - რელიეფურ გრეხილურ რგოლში (ტაბ. XCIX, სურ. 2,3); მარჯვენა წახნაგზე (ტაბ. XCIX, სურ.2) და ზურგზე (ტაბ. XCIX, სურ.4) ჯვრის მკლავებს შორის და რგოლის გარეთ დასმულია მრგვალი ბურცობები.

დაზიანებულია - საყრდენი ბოლოში გატეხილია, აკლია ნახევარი; ბაზის უკანა წახნაგის ზემოთა ნაწილი მოტეხილია და აკლია. სვეტი ორადაა გატეხილი, თავის უკანა მხარე მოტეხილია და აკლია.

*ლიტერატურა:* Н.Г. Чубинашвили, დასახ.ნაშრომი.

N 108. სტელა ბაზით, მონაცრისფრო ფერის ქვა, 67X20X20 სმ. ასპინძის რ-ნი, სოფ. ზედა თმოგვი, IX ს.

ტაბ. C, სურ. 1,2

მცირე ფორმის ოთხწახნაგა სტელა დამყარებულია საკმაოდ დიდ ბაზაზე; სტელის ერთ-ერთი წახნაგის პირზე გამოსახულია პატარა ჯვარი. დანარჩენი გვერდები გლუვია.

N 109. სტელა საყრდენი ბალიშითა და ბაზით. რუხი ბაზალტი, ბაზა 67X67X47 სმ, სვეტი 270X35X35 სმ. ასპინძის რ-ნი, სოფ. ზედა თმოგვი, „ადგილი ჯვრის მთა", VI-VII სს.

ტაბ. CI, სურ. 1, 2, 3.

ოთხკუთხა წაგრძელებულ ბალიშზე მდგარი კუბური ბაზის პირზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია წრიულ ჩარჩოში ჩასმული ტოლი, ბოლოში გაფართოებული და ცერადკვეთილი მკლავებიანი დიდი ჯვარი (სურ.2). დანარჩენი წახნაგები სადაა. ბაზაში ჩადგმული, ორი არათანაბარი სიგრძის ნაწილისაგან შედგენილი ოთხწახნაგა სვეტის ორი მოპირდაპირე გვერდი სადაა, ორზე კი, ქვედა ნაწილზე კუთხეებთან გავლებულია თითო ვერტიკალური ღარი, ზედაზე კი, ზემოთ ორ სართულად გამოკვეთილია წყვილ-წყვილი ნალისებური კამაროვანი და ჰორიზონტალური თევზიფხური ზოლი (სურ. 1,3). სვეტს ამთავრებს სფეროიდული თავი, რომელშიც ამოღებულია ფოსო ჯვრის ჩასამაგრებლად.

დაზიანებულია - სფეროიდული თავი და ალაგ-ალაგ წიბოები ჩამოტეხილია, რელიეფი გამოქარულია.

N 110. სტელა ბაზით, ბაზალტით, ბაზა 105X100X80 სმ. სვეტი 200X40X40 სმ. ასპინძის რ-ნი, სოფ.აგარა, VI-VII სს.

ტაბ. CII, სურ. 1, 2, 3.

კუბური ბაზის პირზე ჩაღარული ხაზით გამოსახულია ცენტრში - ორმაგ წრეში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, ცერადკვეთილი ბოლოგაფართოებული მკლავებით. ოთხივე კუთხეში ორმაგი რკალით გამოყოფილი მარაოსავით გაშლილი სამ-სამი წვეთისებური ფოთოლი, ბოლოში თითო ბურცობით. დანარჩენი წახნაგები სადაა (სურ. 1,3). სვეტის კუთხეებში ღრმა ვერტიკალური ღარით შექმნილია ცრუ სვეტები; მათ შორის, პირისა და ზურგის წახნაგებზე რელიეფურადაა გამოკვეთილი, ძირში - შეწყვილებული სტილიზებული პალმეტი, თავში - წყვილი რვაფურცლიანი ვარდული და, მათ ზემოთ ისეთივე შეწყვილებული პალმეტი, როგორც ქვემოთ (სურ. 2).

სვეტის თავში ამოღებულ ბუდეში ჩამაგრებული ტლანქად გამოკვეთილი ჯვარი ბოლოებმომრგვალებული მკლავებით; მის პირზე ღრმა ღარით ამოჭრილია წრე, შიგ ჰორიზონტალურად დაწვენილი ჯვრით; ეს ჯვარი გვიანდელი ხანისაა.

დაზიანებულია - წიბოები ალაგ-ალაგ ამოტეხილია, რელიეფები - შემომტვრეული და ძლიერ გამოქარული.

*ლიტერატურა:* Н.Г. Чубинашвили, დასახ.ნაშრომი, გვ. 112, ტაბ. 83-84.

N 111. სტელა ბაზით, ბაზალტი, ბაზა 60X60X60 სმ, სვეტი 250X35X35 სმ. ასპინძის რაიონი, სოფ. გიორგიწმინდა, VI-VII სს.

ტაბ. CIII, სურ. 1, 2

კუბური ბაზის ოთხივე წახნაგზე სწორკუთხა ჩაღარულ ჩარჩოში ჩასმულია ორმაგ წრიულ მედალიონში მოქცეული დიდი ტოლმკლავა ჯვარი, თითო ბურცობით, ოთხივე ცერადკვეთილ მკლავზე; ჩარჩოს კუთხეები შევსებულია სამ-სამი წვეთისებური, გულამოღარული ფოთლით (სურ. 2).

სვეტის კუთხეებში ღრმა ვერტიკალური ღარებით შექმნილია ცრუ სვეტები; მათ შორის, სვეტის პირზე გამოკვეთილია, ძირში ძლიერ სტილიზებული შეწყვილებული პალმეტი, ხოლო თავში - დიდი რვაფურცლიანი ვარდული (სურ.1).

სვეტის თავში ამოღებულია ბუდე ჯვრის ჩასამაგრებლად.

დაზიანებულია - წიბოები და რელიეფები ალაგ-ალაგ შემომტვრეულია და ძლიერ გამოქარულია; ემჩნევა ნატყვიარები.

*ლიტერატურა:* Н.Г. Ч у б и н а ш в и л и, დასახ.ნაშრომი, გვ. 110, ტაბ. 81-82.

N 112. სტელის სვეტის ფრაგმენტი, ბაზალტის ქვა 60X28X26 სმ. ასპინძის რაიონი, სოფ.ფია, VI ს.

ტაბ. CIV, სურ.1

ოთხწახნაგა სვეტის ზედა ნაწილის ერთ წახნაგზე გაირჩევა ცერადკვეთილი სამკუთხედებისაგან შედგენილი ჰორიზონტალური ზოლი. მის ზემოთ - რელიეფური ტოლმკლავა ჯვარი. მიღებულია მკლავებს შორის მოქცეული არეების ცერადკვეთილი სამკუთხედების დადაბლებით და ნალისებური კამარა, დაყრდნობილი სამ-სამ სვეტზე (სურ.1).

ძლიერ დაზიანებულია - სამი წახნაგი, თავი და ძირი შემომტვრეულია.

N113. სტელის ბაზა. 11X70X70 სმ. ასპინძის რ-ნი, სოფ. ფია, VI ს.

ტაბ. CIV, სურ. 2

ოთხწახნაგა სტელის ბაზა ღრმად ზის მიწაში, გვერდები დამუშავებულია ორ-ორი საფეხურიანი რელიეფებით (სურ.2).

N 114. სტელის ბაზისა და სვეტის ფრაგმენტები, რუხი ფერის ქვიშაქვა. სვეტი 140X30X30 სმ; ბაზა 30X31X31 სმ. ასპინძის რაიონი, სოფ.დადეში, ადგ.ნიკოლოზის გორა, VII-VIII სს.

ტაბ. CV, სურ. 1, 2, 3.

ოთხწახნაგა სვეტის ოთხივე წახნაგს დაუყვება სამ-სამი ღრმად ჩაჭრილი ხაზი, რომლებიც თავთან მთავრდება ასეთივე ხაზებით გამოყვანილი მარტივი რომბული სახეებით. თავზე შერჩენილია დამაგვირგვინებელი ჯვრის ქვედა მსხვილი მკლავი.

კუბური ბაზა ღრმადაა ჩამჯდარი მიწაში და მისი წახნაგები არ ჩანს.

სვეტის ქვედა ნაწილი მოტეხილია და აკლია.

N 115. სტელის სვეტის ორი ფრაგმენტი. ნაცრისფერი ქვიშაქვა, 110X29X29 სმ. ასპინძის რ-ნი, სოფ. ფანაკეთი. VI ს.

ტაბ. CVI, სურ. 1, 2, 3, 4

ტაბ. CVII, სურ. 1, 2

ოთხწახნაგა სვეტის ერთ ფრაგმენტზე ტანის ზემოთ გამოყოფილია კუბური თავი დაგვირგვინებული ნახევარსფერული, ვერტიკალურად დაღარული „გუმბათით", კუბური თავის ოთხივე წახნაგზე ტლანქადაა გამოკვეთილი თითო რელიეფური ტოლმკლავა ჯვარი მკვეთრად გაფართოებული ზოლებით. თავის ქვემოთ, სვეტის ტანის ერთ-ერთ, საფიქრებელია, პირის წახნაგზე, კუთხის ცრუ სვეტებს შორის გამოკვეთილია მსხვილი მცენარე, ვერტიკალურ ტანზე ამოზრდილი 3 ელიფსური და წყვილი მოკაუჭებული ფოთლით და, მათ ქვემოთ, დაბლა დაშვებული წყვილი ბაფთით (სურ. 2). სტელის ტანის მარჯვენა წახნაგზე კუთხის ცრუ სვეტებს შორის

ეროვნული

გამოკვეთილია მსხვილი რელიეფური „გრეხილი" ვერტიკალი, რომელიც მის ზემოთ, კუბური თავის წახნაგზე გამოხატულ ჯვრის ბუნს წარმოადგენს. სვეტის ტანის დანარჩენი ორი წახნაგი სადადაა გათლილი (სურ. 3,4).

სვეტის ტანის მეორე ფრაგმენტის კუთხეებშიც შექმნილია ცრუ სვეტები; ერთ-ერთ წახნაგზე ისეთივე მსხვილი რელიეფური „გრეხილი" ვერტიკალია, როგორც ზემოაღწერილ ფრაგმენტზე. მის მეზობელ წახნაგზე გამოკვეთილია მსხვილი, ტლანქი გაურკვეველი გამოსახულება (ტაბ. CVII, სურ. 1). ორ დანარჩენ წახნაგზე გამოსახულებები არ არის (სურ. 2). ეს ორი ფრაგმენტი შესაძლოა ერთი სტელისა იყოს, თუმცა ისინი თითქმის მთლიანად მიწაში ჩამჯდარ ბაზებშია ჩადგმული (ტაბ. VII, სურ.1).

ძლიერ დაზიანებულია - გამოქარულ-გადახეხილია.

N 116. სტელის სვეტის ფრაგმენტი. მოწითალო ტუფი, 100X28X28 სმ. ადიგენის რ-ნი, სოფ. ნაღვარება. VI-VII სს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი.

ტაბ. CVIII, სურ. 1, 2, 3, 4.

ოთხწახნაგა სვეტის ზემო ნაწილი შესამჩნევად გამოყოფილი ტანით და კუბური, ოდნავ დამსხვილებული კაპიტელით. კაპიტელის პირზე შემორჩენილია ვედრების სცენის ფრაგმენტი - საყდარზე მჯდომარე მაცხოვრის ტანის მარცხენა ნახევარი და მის გვერდით მდგარი იოანეს (?) ფიგურა, ორივე ხშირნაკეცებიან სამოსელში. კაპიტელის ორივე გვერდზე გამოსახული ყოფილა ვედრების სცენისკენ მიმართული თითო მფრინავი ანგელოზი - მკრთალადღა ჩანს აფრიალებული სამოსელი და გაშლილი ფრთები (სურ. 1, 2, 3). სვეტის პირზე, ვედრების ქვეშ, გადარჩენილია მსხვილი ფიგურის ზემო ნაწილი, მოქცეული რელიეფური ლილვის სწორკუთხა ჩარჩოში, შარავანდედით მოსილი თავითა და დაშვებული ფრთებით. კუთხეებში, ფონზე ასომთავრული წარწერა - წმქლ წმიდაჲ მიქელ (სურ.2). სვეტის მარცხენა წახნაგზე კვადრატულ ჩარჩოში მკრთალად მოჩანს ფეხმოკეცვით მწოლიარე ირმის ფიგურა მარცხენა პროფილში - გაირჩევა უკანა კიდურები და გავა ზედ ამოჭრილი ვარდულით, აგრეთვე - სიმეტრიულად გადაშლილი რქებით. დაახლოებით ასეთივე ფიგურა შეიძლება ყოფილიყო ქვედა ჩარჩოშიც, რომლიდანაც მხოლოდ ზედა ნაპირიღა შემორჩა (სურ.3). სვეტის მოპირდაპირე მარჯვენა წახნაგზე, რელიეფური ლილვის სწორკუთხა ჩარჩოში ჩასმული ყოფილა ვერტიკალურად დაყენებული ურთიერთჩაწნულ ბოლოებზე გამობმული ლოტოსის ყვავილების მწკრივი, რომლიდანაც გადარჩენილია სამი ელემენტი (სურ. 1). სვეტის კაპიტელის ზურგზე გაირჩევა ხარის მსხვილი ფიგურა მარჯვენა პროფილში. ზურგის სიბრტყე სადაა (სურ. 4).

სვეტის თავში ამოღებულია სწორკუთხა ღრმული დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასამაგრებლად.

ძლიერ დაზიანებულია - ჩამოტეხილია და აკლია კაპიტელის მარჯვენა წინა კუთხე. წიბოები მრავალ ადგილას შემომტვრეული და გადახეხილია. რელიეფები დაჩორკნილი და გალეულია.

N 117. სტელა ბაზით; ბაზალტი; სტელა - 260X30X30 სმ. ბაზა 90X77X42 სმ. ადიგენის რ-ნი, სოფ. არალი. IX ს.

ტაბ. CIX, სურ. 1, 2, 3.

დაბალ, მოგრძო ბაზაში ამოჭრილ ბუდეში ჩამაგრებულია ოთხწახნაგა სვეტი, რომლის ოთხივე კუთხეში მათ შორის მოქცეული სიბრტყის დადაბლებით შექმნილია ცრუ სვეტები - რელიეფური ლილვი; ეს ლილვი სვეტის თავთან სწორი კუთხით ბრუნდება, ქმნის წესიერ წრიულ მარყუჟს, უერთდება მოპირდაპირე კუთხის სვეტს და, ამრიგად, აჩარჩოებს ოთხივე წახნაგს (სურ. 1, 2). ერთ-ერთ წახნაგზე, როგორც სტელის პირზე ჩანს, მარყუჟის ქვეშ ამოკვეთილია რვასტრიქონიანი ნუსხური წარწერა, რომელიც არ არის წაკითხული (სურ.3).

მცირედ დაზიანებულია. ემჩნევა ნატყვიარები.

N 118. სტელის ბაზა. მოვარდისფრო ტუფი. 74X27X27 სმ. ახალციხის რ-ნი, სოფ.რაბათი. VIII ს. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი.

ტაბ. CX, სურ. 1,2

კუბური ბაზის პირზე ფონის დადაბლებით გამოკვეთილია რელიეფური ოთხკუთხა ჩარჩო და რელიეფური ზოლებისაგან შექმნილი დიდი ტოლმკლავა „აყვავებული" ჯვარი, მცირედ გაფართოებული.

სამი მკლავის კუთხეებში გამოხატულია პატარა რგოლები, ქვედა მკლავიდან აქეთ-იქით გამოზრდილია თითო სტილიზებული ფოთოლი. ჯვრის ცენტრში დასმულია კონცენტრული წრეებისაგან შედგენილი ,,ღილი", ზედა მკლავებს შორის, ფონზე გამოკვეთილია შეწყვილებული სტილიზებული ფოთლებისაგან შედგენილი თითო წვეთისებური სახე (სურ.1). ბაზის მარცხენა გვერდზე, ფონის დადაბლებით შექმნილ რელიეფურ ჩარჩოში ამოკვეთილია წარწერა (სურ.2).

სახელითა ღმრთისაჲთა მეოხებითა წმიდჲსა ღმრთის მშობლისაჲთა მე მბლ ღირს ვიქმენ ------ამენ

ბაზაში ზემოდან ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო სვეტის ჩასადგმელად.

დაზიანებულია - მოტეხილია მარცხენა ქვედა კუთხე, წიბოები ალაგ-ალაგ ჩამოტეხილია; გადახეხილ-გამოქარულია წარწერის ბოლო ორი სტრიქონი.

## N 119. სტელის ბაზა და სვეტის თავი. ბაზალტი, ბაზა 41X60X60 სმ; სვეტი 84X42X24 სმ. ადიგენის რ-ნი, სოფ.მუსხი. VI-VII სს.

ტაბ. CXI, სურ. 1, 2, 3.

ერთი ქვისაგან გამოკვეთილია ორსაფეხურიანი ბაზის საყრდენი. საფეხური სწორკუთხაა, ზედა საფეხური-წრიული, დაბრტყელებული ბალიშისებრი; კუთხეებში დატოვებულია მათი გადამბმელი თხელი სამკუთხა ძგიდეები.

საყრდენის ერთ წახნაგზე - პირზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია ბოლნური ჯვარი - წრიულ მედალიონში ჩასმული ძლიერ სტილიზებული ჯვარი, ამობურცული ,,ღილით" ცენტრში და სამკუთხა ცერადკვეთილი მკლავებით. ,,ბალიშს" ირგვლივ შემოსდევს პატარა რელიეფური ბურცობების სარტყელი (სურ.2).

ოთხწახნაგა სვეტისთავი შეიცავს 2 ელემენტს - სადად გათლილ კუბს და მის ზემოთ გამოკვეთილ ორსართულიან სვეტოვან-კამაროვან ,,შენობას", დასრულებულს სფეროიდული ,,გუმბათით" (სურ.1). სვეტისთავის ერთ-ერთი წახნაგის პირზე, კუბზე მქისედაა ამოკვეთილი ბოლნური ჯვარი, ცერადკვეთილი სამკუთხედებით შემკული წრიული მედალიონით; თვით ჯვარი შესრულებულია ჩაღრმავებული ხაზებით. ამავე წახნაგზე ,,შენობის" პირველ იარუსზე გამოკვეთილია წყვილი ნალისებური კამარა, მეორე იარუსზე - ერთი, მხოლოდ დამატებით შემკული ცერადკვეთილი სამკუთხედებით სვეტებზე და კამარის ირგვლივ (სურ.3). დანარჩენ სამ წახნაგზე ორივე სართულზე ღრმა ღარის თითო ნალისებური კამარაა შემოყოლებული (სურ.1).

სფეროიდულ თავში ამოღებულია ოთხკუთხა ბუდე დამაგვირგვინებელი ჯვრის ჩასამაგრებლად. მცირედ დაზიანებულია - ჩამოტეხილია და აკლია სფეროიდული თავის ნახევარი, ალაგ-ალაგ ამოტეხილია, საგრძნობლადაა გამოქარული.

## N 120. სტელის კაპიტელის ფრაგმენტი. ბაზალტი. 25X20X20 სმ. ადიგენის რ-ნი, სოფ. მუსხი, VI-VII სს.

ტაბ. CXII, სურ. 1, 2, 3.

ოთხწახნაგა სვეტისთავის ერთ-ერთ გვერდზე გადარჩენილია მაცხოვრის ამაღლების სცენის მცირე ნაწილი - დაბალი რელიეფის გამოკვეთილი წრიული მანდორლა; მასში მოქცეულია დაბალფეხიანი საყდარი და მჯდომარე ქრისტეს ფიგურის ქვემო ნაწილი - ხშირი ტალღოვანი ნაკეცებიანი სამოსლით დაფარული ფეხები და საფეხურზე დაყრდნობილი განზე მიმართული ტერფები.ცერად ჩამოკვეთილი ქვედა კუთხეები შემკული ყოფილა საპირისპიროდ მიმართული კონცენტრული რკალების დეკორატიული სახით (სურ. 1, 2).

მეორე წახნაგზე გაირჩევა დაბალი რელიეფითვე შესრულებული, მარცხნივ მიმავალი სახედარი და მასზე გვერდულად მჯდომი მხედრის კაბით დაფარული ფეხები, აქეთ-იქით მიმართული ტერფებით - საფიქრებელია იერუსალიმში შესვლის სცენის ნარჩენი (სურ.3). დანარჩენ წახნაგებზე არაფერი გაირჩევა.

ძლიერ დაზიანებულია - ზედა ნაწილი გათლილია პირამიდულად, ხოლო თავში ამოღებულია წრიული ფოსო.

N 121. სტელის ბაზა, რუხი ფერის ბაზალტი, 64X67X80 სმ. ადიგენის რ-ნი, წყისის ციხე, 616-619. წწ. სსმ N 114

ტაბ. CXIII, სურ. 1.

კუბური ბაზა, რომელშიც ოთხკუთხა ფოსოა ამოჭრილი სტელის ჩასადგმელად, პირზე ღრმა ხაზებით ამოჭრილია რვასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: ესე ჯუარი ქრისტ სი მე, კოსტანტი, ძე მან სტეფანესმან და გუდასმან ალჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა შაჰა-რამანსა ა, სალოცველადჩუენდა ცოლისა და შვილთა ნოენბერსა ი [ზ] ა (მენ).

მარცხენა ქვედა კუთხე ჩამოტეხილია. ბაზის დანარჩენი სამი წახნაგი სადაა.

